

ქართული ლიტერატურის

სახელმძღვანელოები

შოთა რუსთველი



ქუთაისი

1921—XII

I. ბიოგრაფიული ცნობები.

შოთა რუსთველის მნიშვნელობა ქართველი ერისათვის განუსაზღვრელია. ქართველთა ისტორიული გზა თავიდანვე ნარ-ეკლიანი იყო, სისხლით მოწმეული, ტანჯვითა და ეაგებით სავსე. შოთამდისაც ქართველმა ხალხმა სხვადასხვა მტრისაგან ბევრი დევნა განიცადა: მგვიპტე, ასურეთი, სპარსეთი, ბიზანტია, ხაზარეთი, მუსეთი—შორებელიც და მახლობელიც დევნიდენ და ავიწროებდენ მას, მაგრამ ყოველთვის უშუქებდა რაიმე ვარსკვლავი იმედისა და ნუგეშისა და, მტრების მოსაგერებლათ და თავის დასაცავათ, საკმაო ძალას აძლევდა.

სამშობლოს სიყვარულს გარდა, რომელიც მტრებთან ბრძოლის დროს ყოველ ხალხს აფრთოვანებს, თითო-ორორი სახელოვანი პიროვნება, ქვეყნისათვის თავდადებული გმარი-მოღვაწე გაქივრებაში ჩაცვენილ მოძმეებს აღფრთოვანების სტიმულათ და ნუგეშათ ევლინებიან ხოლმე და თავდაცვის ძალღონეს უორკეცებენ. ასეთები იყვენ ქართველებისათვის შოთამდი—შარნაოზი, შირიანი, შმ. ნი-

ნო, შახტანგ ზორგასლანი, ღვეით აღმაშენებელი
და სხვები.

მე-13 საუკუნიდან საქართველოს მტერნი უფ-
რო გაძლიერდენ და გამრავალრიცხოვანდენ—და
ქართველ ხალხსაც მათთან გასამკლავებლათ მეტი
ძალდონე და მეტი მანუგეშებელი გარემოება ექიფ-
რებოდა, რომ იგი უიმედობას არ მოეცვა და თავი-
სი თვითარსებობის დასაცავათ ფარხმალი სრულიად
არ ღაეყარა. ძველი დროის გმირებთან ერთად ქარ-
თველ ერს ამგვარ ნუგეშათ შოთა და თამარი მოე-
ვლინენ.

მშვენიერათ აქეს შახტანგ მრბელიანს გამო-
ხატული ეს ნუგეში ქართველი ერისა:

„ნათელს მამულსა მშვენიერსა იცვამდა ბნელი,
ბუღით დამშვრალის ბნელდებოდა მის ძის გონება.
მაგრამ ქართველი სულით მაინც არ იყო მკვდარი:
შთამომავლობა იყო გმირთა მზის-თამარისა...
მაგრამ შთენთ შუა ეგზნებოდა რაღაც ლამპარი—
და მისი სხივი უნათებდა, ვით სხივი მზისა;
ვით განთიადზედ ნამის ცვარი, მთითგან ნიაფი
ბანაცხოვლებენ ველზედ მდელოს, მზის დაჩაგრულსა,—
მგრეთ იმ წმინდის, ნათლის ლამპრის ნათელი სხივი
აცხოველებდა ქართველის გულს გადაგებულსა.
ნანგრევთა შუა უნათებდა იგი წყვილადს გზას;
ის ჰქონდა ქართველს თვის მნათობად შვიდს საუკუნეს,
შვიდს საუკუნეს შეჭხაროდა და შესტრფოდა მას;
მას ნათელს სხივში ის ჰპოებდა ძალსა და ღონეს...
და თუ აქამდის არ დაბნელდა ჩვენი გონება,

და თუ სწავლისთვის, სამშობლოსთვის კვალადვე დგება,
და თუ აქამდის არ დაეკარგეთ სიტბო გულისა,—
იგა მადლი იმ ნათელის წმინდის ლამპრისა!..

მაგრამ აღაგზნო ვისმა ხელმა და გრძლად ეგზნება?

—აღაგზნო იგი დიდმა შოთამ—და არც განჭრება!

სხივნი —მის ლექსნი, „აღმომხდარნი მის მადლის სულით,
„ლექსნი დამწველნი, ლექსნი ტკბილნი, სავსენი სიბრძნით,
„მოკამყამენი წყაროს წყალნი, ცით ნაპერწკალნი,
„აღმას-ზურმუხტნი, მარგალიტნი, უფასო თვალნი“!..

ასეთი სახელოვანი პიროვნების ცხოვრება, სამწუხაროთ, ბნელითა და ბურუსით არის მოცული. სავალალოა არ ვიცოდეთ ვანაოზა და ცხოვრება იმ ადამიანისა, რომელიც სული და გულია ერისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში თავის ერს მანათოპელი ლამპრათ ევლინებოდა, დღესაც გვინათებს და მომავლის გზაზედაც კანდელათ წინ მიგვიძღვის... მაგრამ მართო ქართველ ერს არა სჭირს ამგვარი უბედობა: ასეთივე ბედი ეწვია ზოგიერთ სხვა ერსაც, მათ შორის—ძველ ბერძნებს, რომელთაც არ დარჩენიათ ნამდვილი ცნობები ჰომიროსის ცხოვრებისა, —ინგლისელთ, რომელთა გენიოსის შექსპირის ცხოვრებაც ბევრგვარ საიდუმლოებას წარმოადგენს, და სხვ.

შოთას ცხოვრების შესახებ ნამდვილი ისტორიული ცნობა და საბუთი არაფერი დარჩენილა, და რაც ვიცით, იგი მხოლოდ გარდმოცემით არის შენახული, რომელიც, მის პოემასთან ერთად, საუკუ-

ნიდან საუკუნეში გადმოდიოდა.—თვით „მეფის-
ტყაოსანში“ ავტორი რამდენჯერმე იხსენიებს თავის
ფსევდონიმს: იგი თავისთავს რუსთველს უწოდებს,
რაც ავტორის მხოლოდ საცაზღილოს აღნ შნაფს.
ამგვარ ფსევდონიმს ბევრადიან სშირათ ხმარობდნ
(მაგ. ხონელი, შავთელი, თმოგველი და სხვ.) და
დღესაც ხმარობენ ხოლმე ჩვენს მწერდო აშ: (შაბ-
ნელი, პრაგვისპირელი, მღვიმელი, შშაველი და სხვ.).

ბი ის აღვალეზი „მეფისტყაოსნისა“, სიდაც
მოხსენებულია ფსევდონიმი რუსთველი (და არა
რუსთაველი, როგორც დღევანდელ მწერდოაში
ხშირათ უცტომით სწერენ ხოლმე):

1) „ღაჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გუფლა-
ვარსობილი,

ბქამდის ამბად ნათქვამი, აწ-მარგალიტი წყობილი“.

2) „მე, რუსთველი, ხელობითა გიქმ საქმესა, ამაღარი“...

3) „მწერ ვინმე მესხი, გელექსე, მე რუსთველისა და-
ბისა“;—

(იგივე კიდევ ასე იკითხვია: მე რუსთველისად ამისა).

4) „ბშირან ღარეჯანის ძე მოხეს უქია ხონელსა,

ბბდულ-მესია—შავთელსა, ლექსი მას უქეს ბოშელსა;

ღილარგეთ—ხარგის თმოგველსა, მას ენადაუშრომელსა;

ბარიელ—მისსა რუსთველსა, მისთვის ცრენლშეუ-
შრობელსა“.

ბმ სახით, „მეფისტყაოსნის“ ავტორის ბეტო-
ბიოგრაფიული ცნობა მხოლოდ ფსევდონიმს უგეხე-
ბა, ისიც—სახელის მოუხსენებლათ; ამისთან კიდევ:

სამწუხაროთ, პოემის ის აღვილებიც, რომელიც ზევით მოვიყვანეთ და რომელშიც ეს მცარელი ცნობაა მოხსენებული, საცემო წყაროს წარმოადგენს. სახელწოდება რუსთველი ორჯერ წინასიტყვაშია მოხსენებული და ორჯერ ბოლოსიტყვაში, და პოემის სწორედ ეს აღვილები — როგორც წინასიტყვა, ისე ბოლოსიტყვაც — ბერძნული გეგმეარის აზრით, — იმ სახით მაინც, როგორც ზეგნაში მოცემულია, — საცემოა თვით ავტორის ეკუთვნოდეს: ისინი შემდეგში ჩამატებულათ ან შეკლებულათ მიაჩნიათ.

შოველ შემთხვევაში, აღნიშნული აღვილები პოემის ავტორს კიდევაც რომ არ ეკუთვნოდეს, ისინი მაინც საყურდღებოა არაან, როგორც უძველესი დროიდანვე ზეგნაში მოცემული გარდმოცემა, და ამიტომ საჭიროა განვიხილოთ, თუ რას აღნიშნავს იქ მოხსენებული სიტყვები: რუსთველი და მესხი.

საქართველოში ორი რუსთავი აღნიშნულია: ერთი — ქალაქი რუსთავი, რომელსაც ძველათ ბოსტან-ქალაქი ეწოდებოდა და რომელსაც თფილისის მახლობლადა, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ძახეთის განაპირას მდებარეობდა, — ხოლო მეორე — დაბა რუსთავი, სამცხეში (ახალციხის მაზრაში). ძნელია იმის დასჯმა, თუ რომელი რუსთავიდან იყო „მეფისიტყვასის“ ავტორი, მაგრამ, თუ ბოლოსიტყვაში მოხსენები სახელწოდება „მესხი“ მართლაც მას ეკუთვნის, მაშინ აქ სამცხის რუსთავზე უნდა იყოს ლაპა-

რაკი, ვინაიდან მესხებათ უმთავრესათ სამცხის (მესხეთის) მცხოვრებნი იწოდებოდნენ. ძულტურითაც მესხეთი საშვალო საუკუნეებში საკმაოდ მაღლა-იღ-გა—და, მაშასადამე, ბუნებრივია, რომ ამისთანა მხარეში განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი გაჩენილა; თუმცა, ამასთანავე, ისიც საგულისხმოა, რომ პირველი რუსთავი (ბოსტან-ქალაქი), როგორც ქალაქი, იმ ხანებში შესანიშნავი და სახელგანთქმული კულტურული ცენტრთაგანი ყოფილა:

რაც შეეხება სახელს შოთას, იგი მხოლოდ გარდმოცემით არის ცნობილი. სახელი შოთა ისტო-რიულ საბუთებში სამ ადგილას არის მოხსენებული: პირველათ — თამარის დროინდელ სიგელში (1190 წ.), რომლის ხელის მომწერ წარჩინებულ პირთა შორი-საც არის სახელი „შოთაი“; მეორეთ შოთა (პრთა-ვაჩოს ძე) მოხსენებულია „მართლის ცხოვრებაში“, როგორც მეფის გამცემი და ამისთვის 1177 წ. და-სჯილი; მესამეთ — „მართლის-ცხოვრებაში“-ვე, რუ-სუდანის თანამედროვეთ, ნახსენებია ვინმე შოთა-კუპრი. — რუსთველის ბიოგრაფები (განსაკუთრებით იუსტ. აბულაძე) ფიქრობენ, რომ თამარის დროინ-დელ სიგელში მოხსენებული შოთა უნდა იყოს „შეფხვისტყაოსნის“ ავტორის სახელი, ვინაიდან მგოსანი რუსთველი წარჩინებული პიროვნება იყო და ამიტომაც სხვა წარჩინებულ პირებთან ერთად ხელს აწერს სიგელსო; ხოლო დანარჩენი ორი შოთა —

ერთი-დანაშაულისათვის დასჯილი და მეორე-უბრალო
ამალაში მოხსენებული—სახელოვანი მგოსნის პიროვე-
ნებას არ შეეფერებაო..

შთამომავლობის მიერ ჩუსთველი „მეფხის-
ტყაოსნის“ ავტორათ პირველათ მოხსენებულია
„ზილიხანიანის“ ავტორისაგან, რომელიც მე-16
საუკუნის დამდეგს ცხოვრობდა (იხ. სარგ. ძაკაბაძის
გამოც. „მეფხ.“, გვ. 28—29), ხოლო სახელი შოთა
ამ ფსევდონიმთან ერთად პირველათ მეფის თეიმურაზ
I-ის (17 საუკ.) მიერ არის მოხსენებული, როცა
იგი „მეფხისტყაოსნის“ გმირების თავგადასავალს
მოგვითხრობს: „მსენი შოთა ჩუსთველმან
შეამკო არსთა მკობითა“-ო, —ამბობს იგი.

იმავე საუკუნეში, თეიმურაზ I-ზე ცოტათი
უფრო გვიან, შოთა ჩუსთველს უფრო ვრცლათ
იხსენიებს არჩილ მეფე (+1712 წ.) თავის თხზულე-
ბაში, რომელსაც ეწოდება: „ზაბაასება მეფის პატ-
რონის თეიმურაზისა და მელექსეთ დასაბამის
ჩიტორის ჩუსთველისა“. არჩილ მეფე აქ ჩუსთველ-
სა და მეფეს თეიმურაზს ერთმანეთ-შორის აკამა-
თებს: თეიმურაზი თავის ლექსებს აქებს, თავის მგოს-
ნობას ჩუსთველისაზედ უფრო მალლა აყენებს:

„მართალია, შენი წიგნი კარგი იყო აქამდისა,

ახლა ჩემმა დაატარბა, ამად ცრემლი ჩამოგდისა“-ო, —

ეუბნება თეიმურაზი შოთას. ჩუსთველი თავ-
დაქერილათ იცავს თავს, ხოლო თეიმურაზის ნიქს

პატივისცემით იხსენიებს. ბაასი იმით იაფდება, რომ
თეიმურაზი გამარჯვებული გამოდის, პირველობა მას
რჩება. — რუსთველსა და თეიმურაზ მეთევზე არჩილ
მეთვის ნაწარმოებში გამოთქმული აზრი დამახასიათე-
ბელია ქართული კულტურის დაცემის ეპოქისა, რო-
ცა თეიმურაზ მეთვისთანა მოშაირე პარველი მგონათ
მოაჩნდათ. ამ „ზაბაასებაში“ საყურადღებოა დიდოს-
ტურება იმ გარემოცემისა, რომ რუსთველი „მეფეს-
ტყაოსნასათვის“ თამარ მეთვისაგან დაჯილდოებული
ყოფილა. —

ზარდმოცემა მოგვითხრობს, რომ შოთა აღრე
დაობლებულა და მისი აღზდა ბიძა-მისს (ბერს) უკის-
რია. პირველი დაწყებითი სწავლა შოთას საქართვე-
ლოში მივლია — ჯერ რუსთავეს შკოლაში და შემდეგ
— ტბეთის სამონასტრო სასწავლებელში (სამხრეთ
საქართველოში). როცა შოთას საქართველოს შკოლებ-
ში სწავლა შეესრულებია, იმ დროის ჩვეულებისამებრ,
მაფრობას იგი, სხვა ყმაწვილებთან ერთად, უმაღლე-
სი განათლებისათვის საბერძნეთს გაუგზავნია. საბერძ-
ნეთში, ათონის მთაზე (ხალკიდონის ნახევარკუნძულ-
ზე), მეთაუე საუკუნიდან ქართველთა მონასტერი იყო
დაარსებული, სადაც შოთას დროს უკვე გაჩნდილი
იყო ქართული მწიგნობრობა და მეცნიერება: აქ
შემოკრებილი იყვნენ სწავლული ქართველი ბერები,
რომელნიც ქართველ ახალგაზდებს სწავლაგანათლე-
ბის საქმეში ხელმძღვანელობას უწევდნენ. ქართველი

ახალგაზდობა ჯერ ათონზე და მერე ათინაში რამდენა-
მე წელს დაყოფდა ღიორმე — და, განათლებით აღჭურ-
ვალი, სამშობლოში ბრუნდებოდა. ხვევთაჲნ ერთად
შოთასაც გაუვლია ეს გზა უმაღლესი განათლებისა
და სამშობლოში იმ დროს დაბრუნებულა, როცა
საქართველოში ოსმალის სახელი უკვე განთქმული
იყო.

გარდმოცემა კიდევ გაუწყებს, რომ შოთას
დავისი ნიჭიერებია მალე ოსმალისა და მის კარის-
კაცთა ყურადღება მიიქცევია — და სასახლეს და-
ახლოვებია. რა იქნა უნდა, იმისთანა შეზნებარე ბუნე-
რის მიქონ არსებაზე, როგორაც მგოსანი შოთა იყო,
ოსმალის გარეგანი განთქმული მშვენიერება, სჯლის
სამშვენიერესაჲნ შეზნებულნი, დიად გავლენას ღოა-
ხდენდა — და გარდმოცემაც გვეუბნება, რომ პოეტნი
ოსმალისადმი სიყვარულით იყა გატაცებულნი. ამ
გარდმოცემაში დაუჯერებელი არაუერია, მაგრამ
ეგ სიყვარული, ცხადია, ისეთივე იქნებოდა, რო-
გორსაც იგი თავის პოემაში გვჩვენებს: პლატონური,
ზეცური, ღვთაებრივი — „შორით ბნედა, შორით
კვდომა, შორით დაგვა, შორით აღვა“. ამგვომაც
ადვილი შესაძლებელია, რომ წინასიტყვის შემდეგი
ბანა თვით რუსთაველის კალამს ეკუთნოდეს:

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა, ამაღარი:

[მცედარი...

მის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის

მე-მედიდურად მიჯნურთათვის, კვლავ წამალი არსით არი;
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი!“

ზარდმოცემა განაგრძობს, რომ მალე პოეტს
თავისი პოემა დაუწერია და თამარისათვის მიუერთმე-
ვია; თამარსა და მის დიდებულთ პოემა დიდათ
მოსწონებიათ და მგოსანი თვალსაჩინოთ დაუჯილ-
დობიათ.

მართი ლეგენდა შოთას ოჯახურ უბედურებას
გარდმოგვცემს. შოთა ერთ ქალს შეყვარებია, მაგრამ
მგოსნის თანაგრძნობა ვერ დაუმსახურებია---და შოთას
ცოლათ სხვა ქალი შეურთავს. პოეტისათვის ცოლს
უღალატია, მსახურ ზანგში გაუცვლია. მს ამბავი
მისგან დაწუნებულს მის მოტრფიალე ქალს გაუგია,
უცხო ვაჟათ გამოწყობილა და, როცა შოთა ერთხელ
ნადიმს შეექცეოდა, მისულა, პოეტი გამოუხმია და
მის ბინაზე სწორეთ იმ დროს მიუყვანია, როცა მისი
ცოლი და ზანგი ერთმანეთს ეტრფიალებოდნენ. თავზარ-
დაცემულ შოთას ამ ამბის მამხილებელი ყმაწვილი
იქვე ხანჯლით მოუკლავს, შემდეგ მისი მოღალატე
ცოლიცა და მსახურიც სიკვდილით დაუსჯიათ, ხოლო
თვით შოთა მალე სამშობლოდან გადახვეწილა და
უკანასკნელი სიცოცხლის დრო იერუსალიმის ჯვრის
მონასტერში ბერობაში გაუტარებია.

ამ ლეგენდასთან დაკავშირებულია მე-18 საუ-
კუნის ეპისკოპოზის ტიმოთეს ცნობა, რომ ჯვრის
მონასტრის კედელზე დახატული ყოფილა ქართვე-

ლი დიდებულის სურათი, რომელს ქვეშაც წარწერილი ყოფილა სახელწოდება რუსთველი. აგრეთვე ცნობილია, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებში (მიცვალებულთა მოხსენიების წიგნში) აღნიშნულია „მექურკლეთ-უხუცესი შოთა“. ალბათ ამ ცნობაზე ეყარება გარდმოცემა, რომელიც შოთა რუსთველს შამარის სასახლეში მექურკლეთ-უხუცესის (მოლარის, ხაზინადრის) თანამდებობას მიაწერს.

II. „მეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები.

შოთა რუსთველის პოემის ტექსტი მე-18 საუკუნემდლი სხვადასხვა დროის ხელნაწერების საშვალეებით მოსულა. ამ ხელნაწერებს შორის არა თუ თვით ავტორის ხელნაწერი არ მოიპოვება, არამედ ავტორის ცხოვრების დროს შემდეგ გასულის რაინდენიმე საუკუნის ხელნაწერიც კი არ დარჩენილა — და უძველესი დროის ხელნაწერი, რომელიც დღეს მოგვეპოვება, მე-16 საუკუნეს არ შორდება.

ზიდრე ჩვენში წიგნის ბეჭდვას შემოიღებდენ, სხვადასხვა თხზულება საზოგადოებაში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. წიგნის ბეჭდვის გამოგონებამდლი ყველა ქვეყანაში ასე იყო, მაგრამ გადამწერთა კლასი ჩვენში განსაკუთრებით შესანიშნავათ განვითარებული ყოფილა და ისეთი საუცხოო წერისხელი შემუშავებულა, რომ შეიძლება ითქვას — მთელ

ქვეყანაზე საიქვოა რომელიმე ხალხის ძველი ხელნაწერები ქართულზე უფრო ღამაში და რითმე უფრო საყურადღებო იყოს. ჩვენი გადამწერი განსაკუთრებით საეკლესიო წიგნების გადაწერაში იწრთენებოდენ—და ხუცური ხელნაწერები მეტათ მშვენიერი და მრავლათა მოგვეპოება, მაგრამ საერო წიგნებიც, განსაკუთრებით საგულდისხმო შინაარსისა, დღე ყურადღებას იქცევდა --და მათ შორის პირველი აღგილი „მეფხისტყაოსნის“ ექარა. მს პოემა, დღიდან დაწერისა, ქართველი მკითხველისათვის ისე საყვარელი შეიქნა, რომ ბევრმა იგი თითქმის თავიდან ბოლომდე ზეპირათ იცოდა; ძველათ არ ყოფილა ცოტათ თუ ბევრათ წარჩინებული ქართველი ოჯახი, რომ „მეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი არ შეეძინა და მოწიწებით არ შეენახა. ამიტომაც, ცხადია, მაელ საქართველოში „მეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი მრავალი იქნებოდა, და თუ ჩვენს დრომდე ამ ხელნაწერების მხოლოდ რამდენმე ცალს მოუწევია, ამას თავისი საპატიო მიზეზები ქონდა.

„მეფხისტყაოსნის“ შინაარსი საეროა ხასიათისაა. პოემის საგანი, მართალია, უმთავრესათ მიჯნურობაა და თავდადებული მეგობრობა, და, შოთასვე თქმით, „მიჯნურობა სხვა რამეა, არ. სიძვისა დასადარი“; მაგრამ შოთას დროინდელი სასულიერო წოდება (და მერმენდელიც) ამგვარი შინაარსის წიგნებს ეერთმენდა და სასტიკათ დევნიდა. „მეფხისტყაოსანმა“

ვანსაკუთრებული დევნა გამოიწვია სამღვდელოებისა, ვინაიდან ეს პოემა ხალხში ერთობ ვრცელდებოდა — და სასულიერო წოდებას ეშინოდა ზნეობაზე მისი გამრყენელი გავლენისა. როგორც გარდმოცემა მოგვითხრობს, თვით თამარის დროსაც „მეფე-ხისტყაოსნის“ ავტორმა სასტიკი დევნა განიცადა კათალიკოზის იოანესაგან; ხოლო მე-18 საუკუნეში ცნობილმა კათალიკოზმა პეტრე პირველმა მახტანგ მეფის მიერ 1712 წელს პირველათ დაბეჭდილი „მეფე-ხისტყაოსანი“ დააწვევინა — და თავის „წყობილ-სიტყვაობაშიც“ შოთას თუმცა იგი ფრიად განათლებულ პიროვნებათ გვიხატავს, მაგრამ თან დასძენს, რომ „ამოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“-ო, და ეს შენიშენა შოთას პოემას შედგება (იხ. პლ. ხახანაშვილის „სიტყვ. ისტ.“, გვ. 345):

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის,
თუ რომ ჰსწადოდა, ლეთისმეტყველიცა მაღალ,
შცხო-საკვირველ, პიიტოკოს მესტიხე;—
მაგრა ამოდ დაშვრა,—საწუხ არს ესე“.

მიტროპოლიტის ტიმოთეს (მე-18 საუკ.) აზრი რუსთველის შესახებ დამახასიათებელია „მეფე-ხისტყაოსანზე“ ქართველი სამღვდელოების შეხედულებებისა: რუსთველმა „ქართველ დედაკაცებს ასწავლა სიწმინდისა წილ სიბოროტე და სიბილწებაი“-ო, — ამბობს იგი (იქვე, გვ. 346).

სასულიერო წოდების ამგვარი შეხედულება და დევნა იყო საფუძველი იმისა, რომ სხვადასხვა შეგნებულ ქართველს მოუწადინებია სარწმუნოების ფარგალში „მეტეხისტყაოსნის“ შინაარსის გამართლება. თვით პოემის წინასიტყვა—ავტორისაა იგი თუ რომლისამე სხვა პირისა, სულ ერთია—უთუოთ ამ დევნის გამო ყოფილა გამოწვეული, რათა მკითხველისათვის გაეთვალწინებია, რომ ამ წიგნში ბიწიერი სიყვარული კი არ არის გამოხატული, არამედ წმინდა—ღვთაებრივი სიყვარული, რომ „მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასაღარი: იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი— და ნურვინ გარევე ერთმანეთსა“-ო.— ამ დევნას გამოთვით მეფე შახტანგ VI-ც იძულებული გამხარა „მეტეხისტყაოსნის“ შინაარსის სიწმინდის დაცვა ეკისრა და ეთქვა, რომ იგი არის „უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა საღვთო და საერო, უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს და გონიერსა გულსა უსრულსა“-ო (იქვე, გვ. 346).

„მეტეხისტყაოსნის“ შინაურ დევნას გარეშე მტერთა ხშირი შემოსევაც ზედ ერთოდა, როცა ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი იწოდა და ოხრდებოდა; სხვა განძთა შორის, ცხადია, „მეტეხისტყაოსნის“ მრავალ ხელნაწერსაც ან ცეცხლი შთანთქავდა და ან მტარვალთა ტლანქი ხელი გაანადგურებდა—და ამიტომ საკვირველი ის კი არ არის, რომ მრავალი ხელნა-

წერიდან ჩვენამდი მხოლოდ რამდენმე ცალს მოუწევია, არამედ ისა, რომ, მიუხედავთ ამდენი დევნისა, „მეფხისტყაოსნისადმი“ ქართველი მკითხველის სიყვარულს კიდევ ისე უმუშავია, რომ რამდენიმე ცალი მაინც შეუნახავს.

„მეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ჯერჯერობით სულ 15 ცალამდია თავმოყრილი—და ისინი ოფლისში სხვადასხვა საგანძურში ინახებიან: ზოგი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მუზეუმში, ზოგი „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ მუზეუმში, ზოგი „საეკლესიო მუზეუმში“.

III. სხვადასხვა მკვლევარის აზრი შოთა რუსთველისა და მისი „მეფხისტყაოსნის“ შესახებ.

1. ღავით ჩუბინაშვილისა.

პროფესორი ღავით ჩუბინაშვილი „მეფხისტყაოსნის“ გმირების ცხოვრებაში თვით ოამარისა და საზოგადოთ მისი დროის რამდენსამე ისტორიულ ფაქტს პოულობს და მით ამტკიცებს, რომ შოთა რუსთველს თავისი პოემის დაწერის დროს ოამარის დრო ქონდა მხედველობაშიო. აი რა საბუთები მოყავს პროფესორს ამ აზრის დასამტკიცებლათ: 1) ნესტანდარეჯანი ერთადერთი ასული იყო ინდოეთის მეფის შარსადანისა,—ოამარიც აგრეთვე ერთადერთი ასული იყო ბიორგი მესამისა; 2) ნესტან-

დარეჯანის აღზდა შარსადანმა თავის დას ღავარს მიანდო, აგრეთვე თამარის აღზდაც ბიორგი მესამემ თავის დას, მსეთის მთავრის მეუღლეს, რუსუდანს მიანდო; 3) თამართან ერთად იზღებოდა რუსუდანის ქმრის ნათესავი — ღავით სოსლანი, რომელიც შემდეგ თამარის ქმარი შეიქნა, — ხოლო ნესტანდარეჯანთანაც იზღებოდა ტარიელი, რომელმაც შემდეგ ნესტანი ცოლათ შეირთო; 4) შარსადანმა გადასწყვიტა-ნესტანდარეჯანი ცოლათ ხვარაზმშას შვილისათვის მიეთხოვენიდა, „ქართლის-ცხოვრების“ გადმოცემით, ხვარაზმშას თამარის ცოლათ შერთვა ეწადა, მაგრამ უარი მიიღო; 5) „მეფისტყაოსანში“ ნათქვამია, რომ ინდოეთი შვიდ სამეფოთ იყო დაყოფილი, ხოლო საქართველოც შვიდ სამეფო-სამთავროთ იყო დანაწილებული და ძველ გუჯრებში საქართველოს მეფეები თავისთავს შვიდი სამეფოს მფლობელათ უწოდებნო (იხ. აღ. ხახანაშვილის „სიტყვ. ისტ.“, 1904 წლ. გამოც., გვ. 375 -- 376). —



ღავით ჩუბინაშვილთან ერთად ბევრი სხვა მკვლევარიც იმ აზრს იზიარებს, რომ შოთამ თავის პოემაში საქართველოს ცხოვრება გამოხატა, ქართველი გმირები გამოიყვანაო. ამ აზრის მიმდევარნი არიან: მარი ბროსე, ღიმ. ბაქრაძე, ნ. ბულაკი, ს. ძვარიანი და სხვები. მათ შორის ბულაკი ამბობს, რომ შოთა „მეფისტყაოსანში“ თავისი გმირების

მოქმედების ასპარეზით, საქართველოს მაგიერ, აზიის
 ქვეყნებს ასახელებს, მაგრამ ნამდვილათ კი იქ სა-
 ქართველო იგულისხმებაო; არაბეთ-ინდოეთის ბუ-
 ნება იგივე საქართველოს ბუნებაა: უღრანი ტყეები,
 დაკიდული კლდეები, ჩხრიალა ხეები, ირემთა და
 შველთა ჯოგები საქართველოს გვაგონებენო.—სი-
 მონ ჭვარიანი ფიქრობს, რომ ტარიელი ისტორიული
 პიროვნებაა: იგი თამარის მამის—ზიორგის ძმისწულს,
 ღვთის შვილს ღემნას მოასწავებსო. ღემნასა და
 თამარს ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ ზიორგი
 ღემნას შეებრძოლა, როგორც ტახტის მემკვიდრეს,
 დაიჭირა და დაასახიჩრა (თვალეზი დათხარა და კი-
 დევაც დაასაქურისა)—და მით ღემნას განზრახვები
 ჩაშალაო.—ამ მოსაზრების შესახებ პროფესორი ხა-
 ხანაშვილი სამართლიანათ ამბობს: „რად ჰგონია ბ-ნს
 ჭვარიანს, რომ ღემნა პოემაში ტარიელად არის გა-
 მოყვანილი? რა აქვთ მათ საერთო? არაფერი ისეთი,
 რაც არ შეიძლება აღმოვაჩინოთ სხვა მსგავს პირ-
 თანაც. ზანსხვაება კი მეტად დიდია. ჯერ ეს ერთი,
 რომ ღემნა დასაქურისებულია, და ტარიელი, მო-
 გებსენებათ, ამ ოპერაციას ასცდა; მეორეც ესა—
 ტარიელმა შერთო ნესტანი, და ღემნა კი თვალეზ
 დათხრილი დაიღუპა. რა ისტორიულს წყაროზედ
 ამყარებს ავტორი იმ აზრს, რომ თამარს და ღემნას
 ერთმანეთი უყვარდათ და ზიორგი მეფე წინ აღუდგა
 ამ გრძნობას ფანატიკოსი მართლმადიდებელი თვალთ-

ისარიო? არც ერთი ფაქტი ამ მოსაზრების დასა
მაგრებლად არ სჩანს“ (იქვე გვ. 381).

2. აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძისა.

აკაკი წერეთელმა—წინათ ქართულათ და ბო-
ლოს რუსულათაც—„მეფხისტყაოსნის“ შესახებ ლექ-
ცია წაიკითხა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ამ
პოემის გმირები წამდვილი ქართველები არიან, სა-
ქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელნიო.
შოთას ეწადა მთელი საქართველოს სურათი და-
ეხატა, და რადგან იგი სხვადასხვაბუნებიანია და
ერთი გმირის, ერთი ტიპის საშვალეებით მთელი
ქართველი ერის გამოხატვა არ შეიძლებოდა, ამი-
ტომ სხვადასხვა კუთხის გმირი აიყვანა, ერთმანეთს
გადააკავშირა, ერთმანეთით შეავსო და ისე წარმო-
გვიდგინაო. ტარიელი ამერია (ქართლელი), ჭვთან-
დილი—იმერი, ხოლო შრიდონი—ზღვისპირელიო.
ტარიელი უცნაური ძალის მქონე გმირია, მის სურ-
ვილს ვერაფერ ეწინააღმდეგება; რასაც ხელს მოა-
ვლებს, ამსხვრევს; ყოველთვის და ყველგან პირდა-
პირია; ის გულის ამყოლია და მხოლოდ გულს
ემსახურება, ხოლო, როცა საქმე გონების ძაღლო-
ნეზე მიდგება, მაშინ კი მისი გმირობა ცოტათი
ფერნაკლულიაო.—ჭვთანდილიც ღონიერია, მაგრამ
მის გმირობას სანდომიანობა აქლია. თუმცა გული
მაასაც გაუმეფებია, მაგრამ ვეზირათ თავი მიუჩენია—

და ამიტომ ყოველთვის მისი გული თავს ემორჩილება, რომლითაც ასჯერ გაზომავს ხოლმე და ერთხელ გადასჭრისო.— შრიდონს არც ტარიელისოდენი გული აქვს და არც ავთანდილის სწორი თავი, მაგრამ ისიც მათებრ უშიშარია, მხნე და ღონიერიო; შრიდონი ქეიფის მოყვარეა და ტოლ-ამხანაგისათვის თავგანწირულიო; თავისთავათ მოქმედება არ შეუძლია, მაგრამ მხარის მიცემა კი უკეთესი არ შეიძლებაო.— ძალებიც ხასიათით ვაჟებს გავან, ნესტანი — ტარიელს, თინათინი — ავთანდილს: ნესტანდარეჯანი ამერია, თინათინი კი — იმერია. ნესტანდარეჯანი ქალთა შორის ტარიელია — ძლიერი, პირდაპირი და გამბედავი; ტარიელისადმი სიყვარულს იგი არ ფარავს: ნახა ტარიელი თუ არა, მაშინვე შეუყვარდა — და ისე გადაყვა გულს, რომ დაფარვა ვეღარ მოახერხა, ასმათსაც გამოუტყდა და თვით ტარიელსაც წერილსა სწერსო. თინათინი კი, პირიქით, ავთანდილივით თავდაქერილია, გულს ადვილათ არ აყვება ხოლმე: ავთანდილი უყვარს, მაგრამ ღრომდი ამ გრძნობას მალავსო, და სხვ.

ილია ჭავჭავაძე ამ ლექციის შესახებ აკაკის გამოეკამათა და უპასუხა, რომ ამგვარი შეხედულება დამამცირებელია „მეფხისტყაოსნის“ ავტორისა, ვინაიდან, ასე რომ იყოს, მაშინ ეს გმირები მსოფლიო ტიპები, „კაცად-კაცი“ არ იქნებიან და „მეფხისტყაოსნის“ მსოფლიო მნიშვნელობა არ ექნებაო:

„იქნება ბ-ნმა ლექტორმა რუსთაველის განდიდებისათვის მოიწადინა, რომ ტარიელი უსათუოდ ქართული ყოფილიყო, ავთანდილი — იმერელი და შრიდონი — ზღვის-პირის ქართველი? მითამ შექსპირს განა იმითი იწუნებს ვინმე და, პირიქით, იმითი არ აღიდებენ ყველანი და მსოფლიო გენიოსად არასთვლიან, რომ კაცად-კაცი გამოჰყვანდა თავის სახელოვანს დრამებში, და არა შოტლანდიელი, ვალისელი და ინგლისელი?..“ „მოდევ ვიტყვით, რომ ტარიელი, ავთანდილი, შრიდონი და სხვანი კაცად-კაცი არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი. არც ერთი მათი მოქმედება, არც ერთი ეპიზოდი მათის ცხოვრებისა ძალად და განგებ ჩართული არ არის და ყოველივე წარმომდგარია იმ კაცობრიულ ზოგად ბუნებისაგან, რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება და არა სხვასა. ამაშია მთელი სიდიადე რუსთაველის გენიოსობისა“. —

ამ ორის ჩვენი მგოსნის შეხედულებაზე ზნდა ესთქვათ, რომ ორივეს აზრი მისაღებია, მათი აზრები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება — და, მაშასადამე, აკაკის შეხედულება სულაც არ ამცირებს „მეფობისტყაოსნისა“ და შოთას მნიშვნელობას. საქმე ის არის, რომ ტარიელი თავისი ტემპერამენტით, თავისი ხასიათის მხარეებით მართლაც აღმოსავლეთის საქართველოს, ამერეთის შვილს გვიხატავს, ხოლო

პეტანდილი — ღასავლეთისას, იმერეთისას; მაგრამ ეს თვისება მათი ხასიათისა სულაც არ უშლის ხელს იმას, რომ ისინი მაინც მსოფლიო ტიპებათ, ან, როგორც ილია აშაბა, „კაცად-კაცებათ“ ითვლებოდნენ. შოთას შეეძლო თავისი პოემის გმირებათ მხედველობაში თავისი ქვეყნის შეილები ყოლოდა, მხოლოდ ისე კი გამოეხატა ისინი, რომ მათში „კაცად-კაცობის“, მსოფლიო ტიპების მხარეები ყოფილიყო მოთავსებული. მართლაც ასეთები არიან განსაკუთრებით ტარიელი და პეტანდილი. ჩვენი კრიტიკის საბოლოო აზრიც იმას გვეუბნება, რომ შოთას „შეფხისტყაოსანი“ ორიგინალური ნაწარმოებია და შინაარსიც თანამედროვე ქართველობის ცხოვრებას შეიცავს. მაშასადამე, პეტას ჰიპოთეზაში არაფერია იმისთანა, რომ სინამდვილეს ეწინააღმდეგებოდეს.

(იხ. ჩემი „ქართ. ლიტერ. სახელმძღვ., ილია პავტაძე“, გვ. 66—67).

3. პროფ. ნიკ. მარისა.

პროფესორმა ნ. მარმა „შეფხისტყაოსნის“ შესახებ პირველათ ის აზრი გამოთქვა, რომ ეს პოემა სპარსულიდან არის ნათარგმნი და იმის დედანი ბრიტანეთის ერთერთ მუზეუმში უნდა ინახებოდესო. როცა დედანი არსად აღმოჩნდა, ბოლოს ეს აზრი შესცვალა, თანახმათ წინასიტყვაში მოხსენებულისა: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმა-

ნები, ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ სა-
გოგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“-ო.
შოთამ სპარსულიდან გადმოთარგმნილ მოთხრობას,
თავისი წარმტაცის მუსიკალური ლექსების მეოხე-
ბით, ეროვნული ქართული სახე მისცა და იგი სა-
ხალხო განძათ გადააქციაო („Древнегрузинские
описцы“, 1902, გვ. 51). — ამასთან ერთად პრო-
ფესორი ფიქრობს, რომ „თამარიანათ“ წოდებული
ნაწარმოების ავტორი შოთა რუსთველი უნდა იყო-
სო — და ჩახრუხაძე, რომელიც „თამარიანის“ ავ-
ტორათ ითვლება, ალბათ შოთას გვარიაო; მაშასა-
დამე, შოთას სრული სახელწოდება უნდა იყოს
შოთა ჩახრუხაძე რუსთველი. — „მეფხისტყაოს-
ნისა“ და „თამარიანის“ ავტორების იგივეობას
პროფესორი უმთავრესათ შემდეგ საფუძვლებზე ამყა-
რებს: ა) „თამარიანში“ ბევრია იმისთანა ტერმინი
და გამოთქმა, როგორიც „მეფხისტყაოსანში“ (მო-
ყვანილია ამის მაგალითები); — ბ) შოთა თავისი პოე-
მის წინასიტყვაში ამბობს: „მას (ე. ი. თამარს) ვა-
ქებ, ვინცა მიქია“-ო, და უნდა ვიფიქროთ, რომ
„მეფხისტყაოსნის“ დაწერამდი თამარის საქებრათ
შოთასგან დაწერილი ხოტბები ისინი არიან, რო-
მელნიც ჩახრუხაძის სახელით არიან ცნობილიო; —
გ) ჩახრუხაძე რომ სხვა პირი ყოფილიყო, და არა
თვით შოთა, იმ შემთხვევაში შოთა თავისი პოემის
ბოლოში იმასაც ისე მოიხსენიებდა, როგორც მოსე

ზონელი, შავთელი და სარგის თმოგველი მოიხსენიაო (იქვე,—გვ. 51, 58, 73, 75 და სხვ.).

მოყვანილ დებულებათა შესახებ შემდეგი უნდა ვსთქვათ. თუ რომ პროფ. შარის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ შოთამ რომელიღაც სპარსული მოთხრობით მხოლოდ ისარგებლა, როგორც მასალით, და შემდგომ ამ სიუჟეტს, „თავისი წარმტაცი მუსაქალური ლექსების მეოხებით, ეროვნული სახე მისცა“, იმ შემთხვევაში, რასაკვირველია, მისი აზრი მისაღებია. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ აზრის განმარტების დროს იგი ამბობს: ეს „ქართულად ნათარგმანები“ სპარსული პროზული მოთხრობა, როგორც შოთას სიტყვებიდანაც ჩანს, „მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები“ ყოფილაო. ამისთანა აზრის მიღება შეუძლებელია, ვინაიდან ამ შემთხვევაში შოთა მხოლოდ მთარგმნელათ უნდა ვიცნოთ—და მაშინ თვით პროფესორის აზრშიც წინააღმდეგობა იქნება: თუ რომ შოთა სპარსულის ობოლი მარგალიტის მხოლოდ გადმომთარგმნელია, მაშინ რასლა ნიშნავს—„ეროვნული ქართული სახე მისცა“—ო?! ორში ერთი უნდა იყოს: დასახელებული სპარსული ამბავი თავისთავათ „ობოლი მარგალიტი“ ყოფილა—და მაშინ ლექსათ გარდამქმნელის როლი მხოლოდ შესაფერი ფორმით გადმოცემაში გამოიხატებოდა, ან—სპარსული ამბავი ჩვენმა მგოსანმა მხოლოდ მასალათ გამოიყენა—და ეს მასალა

„ობოლი მარგალიტი, ხელის-ხელ საგოგმანები“ მხოლოდ მაშინ შეიქნა, როცა შოთამ მას „ქართული ეროვნული სახე მისცა და თვისი წარმტაცის მუხიკალური ლექსებით“ გამოხატა. — რაც შეეხება იმ აზრს, რომ შოთა რუსთველი და ჩახრუხაძე ერთი და იგივე პიროვნებააო, შესაძლოა ოდესმე ეს მართალიც აღმოჩნდეს, ხოლო დღესდღეობით ეს აზრი დაუმტკიცებელ ჰიპოთეზათ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან პროფესორის მიერ მოყვანილი საბუთები საკმარისი არ არის — და ძნელი დასაჯერებელიცაა, რომ „თამარიანის“ ტლანქი ფორმებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ნარნარი, სუბუქი ენის შემოქმედი ერთი და იგივე პიროვნება იყოს. თუმცა პროფესორი „თამარიანის“ ენის სიმძიმეს ხოტბების — ოდების თვისებით ხსნის, ჩაგრამ, ჩვენის აზრით, საგანთა განსხვავებას ენა-სტილში ასეთი განსხვავების მოხდენა არ შეუძლია.

4. ალექსანდრე ხახანაშვილისა.

პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანსა“ და „ხალხურ ვეფხისტყაოსანს“ (ტარიელისა, ნესტან-დარეჯანისა და საზოგადოთ „ვეფხისტყაოსნის“ გმირების შესახებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაგონილ შაირთქმულობებს) ერთმანეთს ადარებს და აქიდან ის რწმენა გამოყავს, რომ ხალხური თქმულობა წინ უძღოდა ხელოვნურს, რომ შოთამ ხალხური თქმულო-

ბებით ისარგებლა და ისინი თავისი პოემის საფუძვლათ გახადაო; „პოემა საერო სქემას, თვითშემოქმედებითი ნიჭით, დრამატიული სისრულე და ფსიქოლოგიური სინამდვილე მისცა, გმირების დამოკიდებულება უფრო მწყობრათ ავიდა, „პეტანდილი. ტარიელი და შრიდონი ნათესაური კავშირით გააცალკევა, ხოლო მეგობრული სიყვარულით შეაერთა, კაცის გულში უფრო ღრმად ჩაიხედა და იქიდან თვითცნობიერების მარგალიტი ამოხიდა... იგი დამდერს საერო ჰანგს, ნაციონალურ მოტივს, თამარის მეფობის დროს ისტორიული ძლევამოსილობით გაღვივებულს»-ო. — «მსოფლიო ისტორიაში ხალხური ამბის შემკობა კერძო მწერლის ნიჭით იშვიათი მოვლენა არ არის. მე-17 საუკუნეში მოლიერი თავის „ტარტიუფს“ სწერს საერო გარდმონაცემთა მიხედვით. აზგვარადვე იქცევა ლესინგი „ნატან-ბრძენის“, შექსპირი — „ჰამლეტის“, ბეტე — „შაუსტის“, ბაირონი — „ლონ-ჟუანის“ შექმნის პროცესში. შოთაყ ამ გზას ადგია: იგი სარგებლობს ხალხის თქმულებით „მეფე-ხისტყაოსნის“ სიუჟეტად»-ო. — «შესაძლებელია, რომ „არაკი ტარიელისა“ საქართველოში ეკლთენოდეს იმ ციკლთა ნაწარმოებთ, რომელნიც აშენებულნი არიან ესრედ წოდებულს მოსიარულე სიუჟეტზედ. იქნება იმიტომაც თქვა თავის შრომის შესახებ რუსთაველმა: „მსე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდაეთქვი, — საქმე ვქმენ საქმე».

ნანები“-ო. „ამბად“ შემოსული აღმოსავლეთი-
დგან (კერძოდ, შეიძლება, სპარსეთიდან) არაკი
„ლექსად“ გარდაქმნა. ეს სიტყვები მოწმობენ, რომ
ზეპირად მოთხრობილი ამბავი ტარიელზედ უფროსია
ხელოვნურად შექმნილს პოემაზედ“-ო. — «ტარიე-
ლის ამბის ვარიანტების შედარება და ჩვენს ზღაპრებ-
თან დაპირისპირება გვაძლევს საშვალებას აღმოვა-
ჩინოთ საერთო სათავე ამ გავრცელებული ზღაპრუ-
ლი „მეფხისტყაოსნისა“ და იმ უძველესი ჩონჩხისა,
რომლითაც ისარგებლა რუსთაველმა პოემის სიუჟეტად.
ამასაც გავხედავთ და ვიტყვით, რომ ერს იმიტომ
უყვარს და აღიღებს შოთას ნაწერებს, რომ შინაარსი
იმის პოემისა ხალხის გულიდგან არის ამოღებული.
ნურც იმას დავივიწყებთ, რომ, თუ რუსთაველმა
ააგო თავის ნაწარმოები საერო თქმულების სიუჟეტ-
ზედ და შემდეგ მოჰქარგა ხელოვნურად, მის განსა-
კუთრებითი ნიჭით შექმნილი პოემაც მოქმედებდა
ერის გრძნობა-გონებაზედ. იმის საგულისხმიერო
ფილოსოფიური აზრები ვრცელდებოდნენ ხალხში და
ანდაზების ხასიათს იძენდნენ.... მკრევე პროცესი
შეხვდნენ ერთმანეთს, — ზეპირთქმულებამ მისცა სიუ-
ჟეტი პოეტს და პოეტის ქმნილებამ ზედმოქმედება
იქონია ხალხის შეხედულებაზედ“ (იხ. მისი „სიტყვი-
ერ. ისტორ.“, 1904 წ., გვ. 372—375*).

*) მართლწერა და ენა-გამოთქმა ყველგან ავტორისაა.

პლ. ხახანაშვილის მოსაზრებათა შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ ხალხური „მეფხისტყაოსანი“ შაირებით არის ნათქვამი — და შაირი კი იმგვარი ფორმაა სიტყვიერებისა, რომ, რაც უნდა შეიცვალოს იგი დროთა განმავლობაში, როგორც ხალხური ზეპირსიტყვა, მაინც დარჩება შიგ მისი წარმოშობის დროინდელი ფორმები და გამოთქმები; ხალხური „მეფხისტყაოსნის“ შაირები კი გარეგანი ფორმით, ენის ყოველგვარი ხასიათით — ახალი დროის ნიმუშებია, არა უგვიანეს მე-17 საუკუნისა. შეუძლებელია მე-12 საუკუნემდის ისე სუბუქი ლექსები ყოფილიყო, როგორიც არის, მაგალ., ხალხური ლექსი პეტანდილის შესახებ:

„პეტანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი;
შერც მოკლა ხარი, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი;
ნახტომსა შევლსა ფერდსა ჰკრა ისარი ორბისფრთიანი;
ჩამოხტა მუხის ძირასა; ცეცხლი დაანთო ძრიანი.
სანამ მწვადი შეიწოდა, ცხენსა მისცა საძოვარი“ — და სხვ.

ამგვარი ლექსი არ შეიძლება იყოს ნაწარმოები უძველესი დროისა, და ხალხური „მეფხისტყაოსნის“ შაირები კი ყველა ამგვარი სახისა და ხასიათისაა. მაშასადამე, უნდა ვირწმუნოთ, რომ ხალხური „მეფხისტყაოსანი“ ხელოვნური „მეფხისტყაოსნის“ შვილია: შოთას პოემამ ისე გაითქვა სახელი, რომ ხალხის გულისყური მტკიცეთ მიიპყრო — და, რაკი ძველ დროს წერა-კითხვა მხოლოდ წარჩინებულ ოჯახებში

იცოდენ, ხოლო ფართო მასაში ზეპირი თქმულობა მუწაობდა, ხალხმა შოთას მიბაძა, ხელოვნური პოემის შინაარსი თავისებურათ გადააკეთა და, დროთა განმავლობაში, „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გმირი იმ სახით გამოხატა, როგორც ამას დღეს ხალხურ პოეზიაში ვპოულობთ.

5. იუსტინე აბულაძისა.

როგორც ვიცით, ძველათ აზიაში და შემდეგ მეროპაშიც ხელმწიფეები ხშირათ თავის „კარზე“, ე. ი. სასახლეში, სახელოვან მგოსნებსა და მეცნიერთ შემოკრებდენ ხოლმე. მათი მიზანი ის იყო, რომ ამ სახელოვან მგოსან-მეცნიერთა საშვალეებით თავისი სახელიც გაედიდებიათ. აზიის სახელმწიფოთა შორის ამ მხრით ზაზნის სულტანი მაჰმუდი (11 საუკ.) იყო წესანიშნავი, ხოლო მეროპაში—ლუდოვიკო ნე-14 (17-18 საუკ.). იუსტ. აბულაძის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ „კარის-მწერლობის“ ნაწარმოებია— თამარის დროისა, ჩვენი კლასიკური ეპოქის უკანასკნელი წლებისა. იგი ამბობს: „თამარის ციურ-სა სახემ, მისმა სოცნებო მშვენიერებამ და სამეფო კეჟამ მცტისმეტად აამაღლა მეფის უფლება და შეუწყო ხელი მისი პიროვნების გაღმერთებას. მისმა ჰაეროვანებამ და სანდომიანმა სახემ ზეშთააგონა თანამედროვე მეღექსეთა მუზა, რამაც გამოიწვია კარის მწერლობის გავითარება. მაშინდელი სპარსუ-

ლი ლიტერატურა, რომლის გამოშვებელია შირ-
დოუსის შაჰ-ნამე და ბაზნის სულთნის მაჰმუდის
კარზე კარის-მწერლობის უმაღლეს წერტილამდის
განვითარება, ყველაზე უფრო შეესაბამებოდა თავისი
შინაარსით ოსმალეთის ბრწყინვალე ეპოქის საერო მი-
მართულებას. ამიტომაც სპარსულის ლიტერატურის
გაველენა ბუნებრივად შემოიქრა ქართველი საზოგა-
დოების კარის კაცთა უმაღლეს წრეში“ (იხ. იუსტ.
აბულაძის გამოც. „მეფხ.“ გვ. XII).

პოემის შექმნის დროის შესახებ ბ. აბულაძე
სამართლიანათ ამბობს: „ცნობილია, რომ დაჩაგრუ-
ლი ერი თავის დღეში ვერ შესძლებს რაინდის იდეა-
ლების შექმნას. მტრისგან დამონება და დაჩაგვრა
ერს გულს უტეხს სააქაოზე და იწვევს მასში მისტი-
კურს ანუ ასკეტურს სასულიერო მიდრეკილებას.
დაბეჩაფებულ მდგომარობაში მყოფი ერი ვერ შე-
ქმნის საერო მსოფლმხედველობას; „მეფხისტყაოსანი“
კი დამახასიათებელია პოეტის ეპოქაში გაბატონე-
ბული წმინდა რაინდული მიმართულებისა, რომლის
მიხედვით საერო (ამჟვეყნიური) მსოფლმხედველობა
შეკარად იმარჯვებს სასულიეროზე. სრულიად ბუნე-
ბრივია წარმოვიდგინოთ, რომ შეუდარებელი რაინ-
დობა და ქალის კულტი რუსთველის პოემაში, რაც
ისე ნიჭიერად დაგვისურათა პატივცემულმა ნ. შარმა,
აყო ერთი უმთავრესი შედეგთაგანი სახელმწიფო-
ბრიობის შექმნისათვის ბრძოლისა. ამ ბრძოლის

ნიადაგზე შემუშავდა იდეალები რაინდისა, რომელიც თავის უმთავრეს მოვალეობად სთვლიდა მეფისა და მამულისთვის თავის გაწირვას“ (იქვე, გვ. XI). — „ამიტომაც ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ღრმა-აზროვანი და თავის თანამედროვეებზე გონებრივად მაღლა მდგარი პოეტი-მონარქისტი ყოფილიყო მეფის გავლენის შესუსტებისა და სახელმწიფოს დაქსაქსვის ხანაში. მს წარმოუდგენელია ნამეტური იმით, რომ „შეფხისტყაოსანში“ სულ წინააღმდეგს ვხედავთ. აქ, პირიქით, გაღმერთებულია მეფის პიროვნება, რაც სრულიად ბუნებრივია და მოსალოდნელი კლასიკურის ეპოქის პოეტ-მოქალაქისაგან, რომელიც იმავე დროს იდეალური რაინდი იყო“ (იქვე, გვ. XV). — „საქმე ის კი არ არის, თამარის ეპოქას ეკუთნის თუ არა პოეტი, არამედ ის, რომ საქართველოს მწერლობის კლასიკურ ხანას ეკუთნის. ამიტომ საგულეებელია, რომ პოემა თამარის შემდეგაც იყოს დაწერილი, მე-13 საუკუნეში, სახელდობრ — მის პირველ ნახევარში“ (იქვე, XXI).

ბ. აბულაძე წინააღმდეგია იმათი აზრისა, რომელიც ფიქრობენ, რომ „შეფხისტყაოსნის“ შინაარსი ქართველთა ცხოვრებას შეეხებაო. იგი ამბობს (გვ. XXII): „ზამეფებული აზრი, ვითომც „შეფხისტყაოსანი“ წარმოადგენდეს თამარის დროის ისტორიული შემთხვევების ალეგორიულ გამოხატულებას, ჩვენ მიგვაჩნია ყოველს საფუძველს მოკლებულად:

ერთი რამ არის ქეშმარიტად სარწმუნო, სახელდობრ ის, რომ პოემა კარის მწერლობის საუკეთესო გამო-
ხატულებაა. აქედან ცხადია, რომ მე პირადად რუსთვე-
ლის ნაწარმოებს არა თუ ვისიმე საქებრად და-
წერილად ვსთვლი, მე მას არც კი ვსთვლიხოტბად,
რადგან ხოტბა ხოტბაა: მას თავისი ფორმები და
სპეციალური მნიშვნელობა აქვს, „შეფხისტყაოსანი“
კი მხოლოდ სამეფოდ მოწოდებული პირების საგმი-
რო საქმეებს წარმოგვიდგენს. იგი ისე, როგორც
შაჰ-ნამე, მხოლოდ საკარო მწერლობის გამომხატ-
ველია. იგი მეფეთა წიგნია. ამიტომ, ჩვენის აზრით,
ყველაზედ უწინ „შეფხისტყაოსანი“ იმ კარის მწერ-
ლობის გამომხატველია, რომელიც ეთეროვანის
თამარის პიროვნებამ შექმნა“.

ავთანდილი არაბია, ლოცვა მისი ნამდვილი
მაჰმადიანის ლოცვააო, — ამბობს ბ. აბულაძე; ავ-
თანდილის ანდერძიც ნამდვილი არაბულია (გლახა-
კებზე ქონების გაცემა, მონების გათავისუფლება
და სხვ.). ავთანდილთან ერთად ტარიელიც და
საზოგადოთ პოემის ყველა მომქმედი პირი სარწმუ-
ნოებით მუსულმანია და ქრისტიან ქართველებს
ისინი არაფრით მოგვაგონებენო, — ამტკიცებს მკვლე-
ვარი (იხ. მისი „მე-XII საუკ. ქართ. მწერლობის
ხასიათი და რუსთველის „შეფხ.“, 1908 წ., გვ. 19,
20 და სხვ.).

იუსტ. აბულაძე „მეფხისტყაოსანს“ განსაკუთრებით ორს ძველს აღმოსავლეთურ ნაწარმოებს აღარებს, „მისრამიანსა“ და „ბარამიანს“, და მათ შორის—როგორც შინაარსით, ისე ენის მხრითაც—ბევრნაირ მზგავსებას პოულობს და ასე დაასკვნის: „ამ შედარებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ, ერთის მხრით, „მეფხისტყაოსანი“, თავისი სიუჟეტით, ძლიერ წააგავს „ბარამიანს“, გარეგანის ფორმით კი უახლოვდება „მისრამიანს“. მაგრამ „მეფხისტყაოსანსა“ და დასახელებულ ნიმუშებს შორის მაინც დიდი განსხვავებაა. — „მეფხისტყაოსანში“ თქვენს ყურადღებას იპყრობს განსაცვიფრებელი სიმეტრია, რომელიც დაცულია შინაარსის ინტერესთა თანდათანობითს ზრდაში: უცნაურის გმირის „კვალწმინდად წარხდომა“ („კაცისა, ვითა დევისა“), პეტანდილისა და ოინათინის რომანი, როგორც ტარიელისა და პეტანდილის საუკუნო მეგობრული კავშირის ნამდვილი მაზეზი, დასასრულ—კერძოდ „მეფხისტყაოსნის“ შესახები ამბავი,—ყველაფერი ისე ხელოვნურად არის მოთხრობილი და ისეთის ინტერესის გამომწვევი სიმეტრიით შეწყობილი, რომ საკმაოა, პოეტის აღმაფრენასთან და მის უმაღლეს წერტილამდი განვითარებულს მხატვრულ რითმასთან ერთად, რომ გაფანტოს ყოველი ექვი ამ ნაწარმოების ორიგინალობის შესახებ. „მეფხისტყაოსანს“ რომ გამოვაკლოთ უმაღლეს წერტილამდი განვითარებული რო-

მანული სიყვარული, პოეტური აღფრთოვანება, მხატვრული რითმა, მოქმედი პირების პსიხოლოგიურად დასურათება, მაშინ ჩვენ იგი გვეჩვენება „ბარამიანის“ მსგავს სადევგმირო მოთხრობად. „ბარამიანში“ ჩვენ ვხედავთ უსიკოცხლო და უფერულს აღმოსავლეთის ზღაპრულ გმირებს, „მეფხისტყაოსანში“ კი ეს გმირები ხორცშესხმულია, სცენაზე გამოსული სამოქმედოდ“ (იქვე, გვ. 39—40). — „მეფხისტყაოსნის“ როგორც შინაარსი, ისე მისი გარეგანი მხარე გვაძლევს უტყუარ საბუთს აღვიაროთ ამ ნაწარმოების სიუჟეტი მაჰმადიანურის, სახელდობრ სპარსული მოთხრობის ნაშთად. ბევრი იშვიათი არაბულ-სპარსული სიტყვა და საკუთარი სახელები (ჩაშნაგირი, მუსაფი, მაქა, მულლაზარი, ღულადუხტ), რომელთა უმეტესობა შეიძლება ახსნილიქმნას მხოლოდ სპარსული ენის ცოდნით და რომელნიც სრულიად ეუცხოება ქართულ ტექსტს, ამკარად მოწმობს ქართული ტექსტის დამოკიდებულებას სპარსულ დედანზე“ (იქვე, 29). — „ჩვენი მე-XII საუკუნის საერო მწერლობა სპარსულის ლიტერატურის პირმო შვილია; იგი სპარსულის საკარო ლიტერატურის გავლენით იყო გამოწვეული. სპარსული საკარო ლიტერატურა სრულიად შეესაბამებოდა თამარის საქართველოს ბრწყინვალე პოლიტიკურ მდგომარეობას და ძველი ქართველის რაინდულ მიმართულებას. ამ ლიტერატურის მი-

მართულების უძლიერესი გამომხატველია რუსთველის „მეფხისტყაოსანი“. თუმცა ამბავი უცხო ქვეყნებს და ხელმწიფეებს ეხებოდა, ავტორმა იმდენად შესცვალა და გადმოაქართულა ეს ზღაპრული მოთხრობა, რომ დღეს, თვალწინაც რომ გვედვას ის უცხო ხელმწიფეების შესახები ამბები, რომლებიც მან ლექსად გარდასთქვა, ჩვენ მსგავსებასაც ვერ ვპოვებდით მასში ისეთ დიდებულ ნაწარმოებთან, როგორიც არის „მეფხისტყაოსანი“: ის იყო „ამბად ნათქვამი“, ეს კი — „წყობილი მარგალიტია“, ის იყო ჩონჩხი, ეს კი — გენიის უმაღლესი და უმშვენიერესი ნაწარმოებია“ (იქვე, 47).

ბ-ნი აბულაძის მოსაზრებანი ყველა მისაღებია, გარდა ერთისა, რომლითაც იგი ცთილობს დაამტკიცოს, თითქო „მეფხისტყაოსნის“ შინაარსი ქართველთა ცხოვრებას სრულიადაც არ შეეხებოდეს. მს რომ ასე იყოს, მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ ყველა ის ფაქტი ზეგარემოება, რომელნიც პროფ. ჩუბინაშვილსა და სხვებსაც მოყავთ და რომელთაც, როგორც თამარის დროის ისტორიულ ფაქტებს, „მეფხისტყაოსნის“ გმირების ცხოვრებას უკავშირებენ, შემთხვევითი ხასიათისაა, რაიც ნამდვილ ცხოვრებაში წარმოუდგენელია. თვით ბ. აბულაძე თავის განმარტებაში ამბობს, რომ შოთა თამარის დროის „ქარის მწერლობის“ გამომხატველი მგოსანიაო, და, მაშასადამე, გასაკვირველიც არ არის, თუ „ქარის მგო-

ბანძა“ თავის დიდებულ ნაწარმოებში იმ პიროვნებათა სახეები ჩააქსოვა, რომელთაც იგი თაყვანსასცემდა. მკვლევარი ზევით მოყვანილ ტექსტში ამბობს, რომ შოთამ ზღაპრული მოთხრობა „შესცვალა და გადმოაქართულა“-ო, და რას ნიშნავს ეს გადმოქართულება, თუ არა ქართველი ხალხის ცხოვრებისა და ტიპების გამოხატვას? მაშასადამე, ამ შემთხვევაში მკვლევარის დასკვნა მის განმარტებას ეწინააღმდეგება—და, ამ სახით, იგი ვერ დაარღვევს იმ დებულებას, რომ „მეფხისტყაოსანში“ რამდენათმე პოეტის თანამედროვე ცხოვრებაა ჩაქსოვილი და მისი გმირებიც ქართველი ხალხის ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული არიან.

6. სარგის ძაკაბაძისა.

სარგის ძაკაბაძემ შოთა რუსთველის ცხოვრებისა და ავტორობის შესახებ მეტათ საექვო დებულება წამოაყენა: იგი ცთილობს დაამტკიცოს, რომ—1) შოთა რუსთველი დიდი თამარის დროის მგოსანი არ არის, იგი თამარის მეფობის ხანას საკმაოდ დაშორებულია, ასე რომ «რუსთველის მიერ „მეფხისტყაოსნის“ დაწერა არ შეიძლება მიეკუთვნოს მე-14 საუკუნის მეორე ნახევარზე უფრო ადრინდელ დროს“-ო;—2) „მეფხისტყაოსანში“ ერთი ნაწილი მე-13 საუკუნეშია დაწერილი, თამარს შემდეგ, არა შოთა რუსთველისაგან, არამედ სარგის თზოგველი-

საგან, ხოლო სარგის თმოგველს ეს დაწყებული პოემა დაუსრულებელი დარჩა—და შოთამ იგი განაგრძო, შესაძლოა თმოგველის ნაშრომიც შეავსო და შეაკეთაო:

„პირველი და საუკეთესო ნაწილი „მეფხისტყაოსნისა“ დაწერილი უნდა იყოს სარგის თმოგველის მიერ 1250 წლის ახლოს. სარგისს ამ თავისი ნაწარმოების დამთავრება ვერ მოუხწრია. როდესაც თმოგველთა გვარი თმოგვიდან წასულა, ეს დაუმთავრებელი პოემა ხელში ჩაეარდნია შოთა რუსთველს, რომელსაც ის წარუდგენია საქართველოს მეფის ბიორგი მე-VIII შეილის ღვით მეფისათვის. ღვით მეფეს უბრძანებია პოემის დამთავრება თამარ ატუხაზ-იშერეთის მეფის საქებ-სადიდებლად. ამ თამარზე თვით შოთაც გამიჯნურებული ყოფილა. შოთა უნდა ყოფილიყო დიდგვარიანი კაცი, მესხი, რომელიც ახლად დასმული უნდა ყოფილიყო რუსთველად. შესაძლებელია, ის იყო მხარგრძელების ერთ-ერთ შტოს, ეგებ თმოგველების: წარმომადგენელი“.... „შოთა ცხოვრობდა მეXV საუკუნის პირველ ნახევარში, თავისი შრომა შეასრულა 1405—1412 წლებში, ხოლო 1435—1440 წლ. მანვე ჩაუმატა პოემას ზოგი რამ ტაეპები (მეორე რედაქცია)“ [„მეფხ.“, ძაკაბ. გამოც., გვ. 68).

„მეფხისტყაოსანი“ რომ თამარის დროს არ ეკუთნის, ამ დებულებას სარგის ძაკაბაძე უმთავრე-

სათ იმით ასაბუთებს, რომ ამ პოემაში ხმარებული ბევრი ტერმინი (მაგალ. სკამი, მოლარე და სხვ.) ჩვენს ენაში მე-12 საუკუნეს შემდეგ (13—14 საუკ.) შემოვიდაო; ცნობილი ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის დასაბუთებით კი ეს სიტყვები ქართულ ენაში თამარის ეპოქაზე ბევრათ უფრო ადრე ყოფილა შემოსული (10—11 საუკ.;—იხ. მისი „მართვ. ერ. ისტ.“, 1914 წ., გვ. 662—666). სარგის ძაკაბაძის დასაბუთებაში არც ის დებულებაა სარწმუნოთ გაშუქებული, თუ იგი შოთას რატომ სთვლის „მეფხის ტყაოსნის“ გამგრძობათ, სარგის თმოგველის ნაწარმოების მიმთვისებლათ და ან შემესებ-შემკეთებლათ.

ამ სახით, სარგ. ძაკაბაძის მთელი მსჯელობა შოთა რუსთველისა და „მეფხისტყაოსნის“ შესახებ მეტათ საეჭვოთ მისამჩნევია, დაუსაბუთებელი პოთეზებია, რაიც, რასაკვირველია, საკმარისი არაა, რომ საუკუნეობით მთელ ერში განმტკიცებული და მრავალი სარწმუნო მოსაზრებით დასაბუთებული აზრი და რწმენა შესცვალოს.

IV. „მეფხისტყაოსანი ქართული ორიგინალური პოემაა თუ ნათარგმნი.

„მეფხისტყაოსნის“ ორიგინალურობის შესახებ კამათი ქართველ საზოგადოებაში წინა საუკუნეებშიც ყოფილა. ზოგნი მას სპარსულიდან ნათარგმნათ

სთვლიდნენ — და ამიტომ იყო, რომ ქართული რენესანსის (აღორძინების) მესვეურმა, მეფემ შახტანგ VI-მ, ამ ეკვის შესამოწმებლათ, ძველი სპარსული მწერლობა გულმოდგინეთ განიხილა. ზანსაკუთრებული კამათის საგნათ ეგ საკითხი მე-19 საუკუნეში გახდა, როცა პირველათ პროფ. ნიკო მარმა გადაკრით გამოაცხადა, რომ „მეფხისტყაოსანი“ სპარსულიდან არის ნათარგმნიო. ძამათი ამ საგნის შესახებ დღეს დასრულებულათ უნდა ჩაითვალოს, მით უფრო იპიტომ, რომ „მეფხისტყაოსნის“ ნათარგმნათ გამოცხადების ინიციატორი — პრ. მარი — აღნიშნული „დედნის“ არსებობის უსაფუძვლოებაში დარწმუნდა — და თავისი დებულების დაცვას თავი მიანება.

მკვი „მეფხისტყაოსნის“ ორიგინალურობის შესახებ თვით ამ პოემიდან, მისი „წინასიტყვაობიდან“ წარმოსდგა, სადაც შემდეგია ნათქვამი:

„მე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელისხელ საგომანები,
შოვე და ლექსად გარდავთქვი, საკმე ვკმენ საკოკმანები“-ო.

ამ სიტყვებს რომ პირდაპირი მნიშვნელობა ქონდეს, მაშინ საკამათო არაფერი იქნებოდა; მაგრამ ჯერ ერთი — მთელი „წინასიტყვაობა“, როგორც ზეითაც არის ნათქვამი, საექვოთ არის გამოცხადებული, და მეორე — ეგ სიტყვები რუსთველის ნათქვამიც რომ იყოს, შესაძლოა, სხვა საფუძვლების მიხედვით, მათ სხვანაირი აზრი მიეცეს, და არა პირ-

დაპირი. აი ეგ საფუძვლებიც: ა) პოემა რომ პირ-
დაპირ სპარსულიდან ნათარგმნი იყოს, თუნდა პრო-
ზიდან „ლექსად გარდათქმული“, ამისთანა საქმეზე
არ ითქმის „საჭოჭმანები“ (ე. ი. სახელოვანი, სა-
სახელო); ბ) სპარსულ ლიტერატურაში ვერც მახ-
ტანგ მუეცესემ (სპარსული ენისა და მწერლობის წარ-
ჩინებულმა მცოდნემ) და ვერც სხვებმა ვერ პოვეს.
იმისთანა ნაწარმოები, რომ „შეფხისტყაოსნის“ დედ-
ნათ ჩაითვლებოდეს; გ) სპარსულ ლიტერატურაში
რომ „შეფხისტყაოსნის“ დედანი—ვთქვათ—ოდესმე
ყოფილიყოს და დაკარგულიყოს, შეუძლებელია სპარ-
სეთის მაღალ წრეებში მაინც და მწერლობაში იმის
შესახებ რაიმე გარდმოცემა, ტრადიცია არ დარჩენილ-
იყო; ნამდვილათ კი, როგორც ცნობილია, „შეფ-
ხისტყაოსნის“ შესახებ იქ არავითარი გარდმოცემა
არ არსებობს; დ) ამ სახით, რაკი „დედანზე“ ლა-
პარაკისათვის საფუძველი არ მოიპოება, „წინასი-
ტყვაობიდან“ ზევით მოყვანილი ხანა შესაძლოა ასე
გავიგოთ: ჩვენმა მგოსანმა რაიმე სპარსული სიუ-
ჟეტით, „სპარსული ამბავით“, ზეპირთქმულობით ან
პროზათ დაწერილით, ისარგებლა და მას ქართული
„თარგმანება“ შეუფარდა, ე. ი. ქართული ეროვნუ-
ლი სული შთაბერა, იგი საკუთარი პოეტური
ფანტაზიითა და შემოქმედებით განავითარა და შიგ
საკაცობრიო აზრები და გრძნობები გამოსახა, საკა-
ცობრიო ტიპები შექმნა. ამისთანა საქმე—მართლაც

„საქოქმანები საქმე“-ა, სასახელო, დიდებული საქმე; ამისთანა საქმეს სრულიადაც არ ამცირებს და არ ჩრდილავს ის გარემოება, რომ მწერალი დედააზრს საიდანმე სესხულობს, როგორც არ დაუჩრდილავს ამ გარემოებას დიდებული შექსპირი, რომელმაც თავისი ტრაგედიებისათვის იტალიური ნოველებით (მოთხრობებით) ისარგებლა.

ზევით მოყვანილ საბუთებს ის საფუძვლიანი მოსაზრებაც უნდა დავუმატოთ, რომელიც „მეტხისტყაოსნის“ შინაარსის ჩვენს ისტორიულ ცხოვრებასთან შედარებიდან გამომდინარეობს და ამტკიცებს, რომ პოემაში ბევრი იმისთანა ფაქტია მოხსენებული, რომელიც თამარ მეფის ისტორიულ ცხოვრებას გვიხატავს, და, მაშასადამე, შოთას თავისი პოემით თანამედროვე ცხოვრება გამოუხატავს, დიდებული თამარის დრო და პიროვნება აღუბეჭდია.—მს აზრი პირველათ პროფ. ღვით ჩუბინაშვილმა გამოსთქვა (იხ. ზევით ღ. ჩუბინაშვილის აზრი)—და შემდეგ იგი სხვებმაც გაიზიარეს და თამარის ცხოვრებასთან „მეტხისტყაოსნის“ გმირების თავგადასავალის შედარების ახალი პარალელებით შეავსეს.

თამარის ცხოვრებასთან „მეტხისტყაოსნის“ შინაარსის კავშირის დასამტკიცებლათ, ამ აზრის თანახმათ, შემდეგი პარალელები შეგვიძლია მოვიყვანოთ: 1) პოემაში ორი სხვადასხვა მეფის ასულია

გამოყვანილი, ოინათინი და ნესტანდარეჯანი, და ერთშიც და მეორეშიც, როგორცა ჩანს, შოთას ოამარის პიროვნება ყავს გამოხატული. პრაბეთის მეფეს როსტევანს ვაჟი არ ყავდა—და ერთადერთი ასული მისი ოინათინია მემკვიდრე პრაბეთის ტახტისა. ასეთივე ბედი წვევია ონდოეთის მეფეს შარსადანსაც, რომელსაც აგრეთვე ვაჟი არ გააჩნია და ერთადერთი ასული—მშვენიერი ნესტანდარეჯანი ყავს ნუგეშათ. ოამარიც ხომ ერთადერთი შვილი იყო ბიორგი III-ისა, ერთადერთი მემკვიდრე ტახტისა; 2) ბიორგომ ასული ღვისი ოამარი თავის სიკოცხლეშივე დასვა ტახტზე, და ასევე როსტევანსაც თავის სიკოცხლეში აყავს ტახტზე ოინათინი; შარსადანმაც აგრეთვე ასე განიზრახა: თავის სიკოცხლეში სწადია ზვარაზმშას შვილის სიძეთ მოყვანა და სიძე-შვილისათვის თავისი სამეფოს გადაცემა; 3) ნესტანდარეჯანს მამიდა ღვარი ზდის—და ოამარიც ხომ მამიდასთან (ჩუსჟუდანთან) იზდებოდა; 4) ოამარი და მისი მომავალი საქმრო, ღვით სოსლანო, ერთად იზდებოდენ, და აგრეთვე ნესტანდარეჯანიცა და ტარიელიც ერთმანეთის ახლოს იზდებოდენ; ასევე ახლოს იზდებოდა პვთანდილიც თავის მომავალ სატრფოსთან—ოინათინთან; 5) ოამარმა პირველათ, მართალია, უცხოზე დაიწერა ჯვარი (ბიორგი ბოლოლიუბსკიზე)—და ანალოგია აქ თითქო ირღვევა, ვინაიდან ნესტანი უცხოს არ შეუერთავს;

მაგრამ უცხოელთან კავშირის ანალოგიით ისიც მისა-
ლებია, რომ ნესტანის მშობლებს უკვე გადაწყვეტი-
ლი ქონდათ ზვარაზმშას შვილის სიძობა—და ეს
გადაწყვეტილება მხოლოდ ტარიელის მიერ ამ სასი-
ძოს მოკვლამ დაარღვია; ამ შემთხვევაში ზვარაზმშას
შვილის მოკვლა შესაძლოა ბიორგი რუსის განდევ-
ნას დავუპირდაპიროთ—და მაშინ ანალოგია სრული
რჩება: ტარიელმა ნესტანის საქმრო მოკლა—და ამით
მას საშვალება მიეცა მომავალში ნესტანის შერთვისა,
ხოლო თამარის ქმარი ბიორგი, თამარის მხრით
უნებურათ შერთული, საქართველოს მოაშორეს—
და თამარი ბოლოს მაინც საყვარელ ადამიანს შეუ-
ერთდა.

ზევით აღნიშნულ ანალოგიებს გარდა სხვებსაც
ასახელებენ, მაგრამ მოყვანილი მაგალითებიც საკმა-
ოთ ასაბუთებს იმ მოსაზრების საფუძვლიანობას,
რომ „შეფხისტყაოსნის“ ავტორს თავისი პოემის
შინაარსი რამდენათმე, მართლაც, თამარის დროისა-
თვის დაუკავშირებია. შეუძლებელია—წმინდა სპარ-
სულ ნაწარმოებში, თუ ეს პოემა მართლა უცხოელ
ავტორს ეკუთვნოდა, სრულიად შემთხვევით ამდენი
მზგავსება ყოფილიყო თამარის ცხოვრების ისტო-
რიული ფაქტებისა.

„შეფხისტყაოსნის“ ქართულ-პოემაში რომ
რაიმე საფუძვლიანი ეჭვი გვეპარებოდეს და იმის

უცხოობის რაიმე თვალსაჩინო საბუთი რომ არსებობდეს, სასირცხოც იქნებოდა მითვისება იმისა რაც ჩვენ არ გვეკუთნის. ასე წოდებული პლაგიატი—ლიტერატურული ქურდობა—კერძო პირისათვისაც მეტათ დამამცირებელია, და მით უფრო დამამცირებელი იქნებოდა იგი მთელი ერისათვის. მაგრამ საქმეც ის არის, რომ, როგორც დავინახეთ, არ არსებობს ოდნავაც არის გასამართლებელი საფუძველი მისი ნათარგმნობისა, და, ამასთან ერთად, რუსთველის სახელი და მისი „მეფხისტყაოსანი“ ქართველი ერის ცხოვრებაში იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ ადვილათ მას ვერავის დაეუთმობთ.

სულ სხვა ხასიათისაა საკითხი „მეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ნასესხობისა,—საკითხი შესახებ იმისა. თუ შოთას პოემაში სპარსეთისა ან სხვა ქვეყნის ლიტერატურის გავლენა რამდენათ გამოხატულა. ცნობილია, რომ საქართველო,—ეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხებს შორის მდებარე მხარე, ეს ისტორიული ხიდი აზიასა და ევროპას შორის,—ორივე მხრით დიდს კულტურულ გავლენას განიცდიდა—და ეს გავლენა განსაკუთრებით მწერლობაში აღბეჭდილია. აღმოსავლეთის მხრით უფრო ძლიერი იყო იგი, მეტადრე სპარსეთის მხრით, რომელსაც აღმოსავლეთის ერებს შორის უფრო ადრე და უფრო მდიდარი მხატვრული მწერლობა შეუქმნია, და ქარ-

თულ პოეზიაზე სპარსული მხატრული მწერლობის გავლენა ხომ ყველასათვის თვალსაჩინოა:

რუსთველის დროს სპარსულ ლიტერატურაში მრავალი განთქმული სამიჯნურო და საღვეგმირო თხზულება მოიპოვებოდა: „მისრამიანი“, „ლეილა და მეჯნუნი“, „ბარამიანი“ და „ბარამიანის“ ტიპის სხვა მოთხრობები („ბაჰრამ-გულიჯანიანი“, „ბაჰრამ-გულანდანიანი“ და სხვ.).

შოთა რუსთველს, ექვი არ არის, სპარსული მწერლობა ზედმიწევნით გაცნობილი ექნებოდა—და ზევით დასახელებულ ნაწარმოებთაც უთუოთ კარგათ იცნობდა; აღნიშნული მოთხრობანი კი თავისი შინაარსით რამდენათმე—ზოგი მეტათ და ზოგი ნაკლებათ—„შეფხისტყაოსნის“ შინაარსს მოგვაგონებენ. ამიტომ სრულიად მისაღებია ის მოსაზრება, რომ რუსთველს ერთერთი მათგანი (ან ყველა ერთად) მხედველობაში მიუღია, მისი სიუჟეტით უსარგებლია და შეჰდევ, თავისი პოეტური ფანტაზიისა და შემოქმედების მეოხებით, ის სრულყოფილი პოემა შეუქმნია, რომელთანაც პროტოტიპი თავისი ღირსებით უკვე ახლოსაც ვერ მივა. — ამგვარი დებულება „შეფხისტყაოსნის“ „წინასიტყვაობასაც“ ეთანხმება, შეაძლებელიც არის და, ამავე დროს, როგორც ზევითაც არის ნათქვამი, არც პოეტის ნიჭიერების დამამცირებელია და არც ქართველი ერის გრძნობის შეუღრაცხმყოფელი.

განსაკუთრებით საკულისხმო ადგილები.

„ვეფხისტყაოსნიდან“.

1. წინასიტყვა*)

ა. შესავალი.

1. რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა, ზეცით მონაბერითა;
ჩვენ, კაცთა, მოგვცა, ქვეყანა,—გვაქვს უთვალავი
ფერითა,—

მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერითა.

2. ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა
ტანისა!

შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილმდე გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

6. აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება!
ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს,—მივსცე
გონება;

*) წინასიტყვა აქ შინაარსის მიხედვით არის დაწყობილი, ხოლო წინ დასმული ციფრები მაჩვენებელია ხანათა იმ რიგისა, რომლითაც ხელნაწერები ჩვენამდე მოსულა.

მით შევეწივნეთ თარიელს, ტურთადცა უნდა ხსენება. —

მათ სამთა გმირთა მნათობთა სკირთ ერთმანერთის მონება.

3. მის შეენის, ლომსა, ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა მეფისა, მზის თამარისა, ლაწვბადახშ-თმაგიშერისა! მას, არა ვიცი, შეეკადრო შესხმა ხოტბისა შერისა! მისთა მკერეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მიშერისა!

4. თამარს ვაქებდეთ, მეფესა, სისხლისა ცრემლდა-თხეული;

მთქვენით ქებანი ვისნიმე, არ ავად გამორჩეული; ზელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული; ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული!

5. მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბი-ლისა,

ჰება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა, ბროლ-ბადახშისა ილილისა, მით მიჯრით მიწყობი-ლისა. —

ზასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

7. მო, დავსხდეთ, თარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი.

მისებრი მართ დაბადებით ვინცა ყოფილა შობილი! ღაფჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულლახ-ვარსობილი,

აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

15. მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა, ამადარი. მის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მის-თვის მკედარი:

ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

16. ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
 მით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
 ჰპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საქოჴ-
 მანები;
 ჩემბან ხელმქმნელმან დამმართოს, ლაღმა და ლამაზ-
 მა, ნები.

17. თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა აჲლად
 ჩენა;
 აჰა, გული გამიჯნურდა, მიხდომია ველთა რბენა!
 მიაჯეთ ვინ! ხორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა
 ლხენა!
 სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ლენა.

ბ. შაირობა.

19. შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი-
 ხალმრთო სალმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დი-
 დი მარგი,
 ავლავ აქაცა იამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი.
 ბრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.

20. მითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი
 რბევა,
 მობურთაღსა — მოედანი. მართლად ცემა, მარჯვედ
 ქნევა. —
 მართ აგრევე მელექსეთა ლექსთა გრძელთა თქმა
 და ზევა,
 რა მისჴირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.

21. ზაშინლა ნახეთ გელექსე და მისი მოშაირობა,
რა ველარ მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან
ძვირობა,—
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამცი-
რობა,
ხელნარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმი-
რობა.
22. მოშაირე არა ქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი;
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
ბანალა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
ზაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს, ვითა
ჯორი.
23. მეორე: ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უძს სრულქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმი-
რეთა,—
ვამსგავსე მშვილდი პედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოკვლენ, ხელად აქესთ ხოცა ნადირთა
მცირეთა.
24. მესამე: ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერელად,
სააწიკოდ, საღაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად;
ჩვენ მათიკა გვიამების, რაცა ოდენ თქვან ნათე-
ლად;—
მოშაირე არა ქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.
25. ჩამს მელექსე ნაპირებზესა მისსა ცუდად არ აბრ-
კემობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ჰოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას
ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენამუსაკობდეს.

26. ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა შიქია,
მსე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფრქვევით ქვემოთ მითქვამს, მიქია.

ბ. მიჯნურობა.

9. მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი
გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი.
ნურვინ გარევთ ერთმანერთსა;—გესმისთ ჩემი
ნაუბარი?
8. მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ
ვითა მზეობა,
ზიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,
მნა, გონება, დათმობა, მძლეობა მებრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.
10. ზამს მიჯნური ხანიერი, არ მეძაღვი, ბილწი, მრუში.
ზა მომორდეს მოვეარესა, გაამრავლოს სულთქმა,
უში,
ბული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიხედეს, თუნდა
ქუში.
მძულს უგულოდ სიყვარული, ხვეენა, კოცნა, მტლაშა-
მტლუში.
11. ამა საქმესა მიჯნურნი ნუ უხმობთ მიჯნურობასა:
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა
თმობასა.
მსე მღერასა ბედითსა ჰგავს ვაჟთა ყმაწვილობასა.
პარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა.

12. არს პირველი მიჯნურობა — არ დაჩენა. პირთა მადლვა:
თავის წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდეს ხალვა,
შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შო-
რით ალვა:
დასთმოს წყრომა მეფეთაგან, მისი ჰქონდეს შიში,
კრძალვა.
13. ხამს, თავისსა ხეაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს,
არ ბედითად ჰაი ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
არსით უჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის კირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა
მოიღებდეს.
14. მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჟღავნოს?
ამის მეტი რამცა ირგოს — მას ავნოს და თვითცა
ივნოს!
რათამცალა ასახელოს, რა სიტყვითა მოაყივნოს?
რა გავა, თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკენოს!
18. რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას
უბნობდეს:
მუშა მიწყვი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს,
ძვლავ მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამო-
სცნობდეს.
არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს.
27. მთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა
ხენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
მინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდეს მრავალთა წყე-
ნათა.
28. მას ერთსა მიჯნურობასა ჰკვიანნი ვერ მიხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან:

მეჩვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხელფ-
ბიან;

მართ მასვე ბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით
ბნდებიან.

29. მიჯნური, შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
პირი რომე შმაგობს მისისა ვერ მიხდომისა წყენითა;
ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმა
ფრენითა,

ქელავ ზოგთა ქვე-უძს ბუნება კეკლუცთა ზედან
ფრენითა.

30. მიკვირს, კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვა-
რულსა!

ვინცა უყვარს, რად აყივნებს—მისთვის მკვდარსა,
მისთვის წყლულსა!.

თუ არ უყვარს, რად არა სძულს? რად აყივნებს,
რაცა სძულსა?!

აესა კაცსა ავი სიტყვა ჟრჩეენია სულსა, გულსა.

31. თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა
ემართლებს;

სიარული, მარტოობა შეენის, გაჰრად დაეთვლების;
ჩგონებდეს, მისგან კიდე ნურაოდეს მოეცლების;

არ დააჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცთა იახლების.

II. ბოლო სიტყვა.

32. გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა.

გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა.

ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.

ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა დაბისა.

33. ძართველთა ღვთისა ღვითის, ვის მზე მსახურობს
სარებლად,
მსე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად,
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებ-
ლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა დამამაგ-
რებლად.
34. ღვითის ქნარი ვითა ვთქვენ, სიჩაღზე, სიხატეთანი!
მსე ამბავნი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეცვეთანი,
მპოვე და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყვითანი.
35. მსე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წანწამისა მსწრობელი.
რასა ვინ ეძებთ, რას აქნევთ!—ზედია მაყივნებელი!
ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისავე იყოს მსლემბელი.
36. ამირან ღარეჯანის ძე მოსეს უქია ზონელსა.
აბდულ-მესია—შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ—სარგის თმოგველსა, მან ენა დაუშრო-
მელსა.
თარიელ—მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუ-
შრობელსა.

III. ამბავი ზეჩვეული როსტევეს აღზრდა მეფისა.

37. იყო არაბეთს როსტევეს, მეფე ღვთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კელავ მოუბარი წყლიანი.

38. სხვა ძე არ ესეა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული,
ხოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული;
მან მისთა მკვრეტთა წაჴლის გული, გონება და სული;
ბრძენი ზამს მისად მაქებრად და ენა პევრად ასული.
39. შიხი სახელი თინათინ, — არს ესე საცოდნარია; —
რა გაიზარდა, გაიქცა, მზე მისგან საწუნარია.
მეფემან იხმნა ევზირნი, თვით ზის ლალი და წყნარია,
მეგრდსა დაისწნა, დაუწყო მათ ამო საუბარია.
40. ბრძანა: „გკითხავთ საქმესა. ერთგან სასაუბაროსა: —
რა ვარდმან მისი ყკავილი გაახმოს, დააქნაროსა,
იგი წავა და სხვა შოვა ტურფასა საბაღნაროსა: —
მზე ჩავისვენდა, ბნელსა ექვრეტთ ღამესა ჩვენ,
უთვაროსა.
41. „მე გარდასრულვარ, სიბერე მკირს. ჭირთა უფრო
ძნელია:
ღღეს არა, ხეალე მოვეცდები, სოფელი ასრე მქმნელია;
რადაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია!
ჩემი ძე დაესვით ხელნი წიგელ, ვისგან მზე საწუნელია“.
42. შეზირთა ჰყადრეს: „მეფეო, რად ბრძანეთ თქვენი
ბერობა!
მარდი თუ გახმეს, ეგრეცა გეწართებს რაზომცა
ჯერობა,
მისიეე ჰმეტობს ყოველსა სული და ტურფა თერობა, —
მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰყადრა
მტერობა!
43. მაგას ნუ ბრძანებ, მეფეო, ჯერ ვარდი არ დაგქნობია, —
თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარვისა მჯობია;
ხმდა განალამცა სათქმელად, რაცა თქვენ გულსა
გლმობია, —
სჯობს, და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენათლობია.

44. თუცა ქალია ხელმწიფედ, მართ ღვთისა დანაბადია;
 აბრ გათნევთ, იცის მეტობა, უთქვენოლ გვითქვამს
 კელა ღია;
 შეუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
 ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ზვადია“.
45. ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა,
 საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მოვარისა,
 ჯერ უწვევრული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა;
 მას თინათინის შვენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა.
46. ბულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად;
 რა მოშორდის, ვერმკერეტელმან ვარდი შექმნის
 ფერნაკლულად;
 ნახის—ცეცხლნი გაუასლდის, წყლული გახდის უფრო
 წყლულად.
 საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გუღიმოკლუ-
 ლად.
47. რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,
 ავთანდილს მიხვდა სიამე, ვსება სკირს მის სოქალისა.
 თქვა: „ზედაზედა მომხედების ნახვა მის ბროლ-ფიქა-
 ლისა,
 ნუთუ ვით ეპოვო წამალი მე ჩემი, ფერგამქრქალისა!“
48. არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლო-
 ბელმან:
 „თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშო-
 ბელმან;
 მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან!
 შოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკო-
 ბელმან“!
49. შოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდეს ხასისა,
 ავთანდილ-პირმზე სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა,

ვეზირი სოგრატ—მოახლე მეფისა დასთა დასისა.

მათ რომე დასდგეს საჯდომი, თქვეს: — „უთქმელია
ფასისა!“

50. შინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
დასვა და თავსა გვირგვინი დაადგა თავის ხელითა,
მისცა სკიპტრა და შეჰოსა მეფეთა სამოსელითა.
ჰალი მზებრ უქვერეტს ყოველთა ცნობითა ზემხედ-
ველითა.

51. უკუ-დგეს და თავყვანი სცეს მეფეთა და მისთა სპათა,
ღალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით
სხვათა,
ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატეზობდეს ტეზილთა
ხმათა;
ჰალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყოვრისა
ბოლო ფრთათა.

52. ჰამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ელირსებოდა.
ამად ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა.
მეფე სწოთენის: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა,
ამისად ჰმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამევსე-
ბოდა“.

53. უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩვენგან ხელმწიფედ
ხმობილი,
აქათგან ესე სამეფო მართ შენია მონდობილი,
ხარშკა ბრძნად მჰმნელი საქმისა, იყავ წყნარი და
ცნობილი.“

54. „ვარდთა და ნეხვთა გინადგან მზე სწორად მოე-
ფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგე-
წეინების;

- შხვი ახსნილსა დაბაბს, იგი თვით ების, ვინ ების-
 შხვად გასცემდი: ზღვათაცა შესდის და გაედინების.
55. „მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალფა რგულია;
 შხვსა მორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია.
 სმა-ჰამა — დიდად შესარგი, დება რა საფარგულია?
 რასაცა გასცემ — შენია, რაც არა — დაკარგულია!“
56. ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,
 შურსა უპყრობდა, ისმენდა, წრთენასა არ მოიწყინებდა;
 მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა;
 თინათინ მხესა სწუნობდა, მ-გრამ მხე თინათინებდა.
57. მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი.
 შბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბნკდულევი,
 მომართვით ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი“.
 მოართვეს, — გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი.
58. მას ღღეს გასცემს ყველაცა სივაცისა მოგებულსა-
 რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა.
 მერმე ბრძანა: „გიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა,
 ჩემსა ნუვინ ნუ დაშალავს საჭურჭლესა დადებულსა“.
59. შბრძანა: „წადით, გახსენით, რაცა სად საჭურჭ-
 ლენია!
- ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია!“
 მოიღეს, — გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია.
 ლარსა ხვეტიდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია.
60. ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა,
 მას ტაიქსა არაბულსა, ქვენაბამსა, ნასუქალსა,
 რომე ჰგეანდა სიუხვეითა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა;
 არ დაარჩენს ცარიელსა — არ ყმასა და არცა ქალსა.
61. ღღე ერთ გარდახდა; პურობა, სმა-ჰამა იყო, ხილობა,
 ნადიმად მჯდომთა ლაშქართა ნუნ დიდი შემოყრი-
 ლობა:

მეფემან თავი დაჰკიდა და ჰკონდა დაღრეჯილობა.
„ნეტარ რა უმძიმს, რა სკირსო?“ შეჴმნეს ამისი
ცილობა.

62. თავსა ზის პირზე აეთანდილ, მქერეჩთაგან მო-
სანდოზია,

სპათა სპასპეტი ჩაუჭი, ვითა ვეფხი და ღოზია;
ვეზირი, პერი სოგრატი, თვისი მასთანავე მჯდომია.
თქვეს თუ: „რა უმძიმს მეფესა, ანუ რად აყერი
ჰკრთოზია?“

63. თქვეს თუ: „მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩაეცდ-
ნოლა,

თვარე აქა სამძიმარი მათი ყოლე არა კმნილა.
ათანდილ თქვა: „სოგრატი, ეკითხოთ. გეოთხრას რა-
ცა შეგვეცოლა,

მკადროთ რაზე საღალობო, რასათვისცა გაგვაწილა.“

64. აღგეს სოგრატი და აეთანდილ ტანითა მით კე-
ნარითა,

თვითო აივსეს კიქები, მიჴლენ ჭცევეთა წყნარითა.
წინა მიუსხდეს მუხლ-მოყრით, პირითა მოცინარითა;
ვეზირი ღაღობს ენითა, წყლიანად მოჴმნარითა:

65. „დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო!

მართალ ხარ, წახდა სატურქლე თქვენი მძინე და
ძვირიო:

ჟეელასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ-ხშირიო...

ჟოლამცა მეფედ ნუ დასვი, თავსა რად უგდე კირიო!“

66. რა მეფემან მოისმინა, გაცინებით შემოხედნა, —

მაუკვირდა, ვით მკადრაო, ან სიტყვანი ვით გაბედნა...

ძარგა ჰქმენო, დაუმაღლა, ბრძანებანი უიმედნა:

„ჩემი ძრახვა სიძუნწისა, ტყუვის, ვინცა დაიუბედნა.

67. „შეგ არ მიმძიმს, ვეზირო, — ესეა, რომე მწყენია: სიბერე მახლავს, დავლიე სიყმაწვილისა დღენია, ძაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია, რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია.
68. „მრთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა, ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, ვარ საწუთროსა თმოგბითა, — ანუშცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლავ ბურთა-ობითა; —
- პოტასა შემწივეს ავთანდილ, ჩემგანვე განაზრდობითა“.
69. შმა მეფისა ბრძანებასა ლალი წყნარად მოისმენდა, თაემოდრეკით გაიღიმნა, გაცილება დაუშვენდა, თეთრთა კბილთა გამომკრთალსა შუქსა ეელთა მოაფენდა.
- მეფე ჰკითხავს: „რას იცინი, ანუ ჩემგან რა შეგრცხვენდა?“
70. კვლავ უბრძანა: „თავსა ჩემსა რას იცინი, რა დამგემო?“
- შამამან ჰკადრა: „მოგახსენებ და თირმანი მიბოძეო, რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გარისხდე, არ გასწყურო, არ გამხადო კადნიერი, არ ამიკლო ამაზეო“.
71. უბრძანა: „რამცა ეიწყინე თქმა შენგან საწყინარისა!“ ჰფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა. ავთანდილ იტყვის, დავიწყო კადრება საუბარისა: „ანუ მოჰკვებ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა.
72. „მიწამცა თქვენი ავთინდილ თქვენს წინა მშვილდოსანია; ნაძლევი დავდვათ, მოვასხნეთ მოწმად თქვენივე სპანია;

მოასპარეზედ ვინ მგავსო!?—ცუდილა ჯუჯოტყმანია...

ზარდანწყვერელი მისიკა ბურთი და მოედანია!

73. „მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაკლებასა,
ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრეკილობა-კლებასა,
ჰარგთა კაცთასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ზღუებასა,
შერმე გამოჩნდეს მოედანს,ვისძი უთხრობდეს კებასა“!

74. აეთანდილცა დამოჩილდა, საუბარი გარდასწყვი-
დეს,
იცინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგა
ზმრდეს,

ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკვნიდეს:

„მინცა იყოს უარესი, თავშიშველი სამ დღე ვლიდეს“.

75. ძვლავ ბრძანა: „მონა თორმეტი ჭეცხათ ჩვენთანა
მარებლად,
თორმეტი ჩემად ისრისა მომრთმევლად, მოსახმარებ-
ლად,

მრთაი შენი შერმადინ არს მათდა დასაღარებლად:

ნასროლ-ნაკრავსა სთვალვიდენ უტყუერად, მიუ-
მცდარებლად“.

76. მონადირეთა უბრძანა: „მინდორი მოიარენით.

დასცევით ჯოგი მრავალი, თავნი ამისთვის არენით“.

ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს: „მოდიოთ და მოიჯა-
რენით“!

ზაჰყარეს სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გაეხარენით.

77. დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი.

ძოწეულთა მოსილი, პირად ბროლ-ბალახმოსანი,

პირს ოქროს რიდე ეხვია, შევნოდა ქარქაშოსანი,

მეფესა გასვლად აწვევდა,—მოდგა თეთრტაიქოსანი.

78. შეეკაზმა მეფე, შეჯდა, ნადირობას გამოვიდეს.

მრგვლივ მინდორსა მოსდგომოდეს, ალყად გარე
შემოკრვიდეს:

ზეიმი და ზარი იყო, სპანი ველთა დაფარვიდეს;
ნაძლევისა მათისათვის ისროდეს და ერთგან სრვიდეს.

79. უბრძანა: „მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლი-
დითა,
მშვილდსა ფიცხელსა მოგვცემდით, ისარსა მოგვა-
რთმიდითა,
ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა“.
დაიწყო მოსვლა ნადირთა ყოვლთა მინდორთა კიდითა.

80. მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშმიუწდომელი,
ირემი, თხა და კანჯარი, ქუროციკი მალლა მბტომელი.
მას პატრონ-ყმანი გაუხდეს, — ქვრეტადმცა სჯობდეს
რომელი!

აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი და უშრომელი!

81. ცხენტა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუ-
ხმიდეს;
მიჰხოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლსა მია-
სხმიდეს;
რა ისარნი დაელივნეს, მონანი ყე მოართმიდეს;
მხეცნი. მათგან დაკოდილნი, წალმა ბიჯსა ვერ წა-
სდგმიდეს.

82. იგი ველი გაირბინეს, ჯოგი წინა შემოისხეს,
დახოცეს და ამოსწყვიდეს, ცათა ღმერთი შეარისხეს,
მელნი წითლად შეედებნეს, ნადირთაგან სისხლი ისხეს.
აფთანდილის შემხედველთა: „ჰგავსო ალვას, ედემის
ხეს“;

83. იგი მინდორი დალივეს, მართ მათგან განარბენია;
მინდორსა იქით წყალი დის და წყლისა პირსა კლდენია;
ნადირნი ტყესა შეესწრნეს, საღა ვერა რბის ცხენია;
იგი მაშვრალნი ორნივე მოსწყდეს, რაზომცა მხნენია.

34. მართმანერტსა, „თუ მე გჯობო“, სიცილით ეუბნე-
ბოდეს,
ამნანაგობდეს, ლაღობდეს, იქით და აქათ დგებოდეს;
მერმე მოვიდეს მონანი, რომელნი უკან ჰყვებოდეს.
„შბრძანა: „სთქვითო მართალი, ჩვენ თქვენგან არ
გვეთნებოდეს“.
35. მონათა ჰკადრეს: „მართალსა გკადრებთ და ნუ
გემცდარებით;—
მეფეო, ყოლა ვერ ვიტყვით შენსა მაგისა დარებით:
აწვეცა დაგვხოც, ვერა ჰგავ, ვერათ ვერ მოგეხმა-
რებით,—
ჰისგან ნაკრავნი გვინახაჲნ მხეცნი ვერ წაღმა წარებით.
36. მართავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ოცია,
მაგრა პეტანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია;
არ დასცდომია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყორცია,
თქვენი მრავალი მიწითა დასვრილი დაგვისოცია“.
37. მეფესა ესე ამბავი უჩნს, ვითა მღერა ნარდისა,
„უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა;
აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა,
ხიცილით ლაღობს, მიეცა გულით ამოსვლა დარდისა.
38. იგი ორნივე საგრილად გარდახდეს ძირთა ხეთასა;
ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოდგეს უფროსი ბზე-
თასა;
ახლოს უდგს მონა თორმეტი, უმხნესი სხვათა მხნე-
თასა;
„თამაშობდეს და უქვრეოდეს წყალსა და პირსა ხე-
თასა.

IV. ნახვა აწაბთა მეუღისაგან მის ყმაისა ვეფხისტყაოსნისა.

89. ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა
პირსა;
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ღომსა და ვითა ვმირსა;
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა;
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა გულსა, მდუღრად
ანატირსა.
90. მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა;
მეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქნელი თავისა;
ხელთა ნაქერი მათრახი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა.
ნახეს—და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა.
91. ჟავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულმდუღარისად,
თაფჩამოგდებით მტირლისა, არ ჰკვრეტით მოღიზ-
ღარისად;
მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარისად;
ახლოს მივიდა, მოსცალდა სიტყვისა თქმად აღა-
რისად.
92. ზერა ჰკადრა საუბარი, მონა მეტად შეუზარდა;
დიდხანს უჰკვრეტს გაკვირვებით, თუცა გული უმა-
გარდა;
მოახსენა: „გიბრძანებსო“, ახლოს მიდგა, დაუ-
ყწნარდა;
იგი ტირს და არა ესმის, მისგან გაუუმეცარდა.
93. მის მონისა არა ესმა სიტყვა, არცა ნაუბარი;
მათ ლაშქართა ზახილისა იყო ერთობ უგრძნობარი;
უცხოდ რამე ამოსკვნოდა გული ცეცხლთა ნადნობარი;
ცრემლსა სისხლი ერეოდა:—გასდის, ვითა ნაგუბარი.

94. სხვაგან ჰქრის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!
 მსე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლავ ჰკადრა მონამან;
 არცა დაადლო ტირილი, არცა რა გაიგონა მან.
 არცა გახლიჩნა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან.
95. რა პასუხი არა გასცა, მონა გარე შემოპრუსდა;
 როსტენს ჰკადრა: „შემიტყვია, იმას თქვენი არაუნდა;
 თვალნი მზეებრ გამირეტდეს, გული მეტად შემო-
 ძრწუნდა;
 შერ ვასმინე საუბარი. მით დავყოვნე ხანი მუნდა“.
96. შეფე გაჰკვირდა, გაცასწყრა, გული უძს მისთვის
 მწყრომარე:
 ბაგზაუნა მონა თორმეტი, მისი წინაშე მდგომარე,
 შბრძანა: „ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე,
 შიდიტ და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მჯდომარე“.
97. მონანი მიდგეს, მივიდეს, გახდა აბჯრისა ჩხარია;
 მაშინლა შეჰქრთა იგი ყმა, ტირს მეტად გულმდღუ-
 ლარია,
 თვალნი მოარნა ყოველგან, ნახა ლაშქართა ჯარია,
 მართხელ ესე თქვა: „ვა მეო!“ სხვად არას მოუბარია.
98. თვალთა ხელი უკუივლო, ცხელნი ცრემლნი მოი-
 წურნა,
 ხმალ-კაპარქი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა.
 ცხენსა შეჯდა, — მონათამცა საუბარნი რად იყურნა:
 სხვასა მხარსა გაემართა. მათნი ქირნი არ განეკურნა.
99. მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად;
 მან, გლახ, იგინი დახადნა მტერთაცა საწყალობელად.
 ჰქრა ერთმანერთსა, დაჰხოცნა, თავის ხელალუპყრო-
 ბელად,
 ზოგსა გარდაჰქრის მათრახი, მკერდამდის გასაპობე-
 ლად.

100. მეცე გასწყრა, გაგულისდა, მონანიცა შეუზახნა.
 მან მდევართა მიწვენამდის არ უტვრიტნა, არცა ნახნა;
 რაზომნიცა მიეწივნეს, ყოელნი სკვდართა დაასახნა;
 ძაცი კაცსა შემოსტყორცა, -- როსტენ ამაღ ივაგლახნა.
101. შესადეს მეფე და ავთანდილ მის ყმისა მისაწეველად;
 იგი ლალი და უკადრი მიუა ტანისა მრხეველად;
 ლაიკი მიუგს მერანსა, მიეფინების მზე ველად;
 შეიგნა მისვლა მეფისა მისად უკანა მდეველად.
102. რა სცნა, მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრახი მისსა ცხენსა,
 მასვე წამსა დაიკარგა, -- არ უნახავს თვალსა ჩვენსა:
 ზგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა, ანუ ზეცად ანა-
 ფრენსა, --
 მძებდეს და ვერ პოვებდეს კვალსა, მისგან წანარბენსა.
103. ძვალი ძეხნეს და უკვირდათ ვერ პოვნა ნაკვალევისა,
 აგრე კვალშინდად წარხდომა კაცისა, ვითა ღვევისა;
 ლაშქარნი ეკვდართა სტიროდეს, სწრაფა აქეთ
 წყლულთა ხვევისა.
- მეფემან ბრძანა: „ვნახეო მიზეზი ლხინთა ღვევისა“
104. ბრძანა: „ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შეება.
 ამაღ მიყო სიამისა სიმწარითა დანაღვლება,
 სიკვდილანდის დამაწყლულა, ვერვის ძალ-უძს გან-
 კურნება:
 მასვე მადლი, ესე იყო წადილი და მისი ნება“.
105. მსე თქვა და შემობრუნდა, დაღრეჯილი წამოვიდა;
 არცალა ჰკრა ასპარეზსა, ვამი ვამსა მოურთვიდა;
 ძველაკაი მოიშალა, სადაცა ვინ მხეცთა სრვიდა;
 ზოგთა თქვეს თუ: „მართალია“, ზოგი: „ღმერთო !
 უზრახვიდა.
106. მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი, დაღრეჯილი;
 - მისგან კიდე არვინ შეჰყვა, ავთანდილ უჩნს, ვითა
 შვილი;

შეუღაცაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ დაჯრილი;
შაბედითდა სიხარული, ჩალანა და ჩანგი ტკბილი.

107. შინათინს ესმა შამისა ეგეთი დაღრეჯილობა;
აღვა და კარსა მივიდა,— ჰქონდა მზისაცა ცალობა;—
მოლარე იხმო, უბრძანა: „ძილია, თუ ღვიპილობა?“
მან მოახსენა: „დაღრეჯით ზის, სკირსო ფერზე-
ცელილობა;

108. „ზრათილა ასლავს ავდანდილ, წინაშე უზის სკამითა;
შეხო ყმა ვინმე უნახავს, ასრე დაღრეჯით ამით ა.“
შინათინ ბრძანა: „აწ წავალ, შესვლა არს ჩემგან
ქამითა;

შიკითხოს, ჰკადრე, იყო-თქო აქა ერთისა წამითა“.

109. ხანი გამოსდა, იკითხა: „ნეტარ რასა იქს ქალიო,
ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოცლისა წყალიო?“
მოლარე ჰკადრებს: „მოვიდა აწაღა ფერნამკრთალიო,
დაღრეჯით გცნა და მიბრუნდა წინაშე მომავალიო“.

110. უბრძანა თუ: „წადი, უხმე, უმისობა ვით გაეძლეო!
მოახსენე, რად დაბრუნდი, შენ, მამისა სიცოცხლეო?
მოდო, კმუნვა გამიქარვე, გულსა წყლულსა მეწამლეო,
ზითხრა ჩემი სამიზეზო, მე თუ ლხინთა რად დავლეო“.

111. შინათინ აღვა, მოვიდა, მიჰყვა მამისა ნებასა;
უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა;
მამამან გვერდსა დაისვა, აკოცა ნება-ნებასა;
უბრძანა: „მახლავ რად არა, მელი მე მოყვანებასა?“

112. ძალმან ჰკადრა: „ხელმწიფეო, დაღრეჯილსა ვინცა
გცნობდეს,
ვინმცა გნახა კადნიერად, რაზომ გინდა ამაყობდეს!
თქვენი აგრე დაღრეჯანი მნათობთაცა დაამზობოეს.
პაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, კმუნვასა ესე სჯობ-
დეს“.

113. ზბრძანა: „შვილო, რაზომცა მკირს საქმე საგა-
გლახია.

შენი კერუტა და სიახლე ლხინადვე დამოსახია.

მომაქარეები სევდისა, მართ ვითა მუფარახია.

ვექვი, რა სცნა, შენცა მამართლო, ჩემი სულტკმა და
ახია.

114. „უცხოთა და საკვირველთა ყმასა რასმე გარდევკიდე:
მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე!
რა უმძიმდა, არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე:
ჩემად ნახვად არ მოვიდა, გავგულისდი, წაგვიკიდე.

115. „მე რა მნახა, ცხენსა შეჯდა, თვალთა ცოცხლნი
მოიბოცნა;

შესაპყრობლად შეეუზახენ. სპანი სრულად დამიხოცნა.

მითა ეშმა დამეკარგა, არ კაცურად გარდამოცნა.

ჯეროთცა ესე არა ვიცი, ცხადი იყო თუ მეოცნა.

116. „ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე განე-
მწარნეს,

დამავიწყდა, რაცა დღენი მზიარულსა წამეარნეს;

შოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს, ველარამან მიწე-
ტარნეს;

ხადამდისცა დღენი მესხნეს, ველარამან გამახარნეს!“

117. ჭალმან ჰკადრა: „მოგახსენებ მე სიტყვასა ღანა-
ყბედსა...

ჰე, მეფეო! რად ემღერვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა?
რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად
მხედსა?

ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!

118. „თუ ყოფილა იგი მოყმე ხორციელი, ხმელთა
მელელად,

მას ნახვიდა სხვაცა ვინმე, გამოჩნდების მასწავლელად,

მეფარემ ეშმა გჩვენებია, ლხინთა შენთა შე, ამშლეღად.

კდისაგან მოიცალე, რად შექმნილხარ მოუღბენ-
ლად!..

119. „მე ამას ვარჩევ: მეფე ხარ, მეფეთა ზედან მეუღ-
ბელი,

როს არის თქვენი სასლვარი; ბრძანებამიუთხრო-
ბელი,

მეზაენე კაცი ყოველგან მისთა ამბავთა მცნობელი:

ბღრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი თუ უშობელი“.

120. მოასსნეს კაცნი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა;

შბრძანეს: „წადით, პატიეთა თავიმცა რად დარი-
დეთა!

მონახეთ, სქებნეთ იგი ყმა, სხვად ნურად მოიცლი-
დეთა,

მისწერეთ წიგნი, სადაცა ვერ მისწედეთ, ვერ მიხვი-
დეთა.“

121. კაცნი წავიდეს, იარეს მათ ერთი წელიწადია,

მონახეს; ძებნეს იგი ყმა, იკითხეს კვლავ და კვლადია;

მტრცა თუ ნახეს მნახველი ღვთისაგან დანაბადია,

სცდად მაშვრალნი მოვიდეს, — მათსავე გუღბა ზადია.

122. მონათა ჰკადრეს: „მეფეო, ჩვენ სმელნი მოვიარენით,

მაგრა ვერ ვპოვეთ იგი ყმა, მით ვერა გავიხარენით,

მისსა მნახველსა სულდგმულსა კაცსა ვერ შევეყა-
რენით;

ჩვენ ვერა გარგეთ, საქმენი სხვანი რამ მოიგვარენით.“

123. მეფე ბრძანებს: „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო, —

მნახე რამე ეშმაკისა სიცუდღე და სიბილწეო,

ჩემად მტერად წამოსული, გადმოჰრილი ზეცით ზეო, —

მინიშვია შექირვება, არა მგამა ყოლა მეო“.

124. მსე თქვა და სიხარულით თამაშობა ადიადა:
 მგოსანი და მუშაითი უხმეს, ჰპოვეს რაცა სალა:
 ღია გასცა საბოძვარი, ყველა დარბაზს შემოაღა:
 მისი მსგავსი სიუხვითა ღმერთმან სხვამცა რა დაზადა!
125. ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოღენ მართ
 პერანგი;
 იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი:
 შემოვიდა მას წინაშე თინათინის მონა ზანგი,
 მოახსენა: „გიბრძანებსო ტანი ალუა, პირი მანგი“.
126. ავთანდილს მიხვდა მოსმენა საქმისა სანატრე-
 ლისა,—
 აღგა და კაბა ჩაიცვა, მჯობი ყოვლისა კრელისა:
 უხარის შეყრა ვარდისა, არ ერთგან შეუყრელისა...
 ამოა ქვრეტა ტურფისა, სიახლე საყვარელისა!
127. ავთანდილ ლალი, უკადრი, მივა, არვისგან რცხვე-
 ნოდა;
 მას ნახავს, ვისთა ვამთავან ცრემლი მრავალჯერ
 სდენოდა;
 იგი უებრო ქუშად ჯდა, ელვისა მსგავსად წეენოდა;—
 მთვარესა მისთა შუქთაგან უკუნი გარდაჰვენოდა.
128. ზაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,
 მბურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საპირონი;
 შევენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი;
 მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლად თმანი არ უხ-
 შირონი.
129. ღალრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდითა;
 ავთანდილს უთხრა დაჯდომა წყნარად, ცნობითა
 მშვიდითა;

მონაზან სელნი დაუდგნა, დაჯდა კრძალვით ღარი-
ლითა,

პირის-პირ პირსა უჭვრეტდა, სავსე ლხინითა დიდითა.

130. შამან ჰყადრა: „საზარსა ჩემგან თქმა-ღა ვით
იქნების?

--მზესა მთვარე შეეყაროს დაილგვოს, დაცაჲნების; --
აზრად არად აღარა მცალს, თავი ჩემი მეგონების:
თქვენზე ბრძანეთ, რაცა გიმძიჟს ანუ რაცა გეკურ-
ნების.“

131. ძალმან უთხრა საუბარი კეკელუც-სიტყვა, არ ღუხ-
კირად;

იტყვის: „თუცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანა-
მკირად,

მიკვირს, მოგხვდა წანის-ყოფად საქმე შენგან საგვრი
რად!

მაგრა გიანხრობ პირველ ხვალზე, სენი მე მჭირს
რაცა კირად.

132. „ზახსოვს, ოდეს შენ და როსტანს ნინლორს მხეცი
დაგებოცა,

შმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცოემლი მოღბოცა...

მასუკანით გონებამან მისმან ასე დამამხოცა,--

შენ გენუკვი მონახვასა, კიდით კიდე მოლაზო ცა.

133. „აქანამდის საუბარსა თუცა ვერას ვერ გეტყვია,
მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია...

მიცი, რომე გაუწყვეტლად თვალთათ ღაწვი გი-
სეტყვია,

შეუპყრიხარ სიყვარულსა, გული შენი დაუტყვია.

134. „ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ ყმა ხარ, ხორციელი არვინა გყავს შენად
სწორად,

მერმე ჩემი ზიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაქორად:—
წადი, იგი მოყმე სძებნე. ახლოს იყოს თუნდა შორად.

135. „შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე.
რომე დანახსნა შექირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე;
ბულსა აგრე საიმედო ია მორგე, ვარდი ჰყარე,
მერმე მოდი, ლომო, მზესა შეგეყრები, შემეყარე.
136. „საშსა სძებნე წელიწადსა იგი შენი საძებარი;
ჰპოვო— მოდი გამარჯვებით, მსიარული მოუპარი;
შერა ჰპოვებ—დავიჯერებ, იყო თურმე უჩინარი;—
ჰოკობი და დაუფრჰვნელი ვარდი დაგსვდე, დაუ-
მქნარი.
137. ღიციტ გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა
ქმარი.
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენა-
ქმარი,--
სრულად მოვწყდე სამოახესა, ქვესკნელს ვიყო და-
სანთქმარი;--
შენი მკლევდეს სიყვარული, --გულსა დანა ასაქმარი“.
138. შოახსენა ყმამან: „მზეო, ვინ გიშერი აწამწანე,
სხვა პასუხი რამცა გკადრე, ანუ რამცა შევიწამე...
მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე,
შითა მონა სამსახურად გაღანამცა წავეწამე“.
139. ძვლავცა ჰკადრა: „აჰა, მზეო, რადგან ღმერთმან
მზედ დაგბადა,
შით გმორჩილობს, ზეციერი მნათობია რაცა სადა;
მე რომ თქვენგან მოვისმინე წყალობანი. მედიადა;
შარდი ჩემი არ დაჰნების, შუქი შენი იეფად ა“.
140. ძვლავ შეჰფიცეს ერთმანერთსა, დააპირეს ესე პირი;
ზასალდეს და გაამრავლეს საუბარი, სიტყვა-ხშირი;---

ნადღვილდა, აქანამდის გარდეხადა რაცა ქირი...

მეტრთა კბილთა გამოკრთების თეთრი ელვა, ვითა
კვირი

141. ერთგან დასდეს, ილაღობეს, საუბარი ასად აგეს.
ბოლო-ბადასში შეხვეული და გიშერი ასადაგეს:

მა ეტყვის თუ: „შენთა მკვრეტთა თაფი ხელი ა სად
აგეს!

სეცხლთა, ნანდით მოდებულთა, გული ჩემი ასადაგეს“.

142. მამა წავიდა, სიშორესა თუცა მისსა ვერ გასძლებდა:
შუღლმავე ისეღვითა, თვალთა რეტად აყოლებდა;

ბოლოსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, ტანსა მკვერსა
ათართოლებდა,

მჯელი ჰქონდა გულისათვის, სიყვარულსა ავალებდა.

143. თქვა: „მზეო, ვარდსა სიშორე შენი დამაჩნდეს ეს
ადრე:

ბოლო ღ ლალი გასრულვარ ქარვისა უყვითლესადრე:
მაშინ რაღა ექმნა, ვერ-კვრეტა რა მომსდეს კვლავ

უგრძესადრე?
ხამს მოყვრისათვის სიკვდილი,--ესე მე დამიძს წე-

სადრე“.

144. საწოლს დაწვა. ტირს, მტირალსა ცრემლი ძნე-
ლად ეხოცების:

მითა ვერხვი ქარისაგან, ირხევის და იკეცების;
რა მილულნის, სიახლოვე საყვარლისა ეოცების.

შექრთის, დიდი დაიზახის, მით პატიჟი ეოცების.

145. მოშორებდა საყვარლისა მას შექმნოდა მისად ღაზოდ:
ცრემლსა, ვითა მარგალიტსა, ჰყრის ვარდისა დასა-

ნაზოდ;
რა გათენდა, შეეკაზმა მისთა მკვრეტთა სალამაზოდ;
ცხენსა შეჯდა, გაემართა, დარბაზს მივა სადარბაზოდ.

146. ღარბაზს ეჯობი შეგზავნა, მართ მისგან შენარონია,
შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, მე ესე გამიგონია:
ჰოველი პირი მიწისა თქვენ ხმლითა დაგიმონია,—
აწ თუ სჯობს, ესე ამბავი სცნან, რაცა გარემონია.
147. „მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,
თინათინის სელმწიფობა მტერთა თქვენთა გულსა
ვეგშირო,
მორჩილ-ქმნილნი ჯავახარო, ურჩი ყველა ავატარო,
ძღვენნი გკადრნე ზედა-ზედა, არ სალამი დავაძვირო“.
148. მეფესა ეთქვა ამისი დიადი მადრიელობა,
მბრძანა: „ლომო, არა გქირს შენ ონთა ვამდრეკელობა;
აწ მაგა შენსა თათბირსა ჰგავსო შენივე ქველობა;
ნა, მაგრა მომხვდეს, რალა ვქმნა, თუ სიშორისა
გრძელობა!“
149. შმა შევიდა, თაყუანი სცა, მადლი რამე მოახსენა:
„ხელმწიფეო, მიკვირს, ჰება რად იკადრეთ ჩემი თქვენა!
აწ ნუთუ კვლავ სიშორისა ღმერთმან ბნელი გამითენა,
პირი თქვენი მზიარული მზიარულსა კვლავ მიჩვენა“.
150. მეფე ყელსა მოეკიდა, გარდაჰკოცნა ვითა შვილი,—
სხვა მათებრი არ ყოფილა არ გამზრდელი, არ
გაზრდილი:—
შმა აღვა და წამოვიდა, მას დღე მათი ჩანს გაყრილი;
როსტან მისთვის აატირა გონიერი, გული ლბილი.
151. ზამოემართა პეთანდილ, მოყმე მხნე, ლალად მავალი;
მც დღე იარა, ღამესა დღე ზედა წართო მრავალი.
იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი;
არ მისცილდება თინათინ მისი მას, ვისგან სწვავს ალი.
152. რა მივიდა, სიხარული შიგან გახდა სამეფოსა;—
მოეგებნეს დიდებულნი, ძღვენსა სძღენიდეს იეჭოსა;

- იგი პირმზე არ მოსცდების სიარულსა სასწრაფოსა;
 მიჰხედეს მყოფნი მას წინაშე სიხარულისა საღაფოსა.
153. ჭალაქი ჰქონდა მავარი, საზაროდ სანაპიროსა;
 ბარე კლდე იყო, გაიძობ, ზღუდესა უქვეტიქიროსა;
 შმამან მუნ დაჰყო საში დღე ამოსა სანადიროსა;
 ბაზრდილი მისი შერმადინ დაისცა სავაზიროსა.
154. მსეა პონა შერმადინ, ზემოდცა სახელდებელი.
 თანაშერდილი, ერთგული ღ მისთვის თაედაღებელი ი;
 მან არ იცოდა აქამდის მის ყმისა ცეცხლი დეხული,
 აწ გაუცხადა სიტყვები მის მზისა იმედეგელი.
155. შბრძანა: „აჰა, შერმადინ, ამაღ მე შენგან მრცხენიან:
 ჩემნი საქმენი ყოველნი გცოდნიან, ვაგიფლენიან,
 მაგრა არ იცი აქამდის, რანიცა ცრემლნი მდენიან!
 მე ვისგან მქონდეს პატიჟნი, აწ მასიე მოუღხენიან.
156. „მოუკლავარ თინათინის სურვილსა ღ სიყვარული ა,
 ცხელნი ცრემლნი ასოვლებდეს ნარგიზთაგან ვარჯსა
 ზრულსა;
 შერ ვაჩინდი აქანამდის კირსა, ჩემგან დაფარულსა:
 აწ მიბრძანა საიშედო, ამაღ მხედავ მზიარულსა.
157. „მიბრძანა: «მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა,
 მოხვიდე, სრულ ვქანა მაშინლა შენი წადილი გულისა;
 ძმარი არ მინდა უშენო, მომხედების ხისა რგულისა!»
 მომცა წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა.
158. „პირველ ყმა ვარ, წასვლა მინდა პატრონისა სამსა-
 ხურად, —
 ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გვმართებს ყმასა
 ყმურად, —
 შერმე ცეცხლი დაუესია, აღარა მწევას გულსა შურად..
 ხამს თუ, კაცი არ შეუდრკეს კირს, მიუხდეს მამა-
 ცურად.

159. მართ უმოყვრესნი მე და შენ ყოველთა პატრონ-
ყმათასა,
ამისთივის გნუკავე სპენასა შენ ამა ჩემთა ხმათასა;
ჩემ-წილ დაგაგდებ პატრონად, თავადად ჩემთა
სპათასა,—
ამა საქმესა ვერა ვიქმ მე განდობასა სხვათასა.
160. „ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრებდი, ჰპატრო-
ნობდი,
წარბაზს კაცსა გაგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი,
წაგნსა სწერდი ჩემ-მავიერ, უფასოსა ძღვენსა
სძღვნობდი,
აქა სადმე არ-ყოფასა ჩემსა მათმცა რად აგრძნობდი!
161. „ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე:
აქათ სამ წელ მომიცადე, ხეაშიადი შემინახე:
ჩე ნუთუმცა შემოვბრუნდი, ალვა ჩემი არ დაქნა ხე;
არ მოვბრუნდე, მომივგლოვე, მიტირე და მივაგლახე.
162. „მაშინლა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალთა,
ბეცნობე ჩემი სიკვდილი. იყავ მართ ვითა მთვრალთა;
მიხვდა-თქო საქმე, რომელი ყოველთათვის გარდუვა-
ლია.
ხლახაკთა მიეც საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და
რვალთა.
163. „მაშინ უფრო მომეხმარე, ამისგანცა უფრო მხნედრე;
ნუთუ აღრე დამივიწყო, მახსენებდე ზედა-ზედრე!
მეტად კარგად დამიურვე, სული ჩემი შეივედრე,
ზრდანი ჩემნი მოიგონენ, გული შენი მოიმდებრე“.
164. რა მონამან მოისმინა, გაუკვირდა, შეეზარა,
თვალთათ, ვითა მარგალიტი, ცხელნი ცრემლნი გარდ-
მოჰყარა;

მოახსენა: „უშენომან გულმან რამცა გაიხარა!

ვიცი, რომე არ დადგები, მაგას გიშლი ამად არა.

165. „ჩემად ნაცვლად დაგაგდებო, — ესე ზიტყვა ლად
მიბრძანე?

რაგვარა ვქმნა პატრონობა, რამც გიფერე, რამც გი-
გებანე!

შენ მარტოსა გიგონებდე, მეცა მიწა ვიაკვანე!..

სჯობს ორნივე გავიპარნეთ, წამოგყვები, წამიტანე..

166. ჰმამან უთხრა: „მომისმინე, მართლად გითხრობ,
არა კრელად, —

რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა ვასა-
კრელად...

მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლო-უვაქრე-
ლად!

ძაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასკრე-
ლად.

167. „ვისმცა ვუთხრა ხეაშიადი? შენგან კიდე არვინ
ვარგა:

უშენოსა პატრონობა ეის მივანდო, ვინ იქმს კარგა?

ხანაპირო გაამაგრე, — მტერმან ახლოს ვერ იბარგა:

ძელა ნუთუმცა შემოვიქცე, ღმერთმან სრულად არ
დამკარგა.

168. „შათერაკი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნ-
და ასი;

მარტოობა ვერას მიჯამს, მცავს თუ ცისა ძალთა
დასი;

აქათ სამ წელ არ მოვიდე, მაშინ გმართებს გლოვა,
ფლასი...

წიგნსა მოგცემ, გმორჩილობდენ, ვინცა იყოს ჩემი
ბასი

V. ტაძრელის ომი ხატაველებთან.

169. შუბი ვსთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასა-
რქმელად;
ხომარად ატეხილი ვიყავ მათდა გამტესელად;
მართსა წაგსწვდი უტეფანსა, წავგრძელდი და წავე
გრძელად.
მათ ურიცხვი რაზმი იწყოთ, წყნარად დგეს და აუ-
შლელად.
170. ახლოს მიველ. შემოვხედეს, შმაგიაო, ესე თქვესა;
მუნ მივმართე მკლავმაგარმან, სად უფროსი ჯარი
დგესა;
აქს შუბი ვკარ, ცხენი დავეც. მართ ორნივე მი-
ჰხედეს მხესა;
შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ,—ვაქებ, ხრმალო, ვინცა
გლესა!
171. შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი;
ქაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი
გორი;
ქაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს, ვითა ტანაჯორი;
მართობ სრულად ამოვსწყვიდე წინა კერძი რაზმი ორი.
172. მართობილნი მომეხვივნეს, მრგვლივ შეიქმნა ომი
დიდი.
ვკრი რასაცა, ვერ დამიდგის, სისხლსა მჩქეფრსა
აღმოვღვრიდი;
ახენსა ქაცი გაკვეთილი მანდიკურად გარდავკიდი;
ხითაც ვიყვი, გამექციან, მათ შექმნიან ჩემი რიდი.

VI ანდერძი ავთანდილისა რისიკევან მევის მიძარბო, ოდეს ცაიჰარა.

173. ღაჯდა წერად ანდერძისა, საბრალოსა საუბრისად:
„ჰე, მეფეო, გაეიპარე ძებნად ჩემგან საქმებისად!
მერ დავედგები შეუყრელად ჩემთა ცეცხლთა მომდებ-
რისად;
შემინდევ და წაპატანე მოწყალეა ღვთაებრისად.
174. „შიცი, ბოლოდ არ დანიგმოზ ამა ჩემსა განზრა-
ხულსა.
პაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვა-
რულსა;
მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-
თქმულსა:
სიცრუვე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე
სულსა.
175. „რადგან თავია სიცრუვე ყოვლისა უბედობისა,
მე რად გავსწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს თილასოფოსთა
ბრძნობისა! —
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრ-
თა მწყობრისა.
176. „წაგიკითხავ, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ
სწერენ,
მით იტყვიან, ვით აქებენ, სცან, ცნობანი მიათერენ:
«სიყვარული აგვამაღლებს», ვით ეყვანნი, ამას ჰეღერენ.
შენ არ სჯერხბარ, უსწავლელნი კაცნი რადმცა შევა-
ჯერენ!
177. „მინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევა
მტერთად,
მინ არს ძალი უხილავი, შემწე ყოვლთა მიწიერთად,

ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი
ღმერთად,

იგი გახდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.

178. „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების:
მზისა შუქთა ვერ მკვრეტელი ია ხმების, ვარდი
კნების,

თვალთა ტურთა საკვრეტელი ყველა რამე ეშველნების.

მე ვით გავეძლო ემისობა, ან სიცოცხლე ვით მეთნების!

179. „რაზომცა სწყრები, შეძინდე შეცლა თქვენისა
მცნებისა:

ძალი არ მქონდა ტყვექმნილსა მე მაგისისა თნებისა,

აწ წასულა იყო წამალი ჩემთა სახნილთა გზნებისა.

ხადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფაცა მქონდეს ნებისა!

180. „პრას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლ-
თა დენა;

პრ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა;

წესი არის მამათაგან მოჭირვება, კირთა თმენა.

პრვის ძალ-უძს ზორციელსა განგებისა გარდავლენა.

181. „რაცა ღმერთსა გაუგია თაესა ჩემსა გარდასავლად.
გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული
ავლად:

თქვენვე გნახენ მხიარულნი დიდებით და დავლა-წრავ-
ლად;

მას რა ვარგო, დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად.

182. „მეფეო, ესე თათბირი, მომკალ. ვინ დამიწუნოსა!
მეფეო, ნუთუ წასვლამან თქვენ ჩემმან დაგაჰმუნოსა?!
პერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა:

პირის-პირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა

183. „პრ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა.
ვგმობ კაცსა უაუგოსა, ცრუსა და ლალატანსა!

შერ ვეცრუვები, ვერ ვუბამ მას ხელმწიფესა სვიანსა!
რა უარეა მამაცსა სულდიდსა, წასვლაგვიანსა?

184. „რა უარეა მამაცსა, ომშიგან პირის მღმეკელსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მექ-
ველსა?

ძაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭ-
ველსა?

სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

185. „შერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა
კლდოვანი;

მისგან ყოველი გახწორდეს — ხუსტი და ძალგულო-
ვანი;

ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცო-
ვანი.

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელო-
ვანი!

186. „შერმე ვიშიშვი, მეფეო, თქვენად კადრებად ამისად:
სცდების და სცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის
წამისად;

მოვა შემყრელი ყოვლთათეინ ერთგან დლისა და
ლამისად!

თუ ვერა გნახენ ცოცხალმან, სიცოცხლე მქონდეს
ჟამისად.

187. „თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხო-
ბელმან,

ღარიბი მოგკედე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელ-
მან,

ველარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისან-
დობელმან, —

მუნ შემიწყალოს თქვენმავე გულმან მოწყალე-მლო-
ბელმან.

188. „მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები:
მიეც გლახაკთა საქურქლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები:
მიღეწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოგვეგონები.
189. „რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საქურქლესა
დასადებლად,
მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა გასადებლად;
ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წასაგებლად!
შენგან კიდე არვინ მივის ცეცხლთა ცხელთა დამა-
ვსებლად.
190. „ამას იქით ჩემგან ჩემი ამბავიცა არ გეცნევის,
ამად გვედრებ სულსა ჩემსა,—წიგნი გკადრებს, არ
გეთნევის,
არას არგებს ეშმაკისა საქმეთაგან, დაეძლევის;—
შეშინდევ და შემივედრე, მკედარსა რალა გარდმე-
ხდევის!
191. „ბვედრებ, მეფეო, შერმადინს, მონასა ჩემსა რჩე-
ულსა,—
ნაკად აქვს კირი საშისოდ ამ წელიწადსა წლეულსა,—
ნუგეშინის-ეც წყალობით ჩემგან წყალობაჩვეულსა,
ნუ დაადინებ თვალთაგან ცრემლსა, სისხლითა
ფრქვეულსა.
192. „ბასრულდა ჩემი ანდერძი, ჩემგან ნაწერი ხელითა;
აჰა, გამზრდელო, მოგშორდი, წაველ გულითა ხელითა!
ნუ სკმუნავთ ჩემთვის მეფენი, ნუ ხართ მოსილი
ბნელითა!...
სუფევეთმცა ხართ თავითა, მტერთავან საკრძალვე-
ლითა!“
193. მისცა ანდერძი შერმადინს, რა გაათავა წერითა;
უთხრა: „ჰკადრეო მეფესა საქმითა მეცნიერითა,—

შენ დაგამეტებს ვერავინ მსახურებითა ვერიოთა.“
მოეხვია და ატირდა ცრემლითა სისხლთა ფერიოთა.

VII. წასვლა ავთანდილისა ფრიდონისას, მუღლაზანზარს რომ შეეუარა.

194. **ვაჟ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა
ზნე გპირსა!**
**პოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ
ტირსა;**
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა...
**მაგრა ღმერთი არ გახწირავს კაცსა, შენგან განა-
წირსა!**
195. **ავთანდილ, მისი გაყრილი, ტირს, ხმა მისწვდე-
ბის ცათამდის;**
**იტყვის თუ: „ღეარო სისხლისა კელავცა მდენია, კელავ-
ცა მდის;**
აწ აგრე გაყრა ძნელია, ვით მაშინ შეყრა ცათამდის.—
კაცი არ ყველა ხწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“.
196. **ველს მაშინ მხეცნი ძლებოდეს ცრემლითა მუნ ნატი-
რიოთა;**
ვერ დაივსებდა სახმილსა, იწვის ცეცხლითა ხშირითა;
ავლავ თინათინის გონება აესებს უფრორე ჭირითა,—
ბაგეთათ ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა.
197. **ვარდი კნებოდა, ღრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა;**
**ბროლი და ლალი გათლილი ლაქეარდად გარდი-
ქცეოდა;**
ზამაგრებოდა სიკვდილსა, ამისთვის არ იმხნეოდა;
**იტყვის თუ: „ბნელი რას მიკვირს, რადგან დამაგდე,
მზეო, და!“**

198. მზესა ეტყვის: „მზეო, გიტყვი თინათინის ლაწეთა
დარად:
შენ მას ჰგავ და იგი შენ გგავს, თქვენ ანათებთ მთად
და ბარად;
ხელსა მალხენს ნახვა შენი, ამად გიქვრეტ არ და-
მცდარად;
მაგრა ჩემი რად დააგდეთ გული ცივად, გაუმთბარად?„
199. „თვე ერთისა მოშორება მზისა ზამთრის გაგვაცივ-
ნებს,—
მე გლახ ორნი დამიყრიან, გული ამად რად არ ივენებს?
მაგრა კლდესა არა შესწონს, არაოდეს არ ატკივნებს.
წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს, ანუ გა-
ასივნებს.“
200. მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მღაბალსა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა,—
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ლამედ ღლესა.“
201. „მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ქირი
ქირსა,
ბული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა,
შემომყარე კაეშანი, ტვირთი მძიმე ვითა ვირსა;
მას უთხარ თუ: «ნუ გასწირავ, შენია და შენთვის
ტირსა».
202. „ჰე, მუშთარო, გეაჯები შენ, მართალსა, ბრჭესა
სრულსა:—
მო და უყავ სამართალი,—გაებრქობის გული გულსა:—
ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა:
მართალი ვარ, გამიკითხე, რად მაწყლულებ მისთვის
წყლულსა!

203. „მოდო, მარიხო, უწყალოდ დამკერ ლახვრითა
შენითა,
შეცამღებე და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა,
მას უთხრენ ჩემნი პატიენი, მას გააგონენ ენითა; —
როგორ გასრულვარ, შენ იცი, გულია აღარ ლხენითა.
204. „მოდო, ასპიროზ, მარგე რა! მან დამწვა ცეცხლთა
დაგითა,
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ბაგითა;
შენ დააშვენებ კეკლუტთა დაშვენებითა მაგითა,
ვისმე ჩემებრსა დააგდებ, გაჰხდი ცნობითა შმაგითა.
205. „ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე
სხეასა, —
მზე მაბრუნებს, არ გამიშვებს, შემოყრის და მიმცემს
წვასა;
ღაჯე წერად კირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლ-
თა ტბასა,
ქალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა წვრილსა, ვით
ლერწამსა.
206. „მო, მთვარეო, შემობრალე, ვილვეი და შენებრ
ემკლდები: —
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვლდები,
ზოგჯერ ემკლდები;
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა-მკირს, ანუ როგორ ვბნდები:
მიდი, უთხარ: «ანუ გასწირაჲ!» მისი ვარ და მისთვის
ეკვდები.
207. „აჰა, მოწმობენ ვარსკელავნი, შვიდნივე შემოწმე-
ბი:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყევ-
ბიან;
მას გააგონე, რანიცა ცეცხლნი უშენოდ მღებიან.“

208. აწ გულსა ეტყვის: „ვითამცა გდის ცრემლი, არ
გაგხმობია,
რას გარგებს მოკვლა თავისა, ეშმა ძმად თურე გძმობია;
მეც ვიცი, ჩემსა ხელმქმნელსა თმად ყორნის ბოლო
სთმობია;—
მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასა-
თმობია!
209. „თუ დაერჩეო, ესე მიჯობს,—სიცოცხლესა ეტყვის
თუსა,—
ნუთუ მომხედეს ნახვა შზისა, ნუ ვიძახი მიწყივ უსა.“
შიიმღერის ხმასა ტკბილსა, არ გასწყვეტდის ცრემლ-
თა რუსა;
მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა გვანდის ბუსა.
210. რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვი-
დიან;
მისვე ყმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამო-
ხხდიან;
იხმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან;
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლ-
ნი ხდიან.

VIII. წიგნი ნესტან-დარეჯანისა საუვა- რელსა წინაშე მიწერილი.

211. „აწ საყვარელსა მიუუწერ გულამოსკენილი მტი-
რალი;—
მისზანვე ცრემლმან დაუვისის, ვის ედებოდა ვის ალი“!
დასწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი;
მარდი გააპის, გამოჩინდის მუნ ბროლი გამომჰკვირვალი.

212. „ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონადვანები,
 ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველთა ამონაწები,
 მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები: —
 ბულო, შაგ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები,
 აწ ები!
213. „ჰხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნე-
 ლია!
 რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნე-
 ლია.
 ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ, მით მათგან საწუ-
 ნელია.
 უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია!
214. „ჰხედავ, ჩემო, ვით გაგყარა სოფელმან და ჟამმან
 კრულმან,
 მელარ გნახე საყვარელი, მხიარული მხიარულმან,
 ნეტარ რა ქმნას უშენომან გულმან, შენგან დალაზ-
 რულმან?..
 ზაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან.
215. „შენმა მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე;
 ჩემი მეთქვა, გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი
 ღონე;
 აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვმონე,
 ჩემი ყველა აქანამდის ჭირი ღზინსა შევაწონე.
216. „შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
 ზულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად!
 მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგულისად.
 ვზი მზრდელი სიყვარულისა, მის ჩემგან დანერგუ-
 ლისად.
217. „სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერების, —
 მნა დაშვრების, მოსმენით არვისგან დაიჯერების;

შატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთიმცა მას ეტე-
რების;—

აწ კვლავ ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების.
218. „აწ სოფელმან უარესი ღირი ღირსა მიმისართა, —
არ დასჯერდა ბელი ჩემი მათ პტითა მრავალ-
გვართა;
ქვლავცა მიმცა შესაპყრობლად ქაჯთა, ძნელად საო-
მართა;

ბედმან გვიყო ყველსაჲ. ჩიომ, რაცა დაგვემართა!
219. „ცხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი აღლუ გარდა-
სწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
ღლისით და ღამით მოყვნი ნობათსა არ დასცდებიან,
მათთა შემბმელთა დაჰხოცენ, მართ ცეცხლად მოე-
დებიან.

220. „ნუთუ ესენი გეგონენ სხვათა მებრძოლთა წესითა?!
ნუცა მე მომკლავ ღირითა, ამისგან უარესითა;—
შენ მკვდარსა განახავ, დავიწვი, ვითა აბელი კვესითა...
მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა.

221. „შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხედეს მთვარე
შენი,
შენმან მზემან, ვერვის მიხედეს, მოცავიდენ სამნი
მზენი;
აქა თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლავნ ღიდნი
კლდენი;
სული ჩემი შეივედრენ, ზეცით მომხედენ ნუთუ
ფრთენი.

222. „ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლავ დამხსნას სოფ-
ლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;—

მომცნეს ფრთენი და აღფრინდე, მივხვდე მას ჩემსა
ნდომასა:

ღლისით და ლამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთო-
მასა!

223. „მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი
წილი;

ზალანამცა მას იასლე, მისი ეტლი, არ თუ წბილი!

მუნა გნახო, მანდვე გნახო, განმინათლო გული
ჩრდილი; —

თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდეს
ტკბილი.

224. „მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რად-
გან სულსა,

მაგრა შენი სიყვარული ჩავეტანე, ჩამრჩა გულსა;

მომეგონოს მოშორებდა, მემატების წყლული წყლულ-
სა;

ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვა-
რულსა.

225. „წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშო-
ბელსა,

მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელაღუპყო-
ბელსა,

ზულსა აღხინე ჩემისა მოშორებებისა მთმობელსა; —

მომიგონებდი მტირალსა, შენთვის ცრემლშეუშრო-
ბელსა.

226. „რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, კმა საჩივარად;

სცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად.

შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა დასაყივარად.

შირე ცოცხალვარ, გეყოფი სატირლად და სატკი-
ვარად.

227. „ბჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა:—
 ზადზიკვეთია ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა;
 მსელა დამრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა...
 რისხვით შობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა ზე-
 დისა.“

IX. თათბირი ფრიდონისა, ავთანდილისა
 და ტარიელისა, ქაჯეთის ციხეს რომ ძოაღკეს,

228. ფრიდონ თქვა: „ვიტყვი სიტყვასა, ვექვ ჩემი არ
 დამცდარია.

ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია;
 პირის-პირ ომი არ ძალ-გვაქვს, არ უამი საკვებაარია;
 ათას წელ ვერსით შეუვალთ, თუ ზედ დავვიბზან
 კარია.

229. „ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდი-
 დიან,

მასწავლნეს მათნი საქმენი, მახტუნებდიან, მწრთე-
 დიან;

ასრფ გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან;
 მინცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან.

230. „აწ ვინცა იცით უკეთა შეტყორცა საგდებელისა,
 მას ერთსა ბურჯსა გარდვაგდოთ წვერი საბლისა
 გრძელისა.

მას ზგდა გავლა აღვილად მიჩანს, მართ ვითა ვე-
 ლისა;—

თქვენ ჰირად გიყო შიგნითა პოენა კაცისა მრთელისა.

231. „აბჯრითა გავლა არად მჩანს ჰირად, გატანა
 ფარისა,
 შიგან ჩაუხტები კისკასად, ვეცემი მსგავსად ქარისა,

- ლაშქართა დავხოც, გაეახეამ, ნახოთ გალება კარისა;—
 თქვენცა მუნ მოდიოთ, სადაცა გესმას ზრიალი ზარისა.“
232. ავთანდილ უთხრა: „ჰე, შრიდონ, მოყვასნი ვერ
 გიჩივიან;
 ღოშთა მკლავთაგან იმედი გაქვს, არა წყლულნი
 გტკივიან;
 სთათბირობ ძნელთა თათბირთა, მტერთა ივაგლახ-
 ივიან:—
 მაგრა თუ გესმის, გუშაგნი რა ახლო-ახლო ყივიან!
233. „რა გახვიდოდე, გუშაგთა ესმას აბჯრისა ჩხერება,
 ზიგრძნობენ, თოქსა მოჰკვეთენ, ამისი ხამს დაჯერება!
 წაგიხდეს ცუდად ყველაი, დაგრჩეს ცუდი-ლა ფერება;
 მეგ თათბირი არ ვარგა, სხვებრ ვქმნათ თავისა
 ტერება.
234. „სჯობს, დადევით დამალულნი თქვენ ადგილსა
 იდუმალსა,
 ისი კაცნი არ იქირვენ მგზავრსა, ქალაქს შემა-
 ვალსა:—
 სავაქროდა შევეკაზმი, ვიქმ საქმესა მე მუხთალსა,—
 მართსა ჯორსა გარდავკიდებ მუზარადსა, ჯაქვსა,
 ხრმალსა.
235. „სამთავე შესვლა არ ვარგა,—თუ გვიგრძნან—არს
 სათუები;
 მე მარტო შევალ ვაქრულად და კარგად შევეტყუები,
 მალვით ჩავიცვამ აბჯარსა, გაფჩნდები, გავეცრუები.
 ღმერთმან ჰქმნას, უხეად ვადინო შიგნით სისხლისა
 რუები.
236. „შიგნითა მცველთა მოვიცლი მე უნახავად ქირისად,
 თქვენ გარეთ კართა ეცენით ყოველნი, მსგავსად
 გქირისად;

პლიტეთა დავლენწ, გავახვამ, ნახოთ გაღება კარისად.
თუ რა სხვა სჯობდეს, თქვენ ბრძანეთ, ვარ მრჩე-
ლად ამა პირისად.“

237. ტარიელ უთხრა: „მე თქვენი ესცან გმირთა მეტი
გმირობა,
თქვენსა ძალ-გულსა თქვენივე ჰგავს თათბირობა,
პირობა;
ვიცი, გწადთ ომი ფიცხელი, არ ცუდი ხრმალთა
ღირობა.
ჰაციმცა მაშინ თქვენ გახლავს, რა ოჟმან ქმნას გა-
პირობა.“

238. „მაგრა იყვენით ჩემთვისცა საქმისა რასმე რჩევითა:
ხმა ესმას ჩემსა ხელმქმნელსა, ზედა გარდმოდგეს მზე
ვითა,
თქვენ გქონდეთ ომი ფიცხელი, უომრად მნახოს. მე
ვითა!
ესე მე დამსვრის, ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სა-
თნევითა.“

239. „მაგა თათბირსა ესე სჯობს, ვქმნათ ჩემი მონა-
ხსენები:
ბავიყოთ კაცი ას-ასი, რა ღამე ჩნდეს ნათენები,
ხამთავე სამგნით მივმართოთ, ფიცხლავ დაესხლიტოთ
ცხენები;
მოგვეგებიან, ვემცრობით, ჩვენ ხრმალსა მივსცეთ
მძლე ნები.“

240. „ვიცხლა შევებნეთ, შევჯარნეო, ვერ მოგვასწრე-
ბენ კარებსა,
ხამთაგან ერთი შეუვალთ, სხვა გარეთ ესცემდეთ
გარებსა,

მან ერთმან შიგნით შიგანი მივსცეთ სისხლისა ღვა-
რებსა,
ხელი კვლავ ვხადოთ აბჯარსა, მას ჩვენგან მძლელ
ნახმარებსა.“

241. შრიდონ უთხრა: „შემიგია, გამიგია, ვიცი მე რა, —
მაგა ცხენსა ჩემუელსა მოასწრობენ კართა ვერა;
ოდეს გიძლვენ, არ ვიცოდი, ძაჯეთს გვინდა ქაჯთა
მზერა,
თვარა ყოლა არ გიძლენიდი, ჩემი გითხრა სიძუნწე
რა.“

242. შრიდონ ლალი ამხანაგობს საუბართა ესოდენტა.
ამაზედან გაიცინეს მათ წყლიანთა, სიტყვაბრძენტა,
ერთმანერთსა ელალობნეს ლალობათა, მათთა მშვენთა,
ზარდახდეს და დაეკაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენთა.

243. ჭვლავ ერთმანერთსა მიუგეს სიტყვები არპირმკვა-
ხები;

დაასკვნეს იგი თათბირი, თარიას განაზრახები:
ზაიყვის კაცი ას-ასი, ყველაი გმირთა სახები,
ცხენებსა შესხდეს, აიღეს მათ მათი ჩაბალახები.

X. ქაჯეთის ციხის აღება.

244. იგი ქაბუკნი შუქითა ვნახენ, მზისაცა მეტითა,
მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰუარვენ ნათლისა სვე-
ტითა;
თარიელ შავსა ზედან ზის ტანითა მით წერწეტითა;
დალივნეს მტერნი ომითა, ვითა მკვრეტელნი ქვრე-
ტითა.

245. ჩემი აწ ესე ნათქვამი მათი სახე და დარია:
რა ზედა სწვიმდენ ღრუბელნი და მათთა აღტყდეს
ღვარია,

მოგა და ხევთა მოჰგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია,
მაგრა რა ზღვათა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წყნარია.

246. თუცა შრიდონ და პეტანდილ სიკეთემიუწთომნია,
მაგრა ტარიას შემბმელი არვისგან მოსანდომნია,—
მზე მნათობთაცა დაჰფარავს, არცაღა ნათლად ხომნია.
აწ იყურები, მსმენელო, გესმნეს ფიცხელნი ომნია.

247. სამთავე სამად გაიყვეს, თვითომან თვითო კარები;
თანა ჰყვათ კაცი სამასი, ყველანი გმირთა დარები.
მას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო, ანაჩქარები;
მათენდა, გაჩნდეს, მიჰმართეს, თავისთან ჰქონდათ
ფარები.

248. პირველ ამოდ მოდიოდეს მგზავრთა რათმე მაგი-
ერად;
მათ შიგნითა ვერა უგრძნეს, ვერცა დახვდეს გულ-
ხმიერად;
ბულსა შიში არა ჰქონდათ, ამოდ დგეს და ნებიერად;
მიდგეს, გარე მუზარადნი დაიხურეს ჟამიერად.

249. ანაზღად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა
წრიალი.
რა ნახეს, კარნი გაახენეს, ქალაქით გახდა ზრიალი;
ხამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი;
იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტყრცი-
ალი.

250. მაშინ ძაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღვთისა:
პრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორა სიტკბო
მზისა;
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სი-
მრგვლე ცისა; —
შელნი მკედართა ვერ იტევდეს, გადიადდა ჯარი
მკედრისა.

251. ჰაცსა უკრავად დაბნედიდის ხმა ტარიელის ხაფისა,—
 აბჯარსა ფრეწდის, გაცუდდეს სიმაგრე ჯავშან-
 ქაფისა.
 სამგნითვე კართა შესჯარნეს, ჰირნი არ ნახნეს კაფისა;
 რა ქალაქს შეჰხდეს, შეიქმნა სიკრებე ციხის სწრაფისა.
252. ავთანდილ და ლომი შრიდონ შიგნით ერთგან
 შეიყარნეს,
 მტერნი სრულად აეწყვიდნეს, სისხლნი მათნი მოე-
 ღვარნეს,
 იყივლეს და ერთმანერთი ნახეს, დიდად გაეხარნეს;
 თქვეს: „ტარიელ რა იქმნაო?“ მისად ჰვრეტად თვალნი
 არნეს.
253. ერთმანცა არა იცოდა, ვერა სცნეს ტარიერისა;
 ციხისა კარსა მიჰმართეს, რიდი არ ჰქონდათ მტე-
 რისა;
 მუნ ნახეს რიყე აბჯრისა, ნალეწი ხრმალთა წვერისა,
 ათი ათასი ნობათი, უსულო, მსგავსი მტვერისა.
254. ციხისა მცველი ყველაი იდგა, მართ ვითა სნეული,
 თავეთ ფერხამდი დაჰრილი, აბჯარი მუნ დახეული,
 ციხისა კარნი განხმულნი, კართა ნალეწი სრეული.
 სცნეს ნაქმრად ტარიელისად, თქვეს: „საქმე არს
 მისეული!“
255. ბჰანი დახვდეს შეკაზმული, შევიდეს და გაძვრეს
 ხერგლსა;
 ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა,
 მუზარადი მოეხადა, შვენის აკვრა თმასა ლელსა,
 მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჰლო ყელი ყელსა.
251. მხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცნეს და ცრემლნი
 ღვარნეს;
 ამას გვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს;

მზე რა ვარდსა შემოადგეს, დაშვენდენ და შუქნი
არნეს:—

აქანამდის კირნახულთა—ამას იქით გაიხარნეს.

257. მათ ერთმანერთსა აკოცეს, დგანან ყელგარდაქდო-
ბილნი,
ავლავ შეეწებნეს ხშირ-ხშირად ვარდნი ბავეთათ
პობილნი...

აწ ესენიცა გავიდეს, შეკრბეს სამნივე ძმობილნი,—
მას მზესა მისცეს სალამი, წადგეს, მართ ვითა ხმო-
ბილნი.

258. მზე მოეგება პირითა ტურფითა, ნოცინარითა,
აკოცა მისთა მშველელთა ლალმან ცნობითა წყნა-
რითა,
მათ მდაბლად მადლი-უბრძანა სიტყვითა მით ნარ-
ნართა;—

ორნივე ერთგან უბნობდეს ტურფითა საუბნარითა...

VI. შენიშვნები და განმარტებანი.

I. წინასიტყვა.

წინასიტყვა და ბოლოსიტყვა, როგორც წინაც არის მოხსენებული, ღავ. ქარიქაშვილს შოთა რუსთველის მიერ დაწერილათ არ მიაჩნია¹⁾, ხოლო სხვა მკვლევარნი ფიქრობენ, რომ მათში ზოგიერთი ხანა შოთასგან არის დაწერილი, ზოგი კი—შემდეგში სხვებისაგან ჩამატებულიო (მაგალ., ნიკო მარს წინასიტყვაში ყალბ ხანებათ, ე. ი. სხვა პირთაგან ჩამატებულათ, შემდეგი ხანები მიაჩნია:

¹⁾ აქაც და შემდეგაც იგულისხმეთ მისი რედაქციით გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“.

მე.—2, 13, 14, 15: 27—ე, 28, 30 და 31; ხოლო ბოლო-
სიტყვაში—უკანასკნელი სამი ხანა¹⁾).—

მარდა ამისა, წინასიტყვაში კიდევ აღსანიშნავია,
რომ „მეფხისტყაოსნის“ იმ ხელნაწერებში, რომელიც ჩვენა-
მდი მოსულა, წინასიტყვის ხანები წესიერათ, აზრის მიხედ-
ვით დალაგებული არ არის. წინასიტყვაში სხვადასხვა
საგანზეა საუბარი, მაგალ. მოშაირობაზე, მიჯნურობაზე
და სხვ., და ეგ საგნები ისეა ერთმანეთში არეული. რომ,
როცა ერთ საგანზე (მაგალ. მიჯნურობაზე) მსჯელობა ჯერ
არ მოთავებულა, მეორეზე (შაირობაზე) იწყება მსჯელო-
ბა, შემდეგ საუბარი ისევ პირველს უბრუნდება²⁾).

წინასიტყვა სამ ნაწილათ იყოფა. პირველი ნაწილის,
ან შესავალის, სამ ხანაში (1, 2 და 6) მიმართება ლეთი-
სადმი, საცა იხატება ძლევამოსილობა ლეთისა, როგორც
ქვეყნის შემქმნელისა, და სადაც ავტორი ლმერთს სატანისა-
გან დაფარვასა და მიჯნურთა საქმეში (ტარიელისათვის)
შეწევნას ევედრება. აქვე შემდეგ პოეტი თავისი პოემის
საგანს გვითვალწინებს, თუ პოემის დაწერა რას ან ვის
გამოუწვევია. მეორე ნაწილში შაირობაა განმარტებული,
ხოლო მესამეში—მიჯნურობა.

1. შესავალი.

ლეთის მორწმუნე ხალხში ძველათაც ყოფილა—და
დღესაც არის ჩვეულება, რომ, საქმის დაწყების წინათ,—
განსაკუთრებით რაიმე სამძიმო, სახიფათო საქმისა,—

¹⁾ იხ. „Тексты и разыск.“, кн. XII („Вступит. и заключит. строфы Витязя в барсеев. кожѣ“).

²⁾ ამიტომაც ტექსტი და ხანათა განმარტება ჩვენ, მასალის
შესწავლის გასაადვილებლათ, საგნების მიხედვით მოგყვავს;—ხანებს
ციფრები წინ ხანათა იმ რიგის მიხედვით უზის, რომელიც ძველ ხელ-
ნაწერებშია დაცული.

ლმერთს ევედრებიან ხოლმე და განზრახულ საქმეში გამარჯვებას შესთხოვენ. ეს ჩვეულება ხალხის ყოველდღიური ცხოვრებიდან ბოლოს მწერლობაშიც გადასულა—და უძველეს ხალხთა (მაგ. ბერძენთა და რომაელთა) პოეტები ხშირათ თავის დიდ ნაწარმოებთ (მაგ. პოემებს) ღვთის სახელის მოწოდებით იწყებენ და დაწყებულ საქმეში ღვთისაგან შემწეობას თხოულობენ. ასე იწყება, მაგალ., ბერძენთა უძველესი სახალხო პოეტის ჰომეროსის პოემა ილიადი (ილიადა), რომაელთა პოეტის ვირგილიუსის პოემა ენეიადი (ენეიდა) და სხვ.

ბერძენთა და რომაელთა მწერლობიდან ეს ჩვეულება ქართულ მწერლობაშიც შემოსულა, ვინაიდან ქართველთა ცხოვრება, უძველესი დროიდანვე, ხსენებულ ხალხთა ცხოვრებასთან ბევრნაირათ იყო დაკავშირებული და ბერძენ-რომაელთა მწერლობასა და საზოგადოთ კულტურას საქართველოსაზე, როგორც სპარსულსაც, დიდი გავლენა ქონდა.—რუსთველიც თავის პოემას ღვთის სახელის მოწოდებით იწყებს.

ხანათა განმარტება:

1. ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა:—ლმერთმა ქვეყანა აღამიანთა განკარგულებაში გადმოსცა, აღამიანი ქვეყნის მეფეთ დაადგინაო.—მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, ხანითა მის-მიერითა:—ღვთის დადგენილებით ხელმწიფე თავის სამეფოს იმ სახით უნდა მართავდეს, როგორც ღმერთი—ქვეყნიერობასო (იგულისხმება: სრული შეგნებითა და შორსმჭვრეტელობით, კეთილისა და ბოროტის გარჩევით, ღმობიერებით).

2. მათრგუნვად:—ძველი ფორმაა; ახლა ვიტყვით: დასათრგუნვად (ლათინური ენის გერუნდიუმს გინა გერუნდივს უდრის).—ამ ხანაში ფორმები გასატანისა და

წახატანისა ეტიმოლოგიურათ სისწორით შეთანხმებული არ არის; მაშასადამე, ისინი ლიცენცია პოეტუკათ უნდა ჩაითვალოს (ლიცენცია პოეტუკა—პოეტური თვითნებობა, პოეტური თავისუფლება;—ასე ეწოდება პოეტებისაგან, გარეშე ჩვეულებრივი კანონისა, ნახმარ ფორმებსა და გამოთქმებს).

6. გამოთქმად (იხ. წინ 2. დათრგუნვად), ე. ი. გამოხატქმელად. ამგვარი ფორმა „მეფხისტყაოსანში“ ხშირათაა ნახმარი, —მაგ. „ღაჯდა წერად ანდერძისა“ (იხ. „ანდერძი“ 173-ე ხანა), და სხვ.—„მათ ხამთა გმირთა მნათობთა სკირთ ერთმანერთის მონება“: —აქ იგულისხმებიან პოემის მთავარი გმირები—როგორც ვაჟები, ისე ქალები: სამი ვაჟი—თარიელი, პეტანდილი და შრიდონი, ო სამი ქალი—ნესტან-დარეჯანი, თინათინი და ასმათი. აქ ის აზრია, რომ ეს დიდებული გმირნი ერთმანეთს ემორჩილებიან, ერთმანეთისათვის თავდადებული არიანო.—მს ხანა შოთას კალამს არ უნდა ეკუთნოდეს: შოთას, როგორც პირველხარისხოვან მგოსანს—და, მაშასადამე, ტკბილმოვანობის, ჰარმონიული მუსიკის მიმდევარს, არ შეეძლო ისეთი დისჰარმონიული რითმები ეხმარა, როგორიც არიან: ხელოვანება, გონება, ხსენება.

3. ამ ხანაში თამარის მეორე ქმარზე—დავით სოსლანზეა ლაპარაკი. ამ ხანის მარტივად გამოთქმული აზრი იქნება: მე არ ვიცი-როგორ შევკადრო რჩეული ხოტბა იმას, ვინაც ლომის მზგავსია და ვისაც მზიანის, ლაწვბალაზ-მ-თმაგიშერი თამარის შუბისა და ფარ-შიმშერის ხმარება შეენისო.—„მეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების თითქმის ყველა ვარიანტში „შერისა“ მაგიერ „ხშირისა“ სწერია და „მიშერისა“ მაგიერ—„მშიერისა“. როგორც ზეგითაც ვამბობთ, რუსთველი რითმების მუსიკალობას

დიდ ყურადღებას აქცევს—და შიმშერისა და გიშერისა—
 სთან რითმებათ ხშირისა და მშიერისა—ს არ იხმარდა.
 ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ის ვარიანტებია სწორი,
 საცა ნახმარია სიტყვები შერისა და მიშერისა. პროფეს.
 მარი ფიქრობს, რომ შერი იგივე შაირიაო*), მაგრამ შაირი
 —დან შერი-ს წარმოება ნაძალადეგია—და აზრითაც აქ არ
 უდგება. შერი, საბა მრბელიანის ლექსიკონით, რჩეულს
 ნიშნავს—და აქ ეს მნიშვნელობა შესაფერიც არის.—მაუ-
 გებარი რჩება გამოთქმა მიშერისა. იუსტ. აბულაძე ფიქ-
 რობს, რომ „მიშერი“ ხაუკეთესოხს უნდა ნიშნავდესო, ან,
 შესაძლოა, მშიერისა-ს მაგიერ, რითმის კეთილხმოვანე-
 ბისათვის იყოს გადაკეთებულიო.—პროფ. მარს „მართ
 მიშერისა“-ს მაგიერ „მართ და შერისა“ აქვს მოყვანილი
 (საკუთარი მოსაზრებით, და არა ხელნაწერების მიხედ-
 ვით)—და აქ „შერი“ რძეს ნიშნავსო; მაგრამ რძის მნიშ-
 ნელობა აქ უადგილოა.—მისთა მკვრეტელთა ყანდისა
 მირთმა ხამს... პოეტი აქ ღავით ხოსლანის შეუდა-
 რებელ შეენებას აგვიწერს—და ამისთვის ჰიპერბოლურს,
 გაზვიადებულ შედარებას ხმარობს: ღავით ხოსლანის მშვე-
 ნიერების მკვრეტელთ შაქრიყინულის მირთმევა მოუხდე-
 ბათო. ამ ფრაზას სიმბოლიურ მნიშვნელობას აძლევენ და
 ორნაირათ განმარტვენ: 1) მის მკვრეტელთ შიმშილი და-
 ავიწყდებათ, მისი კვრეტით გაძღებიან—და, როგორც
 მძღარს, მხოლოდ ტკბილეული, ყანდი მოუხდებათო; 2) მი-
 სი მშვენიერება მკვრეტელს გულს ისე ძლიერათ აუტო-
 კებს, რომ ნერწყვი გაუშრება—და ყანდი მოუხდება, რომ
 პირი გაისოვლოს და ნერწყვი მოუვიდესო.

4. მთქვენი ქებანი ვისნიმე: — ზოგიერთ ხელნა-

*) იქვე (აქაც და შემდეგაც იგულისხმება წინ დასახელებული
 წიგნი).

წერში ვთქვენის-ს მაგიერ ნახმარია მრავლ. რ. ვთქვენით, და ვისნიმე-ს მაგიერ ვისნი მე; მაგრამ მართლწერა ვისნი მე უსაფუძვლოა: მე აქ პიროვნებითი ნაცვალსახელი რომ იყოს, მაშინ ვისნი-ს მაგიერ სიტყვა მისნი (ე. ი. თამარისნი) უკეთესი იქნებოდა—და შეუფერებელი სიტყვის ხმარებას შოთას ვერ მივაწერთ.—მოყვანილი ფრაზის მნიშვნელობაა: ვისნიმე ქებანი (ვისიმე ქება), ე. ი. თამარის ხოტბა არ ავად (ე. ი. კარგათ) გამორჩეული სიტყვებით გამოვსთქვიო.—მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული.—ნ. მარი ამბობს, რომ ნაი რხეული უნდა იყოს (ნა, ნაჟ—ლერწამი), რადგან აქ ტანადობაზეა ლაპარაკი—და ტანის შესადარებლათ ლერწამი (ნა, ნაი) უნდა იყოს, და არა მინა, რომელიც ამ შემთხვევაში უადგილოაო.—ჩვენი აზრით მინა უნდა დარჩეს, რადგან არცერთ ხელნაწერში ნა და ნაი არ უხმარიათ, და ტანადობის სინაზის გამოსახატავათაც სიტყვა მინა აქ შესაფერია, რადგან მინა ნაზი ნივთიერებაა, ადვილათ გასატეხი და თან გამკვირვალიც. ნაზ ტანზე ხალხში იტყვიან: ისეთი ნაზი წელი აქვს, თითქო გადატყდომას აპირებსო. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ სინაზის გამოსახატავათ მინა-ს შოთა სხვა ადგილასაც ხმარობს,—მაგალ.: „ჯერ უწვევრული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა“-ო (45).

5. მიბრძანეს მათდა საქებრად... ნამდვილი პოეტები თავის შემოქმედებაში თავისუფალი უნდა იყონ—და არიან კიდეც—და ამიტომ ბრძანება შოთასთანა მგოსნისათვის შეუფერებელი და შეურაცხყოფელიც იქნებოდა; მაგრამ ბრძანება აქ პოეტის თქმაში თამარისადმი პატივისცემასა და თავაზიანობას აღნიშნავს. ბძანებით არა—და ვისიმე რჩევით კი შეიძლება მგოსანმა რაიმე თემა აიღოს და მასზე თვისი დამოუკიდებელი, თავისუფალი

შემოქმედება აამუშაოს. ცნობილია, მაგალ., რომ ზოგოლმა „მკვდარი ხულები“ (Мертвые души) პუშკინის რჩევით დასწერა. მაშასადამე, შესაძლოა თამარის კარისკაცებმა შოთას ურჩიეს-ამ დიდებული მეფის ხოტბა გამოეთქვა.—მათდა მრავლ. რიცხვია, თუმცა მარტო თამარზეა ლაპარაკი; ძველათ მეფეს ხან შენობით უწოდებდნენ, ხან თქვენობით,—მაგალ. „მეფისიტყაოსანში“: „მეწირთა ჰკადრეს: «მეფეო, რად ბრძანეთ თქვენი ბერობა?!» — „მაგას ნუ ბრძანებ, მეფეო!“ და მრ. სხვ.—მიჯრით მიწყობილისა: —მიჯარვით, მკიდროთ ერთმანეთზე მიწყობილ კბილებზეა ლაპარაკი.—ზასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ღბილისა: —სიმბოლიზმია, თამარის მშვენიერების გამომხატველი. პირდაპირი მნიშვნელობაა: ტყვია თუმცა ქვაზე უფრო რბილია, მაგრამ იგი ზაგარ ქვას დაამსხვრევსო; —სიმბოლიური მნიშვნელობა: თუმცა თამარი ნაზი არსებაა, მაგრამ ისე მშვენიერია, რომ ღომგულ ვაჟკაცსაც მოხიბლავს, დაიმონებსო.

7. ღავსჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულღახვარსობილი, აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი:—პროფ. ნ. მარი და ღავ. ქარიჭაშვილი ფიქრობენ, რომ აქ გრამატიკულათ სწორი შეთანხმება არ არისო: გულღახვარსობილმან უნდა იყოს, ვინაიდან გავლექსე-ზეა დამოკიდებული (გავლექსე რუსთველმან, მისთვის გულღახვარსობილმანო). ამიტომაც პროფ. მარი ასე ასწორებს: ღავსჯე რუსთველი, ვლექსვიდე, მისთვის გულღახვარსობილი-ო.—ძველი ხელნაწერის შესწორებაში ამგვარი თვითნებობა შეუწყნარებელია—მით უფრო, რომ ეს გამოთქმა ყველა ვარიანტში ერთნაირათ არის დაცული—იმ სახით, როგორც ზევით მოვიყვანეთ. ამასთან—ამ გამოთქმის გრამატიკული უსწორობის შესახებ გაცხადე-

ბული აზრი მართალი არ არის. აქ მხოლოდ სიტყვები უსწოროთ, თავისუფლათ დაწყობილი (პოეტური თავისუფლება — ლიცენცია პოეტიკა) — და გულთახვარსობილი დამოკიდებულია დავჯხე-ზე, და არა გავლექხე-ზე. მაშასადამე, სწორი წყობა იქნება: დავსჯე მისთვის გულთახვარსობილი, რუსთველმან გავლექსე აქამდის აშბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი. — შოთა ამნაირ წყობას ხშირათ ხმარობს, — მაგ.: ვექვ, რა სცნა, შენცა მამართლო, ჩემი ხულთქმა და ახია (113); — უნდა იყოს: ვექვ, რა სცნა ჩემი ხულთქმა და ახია, შენცა მამართლო; — ან კიდევ: სადაცა ნახის, ეუბნის, მგზავრნი, ზღვის პირსა რებულნი (აბულაძის გამოც. გვ. 123), — უნდა იყოს: სადაცა ნახის მგზავრნი, ზღვის პირსა რებულნი, ეუბნის.

15. ამ ხანაში თამარი იგულისხმება: ვის მოჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობო, ე. ი. ვასაც მრავალი ლაშქარი ემორჩილება. იმისათვის ეშმაგობო (მაშასადამე, თამარისათვის). — მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა, ამაღარი, ე. ი. მე, ამაღარი (ამის მსგავსი, ამ მდგომარეობაში მყოფი) რუსთველი ხელობით (სიშმაგით) ვიქმ ამ საქმესო. — სიტყვა ამაღარი „რუსთველი“ — სთან არის დაკავშირებული, და არა „საქმესა“ — თან, როგორც ღავ. ძარიქაშვილი თიქრობს, და ამიტომ შეთანხმება გრამატიკულათ სწორია (ამაღარი რუსთველი), ხოლო წყობილება სიტყვებისა ისეთია, როგორც ზევით არის ნაჩვენები (მე-7 ხანა). — სიტყვა ამაღარი მხოლოდ „მეფისიტყაოსანში“ გვხვდება ამ ერთ ადგილას — და შესაძლოა ეს მართლწერა შეცთომითაც იყოს მიღებული და ეს თორმადი სიტყვისაგან შესდგებოდეს: ამაღ არი (არის); მაშინ იქნება: მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა: — ამაღ

არი—ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი; ე. ი. მე, რუსთველი, სიშმაგით ვიქმნა საქმესო—და ამაღ (ამიტომ) არი(ს), რომ ვშმაგობ და ვკვდები იმისათვის, ვისაც მორჩილობს ჯარი სპათაო.

16. ნათარგმანები—ე. ი. განმარტებული, განვითარებული;—ოზოლი მარგალიტი—საუცხოო, საუკეთესო მარგალიტი (ოზოლი—განმარტებული, ერთადერთი, შეუდარებელი, უებრო):—ხელის-ხელ საგოგმანები—ხელში სათამაშო, ხელიდან მოუცილებელი, საყვარელი;—ხელი-ხელ სატაცებელი:—საჭოჭმანები—საყოყმანო, ძნელათ გადასაწყვეტი; სახელოვანი, დიდებული.—ჩემგან ხელმქნელმან დამმართოს, ლაღმა და ლამაზმა, ნები, ე. ი. ჩემმა გამხელებელმა (გამშმაგებელმა), ლაღმა და ლამაზმა, დამართოს ნებაო.

17. თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა.—თანახმათ ნ. მარის აზრისა, თვალთა, მისგან უნათლოთა, ორნაირათ შეიძლება განვმარტოთ: ა) მისი უნახაობით დაბნელებულ თვალთ, ან ბ) მისი ძლივამოსილი ბრწყინვალეობით დაბრმავებულ თვალთ. მაშასადამე, პირველ შემთხვევაში ტაეპის მნიშვნელობა იქნება: მისი უნახაობით დაბნელებულ თვალთ ენატრებათ კვლავ მისი ხილვა, რომ მათ ჩენა (ჩინი) დაუბრუნდესო; ხოლო მეორე შემთხვევაში: მისი ბრწყინვალეობით დაბრმავებულ თვალთ ენატრებათ გახელა, მხედველობის დაბრუნება, რათა მისი ბრწყინვალეობა კვლად იხილონო.—აჰა, გული გამიჯნურდა: მიხდომია ველთა რბენა,—ე. ი.: გამიჯნურებულ გულს წილათ ხვდა ველათ გასვლა, გამარტოებაო.—გამარტოება, მიდვრათ თუ ტყე-ღრეში ხეტიალი შოთას მიჯნურობის ერთერთ აუცილებელ თვისებათ მიაჩნია—და ამიტომ თავის პოემაში ხშირათ ამ-

ბობს ხოლმე მიჯნურის ველათ გაქრაზე,—მაგალითად; „სიარული, მარტოობა შვენის, გაქრად ჩაეთვლები“ (31-ე ხანა); ან: „რა მიჯნური ველად რბოდეს, მარტო უნდა გასაქრელად“ (166-ე ხანა) და სხვ.—მიაჯეთ ვინ! ხორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ლხენა. ანის მნიშვნელობა: შემავედრეთ (თამარს) ვინმე: ხორციტ დაწვა მაკმაროს, ხოლო სულს ლხენა მისცესო.—ნიკ. მარისა და იუსტ. აბულაძის სასვენი ნიშნებით ეს ფრაზა ასეა გამობატული: მიაჯეთ: ვინ ხორცთა დაწვა კმარის მისცეს, სულთა ლხენა. პროფ. მარის განმარტება ჩვენ გაუგებრათ მიგვაჩნია: შემავედრეთ იმას, ვინაც საკმარისია ხორცს დაწვა მიანიჭოს და სულს ლხენაო.—სამთა ფერთა საქუბელთა ლამის ლექსთა უნდა ლევნა:—სამი სახელოვანი გმირის ქება-დიდებას ლექსები უნდა შევალიოთო (სამი გმირი ვაჟისა და სამი გმირი ქალის შესახებ იხ. ზევით, მე-6 ხანის ახსნა).

2. შ ა ი რ მ ბ ა.

19. შოთას შაირობა (პოეზია) სიბრძნის, ფილოსოფიის ერთ დარგათ მიაჩნია—და მართალიც არის. ჭეშმარიტი პოეზია ფილოსოფიაა ცხოვრებისა, იმისთანა ფილოსოფია, რომელიც უბრალო მკითხველისათვისაც კი მისაწვდომი და გასაგებია. პოეზიაში ხალხის ცხოვრების ყოველი მხარე იხატება—და მშრალი სამეცნიერო ფილოსოფიისაგან იმით გაირჩევა, რომ, თანახმად შოთას თქმისა, „ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეულთა: გულსა და გონებაში ღრმად ჩაებეჭდება ხოლმე.—ზრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი:—შაირსიტყვას მართლაც იმისთანა თვისება აქვს, რომ იგი აზრს, პროზასთან შედარებით, ბევრათ უფრო მოკლეთ, მოკრით,

ლაკონიურათ გამოხატავს ხოლმე; მაგრამ მოყვანილი ფრაზა ანდაზასავით იხმარება და საზოგადოთ, შაირით იქნება თუ პროზით, აზრის მოკლეთ, გაუქიანურებლათ გამოიქმას ქადაგებს.

20 და 21. ამ ხანებში, სხვადასხვა ხარისხისა და ღირსების მოშაირეთა დასახასიათებლათ, ლამაზი პოეტური შედარებებია ნახმარი. პირველხარისხოვანი მგოსანი, შოთას აზრით, გრძელ შარაზე დიდი რბევის ადვილათ ამტან ცხენსა და ჩოგნის თამაშში ჩოგნის ხელმარჯვეთ ჩცემელსა გავს. ზოგელ შარას უხეირო, ჯაგლაგა ცხენი ისე კერ გაივლის, რომ ძაღლონე არ გამოელიოს და არ დაღეს; აგრეთვე სუსტი მოთამაშე ჩოგანს მარჯვეთ ვერ თამაშებსო. იგულისხმება, რომ პირველი ხარისხის მგოსნობა, შოთას აზრით, გძელი ნაწარმოების, მაგალ. პოეზის, შემოქმედს უნდა მიეკუთნოს. ამ აზრს შოთა ქვემოთ იმეორებს (24-ე ხანა): „მოშაირე არა ქვიან, ვერას ოტყვის ვინცა გრძელად“ო.

24. მესამე — ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერეულად:—ამ ტაეპში პირველი ნახევარი დაბალი შაირითაა დაწყობილი, ხოლო მეორე ნახევარი—მაღალით; საზოგადოთ კი ეს ხანა მაღალი შაირის წყობისაა; მაშასადამე, მოყვანილი ტაეპის პირველი ნახევარი უკანონოთ არის დაწყობილი.—და ამიტომ პროფ. შარს ეს ტაეპი ასე შეუცვლია: არს მესამე ლექსი კარგი სანადიმოდ, სამღერეულად (აქ კანონიერი წყობაა დაცული, მაგრამ ამგვარი შეცვლა უკანონოა, რადგან ყველა ვარიანტის წინააღმდეგია).

26. ჩემი აწ სცანით ყოველმან: მას ვაქებ, ვინცა მიქია.—აქ მგოსანი თამარს გულისხმობს. ზამოთქმა „ვინცა მიქია“ გვიჩვენებს, რომ შოთას თამარი ალბათ „მეფ-

ხისტყაოსნის“ დაწერამდისაც უქია. მარდმოცემაც ამას მოწმობს—და ერთი ამგვარი ლექსი პროფ. ჩუბინაშვილსაც მოყავს „ვეფხისტყაოსნის“ თავისი გამოცემის ბოლოში (ს. პეტერბ., 1860 წ.).—პროფ. მარი ამ თრაზის მეორე ნახევარს ასე სწერს: მას ვაქებ, ვინ ცამ იქია:—პროფესორის განმარტებით, ცამ იქია ნიშნავს ცამ იქ (თავის სფეროში) მიანიქა მას (თამარს) ადგილიო (მარის მართლწერა არცერთ ვარიანტს არ ეთანხმება—და აზრის განმარტებაც ნაძალადევი).—**შწყალო, ვითა ჯიქია:**—პროფ. მარის აზრით ჯიქი აქ ჯიქეთის მცხოვრებს ნიშნავს, რომელიც ძველათ თვისი ჯიუტობითა და უღმრთელობით ყოფილა ცნობილი. მაგრამ ჯიქი ამასთანავე ვეფხვის მსგავსი ცხოველიც არის (პანთერი გინა ლეოპარდი), სისხლისმსმელი მრისხანე მხეცი, და, ცხადია, შეუწყალებლობის, შეუბრალებლობის. გამომხატველათ, მხეცი უფრო შესაფერი ცნებაა, ვიდრე ხალხი.—ამ ხანაში ორი ტაეპი ერთნაირი სიტყვით (ომონიმით) ბოლოვდება: ვინცა მიქია და ქვემოთ მითქვამს, მიქია. შეუძლებელია ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვა ორჯერ იყოს რითმათ ნახმარი: ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ პირველი მიქია ქებისგან (ქება, ვაქებ, მიქია) არის წარმომდგარი, ხოლო მეორე—სიტყვისგან იქ (მიიქია ან მიქია, ე. ი. იქ მომიხსენებია).

3. მ ი ჯ ნ უ რ მ კ ა.

11. მღერასა ბედიტსა, ე. ი. ცუდ თამაშს (შედარებაა: მიჯნურის ხშირი გამოცემა ყმაწვილურს უმზავსო თამაშსა გაესო).—ძარგი მიჯნური იგია, ვინ იქს სოფლისა თმოხასა, ე. ი. კარგმა მიჯნურმა თავისი სატრფოს გულისათვის სოფლის (ცხოვრების, ამქვეყნიური) ლხენა უნდა დათმოს და გაქიერება უნდა აიტანოსო.

12. დახთმოს წყრომა მეფეთაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა, ე. ი. მეფის წყრომა უფრო აღვილათ აიტანოს, ვიდრე მიჯნურისაო; მიჯნურის უფრო უნდა ეშინოდეს და ეკრძალებოდეს, ვიდრე მეფისაო.

13. არ ბედითად ჰაი ზმიდეს:—ცუდათ, უთავბოლოთ ჰაი-ჰაის არ იძახოდეს, ცუდათ არ წუწუნობდეს და მით სატრფოს არ არცხვენდესო.

14. შინაარსი: თუ არა შმაგი და გიჟი, ვინ მიენდობა იმისთანა კაცს, ვინაც მოყვარეს გაამჟღავნებსო (ე. ი. სიყვარულს ქუჩაში გამოიტანს, ყველას აცნობებსო)! ამის მეტი სარგებლობა რა უნდა ექნეს, რომ მასაც ავნებს და თავისთავსაცო! ცუდი სიტყვით რომ შეარცხვენს, შემდეგ როგორღა უნდა ასახელოსო?! რა იქნება (ნუთუ არ შეიძლება), რომ კაცმა მოყვარეს (მიჯნურს) გული არ ატკინოსო?!

18. რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:—სიტყვა ბედი აქ ბუნებას აღნიშნავს: რაც ბუნებით თანდაყოლილი ნიქი აქვს ადამიანს, იმას უნდა დაჯერდეს ღმ ამ ნიქის ფარგალში იმოქმედოსო(მაგალ.: მეურნე-მეუზა, მეომარი, მიჯნური და სხვ.).—ჰუმსარიტი აზრია, ვინაიდან ადამიანის მოქმედება ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი მაშინ არის, როცა იგი იმ საქმეს კიდებს ხელს, რომელიც უკეთ გაეგება, რომელიც უყვარს, რომლის ნიქიცა და უნარიც ბუნებას მისთვის მიუცია (მოიგონეთ ძრილოვის არაქი „Шука и Котъ“, სადაც ნათქვამია: „Бѣда, коль пироги начинятъ печи сапожники. а сапоги точатъ пирожники“).

27. ამ ხანაში მგოსანი წმინდა სიყვარულს—მიჯნურობას ზენა გვართა ტომს, ე. ი. ზეციურ გრძნობას უწოდებს: მიჯნურობა ადამიანს აღმაფრენას ანიჭებს, ალტაცე-

ბით ავსებს—და ეს გრძნობა ენით გამოუთქმელია და ძნელი გამოსაცნობიო. ამიტომაც ამ მაღალი გრძნობის შესახებ იგი ამბობს: „ზინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდეს მრავალთა წყენათა“-ო, ე. ი. ვინც ამ გრძნობას გამოცდის, ვინაც მას ეტანება, იგი იძულებული იქნება მის გამო მრავალი წყენა დათმოს, მრავალი ტანჯვა აიტანოსო.—აღნიშნული ფრაზა სხვადასხვა გამოცემაში სხვადასხვანაირათ არის მოყვანილი: 1) ზინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა (აბულ. და ქაკაბ.); 2) ზინცა ეცდების თმობათა, ჰქონდეს მრავალთა წყენათა (ჩუბინ. და შარი)—და სხვ.,—მაგრამ ფორმა ჰქონდა და აგრეთვე გამოთქმა „ჰქონდეს მრავალთა წყენათა“—გაუგებარია.

28. შინაარსი: იმ ერთ მიჯნურობას (ე. ი. ქვენა-გრძნობას) ჰკვიანი ვერ აჰყვება; იმის აწერა ენას დაღალავს და სმენასაც დაამძიმებს; მე ვამბობ ქვენა სიგიჟეზე, რომელიც ხორციელ სიყვარულს შეეხება; მართალი რომა ვსთქვათ, ამგვარი მოტრფიალენიც მასვე (ე. ი. წმინდა მიჯნურობას) ბაძვენ (რამდენათმე უახლოვდებიან), თუ რომ უკიდურესათ არ სიძვენო.

29. შინაარსი: მიჯნური არაბული ენით შმაგს ნიშნავს; ასე იმიტომ უწოდებიათ, რომ ციური ტრფობის მიუწვდომლობა მას აშმაგებს. ორგვარ მიჯნურთა შორის ზოგნი (სახელდონ ზენა-გრძნობის მიჯნურნი) ცაში დაფრენენ და ლეთაებისაკენ მისწრაფებით იქანცებიან, ხოლო ზოგნი (სახელდონ ქვენა-გრძნობის მიჯნურნი) მიწაზე, გაფურჩქენილ ბუნებაში კეკლუცებს შორის დაქროლენო.

30. თუ არ უყვარს, რად არა სძულს?—სიძულვილს აქ აღგილი არ აქვს; „რად არა სძულსო“—პოეტს ამით იმის თქმა უნდა, რომ მიჯნურმა სატრფო არ უნდა მოა

ტყუოს,—თუ არ უყვარს, თავი შეეყვარებულათ არ უნდა აჩვენოსო.

31. იგონებდეს, მისგან კიდე ნურაოდეს მოეცდებიხ, ე. ი. სულ სატრფოს იგონებდეს—და მას გარდა ნურაოდეს სხვისთვის (სატრფიალოთ) ნუ მოიცლისო.—არ დააჩნდეს მიჯნურობა—სჯობს, თუ კაცთა იახლე-ბის:—თუ სწადია, რომ მიჯნურობით არ დაიტანჯოს, მაშინ ხალხში უნდა იტრიალოს (ხალხში გაერთოსო).

II. ბოლოსიტყვა.

ბოლოსიტყვა სულ 5 ხანისაგან შესდგება. პირველ ხანაში საყურადღებოა მეოთხე ტაეპი, რომელშიც შოთას ბიოგრაფიული ცნობაა მოყვანილი (იხ. ამის შესახებ წინ, ბიოგრაფიაში).—ამ ტაეპის მართლწერა სხვადასხვა გამოცემაში სხვადასხვანაირათ არის მოყვანილი: განსხვავება მხოლოდ მეორე ნახევარს შეეხება: 1) მე რუსთველისა დაბისა (ჩუბინ. და ბროსე), 2) მე რუსთავისა დაბისა (ძარაქ.), 3) მე რუსთველისა თემისა (ძაკაბ.), 4) მე რუსთველისად ამისა (აბულ.).—თუ რომ ეს ხანა შოთას კალამს ეკუთნის, ცხადია, სიტყვა „დაბისა“ მისგან ნახმარი არ იქნება, რადგან იგი წინა რითმებთან მეტათ დისჰარმონიულია, ხოლო დანარჩენ რითმებს შორის თემისა-ც წინა რითმებთან დისჰარმონიულათ უნდა ჩაითვალოს, რადგან შოთა დაბალ შაირში რითმებათ ყოველთვის სამ-სამ მარცვალს აწყობს, ისე რომ ბოლოში სამი ხმოვანი ერთნაირი უნდა იყოს, და აქ კი სამჯერ რითმები ჰარმონიის წესით არის დაწყობილი (ღამისა, ჟამისა, წამისა), ხოლო მეოთხეჯერ ეს წესი უკვე ირღვევა (თემისა). რაც შეეხება გამოთქმას „მე რუსთველისად ამისა“, იგი ერთობ ხელოვნურათ, ნაძალადევათ არის შედგენილი—და გაუგებარიცაა.—

მეორე ხანაში თამარზეა ლაპარაკი.—სარებლად:—
 სარებელი—სავლელი, სატარებელი;—ზართა მარებლად
 —შიშის ზარის მიმტანათ, მიმგერელათ.—ამ ხანაში დის-
 ჰარმონიული რითმებია ნახმარი (საკამათებლად და დამა-
 მაგრებლად), რაც რუსთველის კალამს ვერ მიეწერება, და
 ამიტომ პროფ. მარს ისინი ასე შეუცვლია: „საკამათებ-
 ლად“-ის მაგიერი —საკუმარებლად (კუმარი ან ყუმარი
 არაბულათ—თამაში, საკუმარებელი—სათამაშო),—ხოლო
 „დამამაგრებლად“-ის მაგიერ—დამახმარებლად. —ერთობ
 თავისუფალი ცვლილებაა სიტყვებისა—და ამგვარი გასწო-
 რება შეუძლებელია.—პროფ. მარი პირველ ტაქს ასე სწერს:
 „ქართველთა ღვთისა, ღვითი ვის მზეს მსახურებს მა-
 რებლად, ესე ამბავი გავლექსე“, და სხვ, და ამის აზრს
 ასე ხატავს: ეს ამბავი მე გავლექსე ქართველთა ღვთის (ე. ი.
 თამარის)საკუმარებლათ(გასართობათ),რომელსაც,როგორც
 მზეს, ღვითი მსახურებს, ვითა მთვარეო (მა=მთვარე).—
 პროფესორი აქაც ერთობ თავისუფალ გადასხვაფერებას
 ახდენს--და ამისთანა ჰიპოთეზების მიღება შეუძლებლათ
 მიგვაჩნია. ამიტომ იძულებული ვართ დავსტოვოთ ისე,
 როგორც ყველა ვარიანტით ჩვენამდი მოსულა.—ამ ხანის
 შინაარსი, თანახმათ ღ. ჩუბინაშვილის განმარტებისა, რო-
 მელიც ჩვენ სარწმუნოთ მიგვაჩნია, ასეთია: ეს ამბავი გავლექ-
 სე იმის საკამათებლათ (ე. ი. სათამაშოთ, შესაქცევათ,
 საამებლათ), ვისაც ქართველთა ღვთის ღვითის მზე მსა-
 ხურებს სარებლათ (ე. ი. თანამგზავრათ, მხლებელათ),
 ვინაც აღმოსავლეთიდან დასავლეთამდი შიშის ზარს ავრცე-
 ლებს და ვინაც ორგულთა დამწველია, ხოლო ერთ-
 გულთა დამამაგრებელიო (ღვითით აქ, თანახმათ ჩუბი-
 ნაშვილის აზრისა, ღვით მეფე—წინასწარმეტყველი იგუ-

ლისხმება, რომელთანაც ტრადიციით დაკავშირებული არიან ქართველი ზაგრატიონები).

მესამე ხანის პირველი ტაეპი გამომცემელთა უმეტესობისაგან ასე იკითხვის: ღავითის ქნარი ვითა ვ(ს)თქვენ სიჩალხე, სიხაფეთანი. — ზაუგებარი აზრია. პროფ. მარი ფიქრობს, რომ „ქნარი-“ს მაგიერ ქნარით უნდა იყოს, — ე. ი. ღავითის ქნარით ვსთქვენ სიჩალხე-ო; მაგრამ ამ შემთხვევაშიც ფორმა სიხაფეთა-ნი (ნათ. ბრ.) გაუგებარი რჩება. — აბულაძისა და ძაკაბაძის გამოცემებში ვკითხულობთ: ღავითის ქნანი ვითა ვთქვენ სიჩალხე-სიხაფეთანი! ე. ი.: როგორ უნდა გამოვსთქვა ღავითის სიჩალხე-სიხაფეთა საქმენიო. ზრამატიკულათ კანონიერათ დაწყობილი ფრაზაა, მაგრამ სიტყვა ქნანი როგორღაც უადგილოთ, შეუფერებელ ფორმათ გვეჩვენება. — ვილჟფეთანი: — თავისუფალი ფორმაა (ლიცენცია); ლაჟფობა (შემდეგში — ლაჟბობა) — გართობა, თავის შექცევა.

მეოთხე ხანაში წუთისოფლის „საწუთრობაზე“, მსწრაფლწარმავლობაზეა ლაპარაკი; პოეტის აზრით, წუთისოფელი — „ბედია მაყივნებელი; — ვის არ შეუცვლის, კარგია — ორისავ იყოს მხლებელი“, — ე. ი. საწუთრო მაყივნებელი (შემაფიწროებელი) ბედიაო, და კარგი მხოლოდ იმისთვისაა, ვისაც როგორც სააქაოს, ისე საიქიოსაც არ ღალატობსო (ორისავ მხლებელი — ე. ი. ორივე ქვეყნის მხლებელი).

მეხუთე ხანაში, რუსთველთან ერთად, მისი წინა დროისა თუ უფროსი თანამედროვე მგოსნები არიან ჩამოთვლილი: 1) მოსე ხონელი, ამირან ღარეჯანიანის ავტორი, 2) იოანე შავთელი: — მას დაუწერია პოემა აბდულმესიანი, რომელიც დაკარგულათ მიაჩნდათ, ხოლო, პროფ. მარის გამოკვლევით, იგი დაკარგული არ

არის: „აბდულ-მესია“ სწორეთ ის პოემაა შავთელისა, თამარ მეფის ხოტბათ რომ ითვლება, ნამდვილათ კი აქ ღვით აღმაშენებელი იხატება, რომელსაც მეტ სახელათ ალბათ აბდულ-მესია (არაბულათ ძრისტეს მონახ ნიშნავს) ერქვაო (იხ. მისი „Древнегрузинские подписи“, тексты и разыск., кн. IV); 3) ღილარიანის ავტორი სარგის თმოგველი (თმოგველის ნაწარმოები დაკარგულა და იგი შემდეგ, მრეკლე II-ის დროს, პეტრე ლარაქეს მოგონებით აღუდგენია, თუმცა მრავალი ნაკლულევანებით).

III. ამბავი ჰორეული როსტეჟან აზაბთა მეფისა.

38. მზისაცა დასთა დასული.—ძნელი დასაჯერებელია, რომ მე-12 საუკუნის მგოსანს უკვე ქონოლეს წარმოდგენა ცის (ატმოსფერის) სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა მზის არსებობისა; უნდა ვიფიქროთ, რომ მგოსანს, პოეტური ფანტაზიის მეოხებით, მხოლოდ ჰიპერბოლური შედარება მოყავს.—დასული—პოეტური ლიცენციით ნაწარმოები ფორმაა. მოყვანილი გამოთქმის მნიშვნელობა: მეფის ასული (თინათინი) სიბრწყინვალით მზეების დასების კრებულს გადააქარბებდაო.—მნა ბევრად ასული:—ზოგიერთი კომენტატორის აზრით სიტყვა „ასული“ ასეულს უნდა ნიშნავდეს (მრავალი ასი ენაა საქირო მის საქებრათო); ჩვენი აზრით, ბევრად ასული ნიშნავს—ცად აწევნილი, დიდათ ამალღებული, განვითარებული; ე. ი. დიდათ ამალღებული (განვითარებული) ენა უნდა გქონდეს, რომ მისი ქება შესძლოო.—ვაუღლის—მრავალგზითი სახის ზმნის ფორმაა (იხ. ჩემი გრამ. გვ. 165).

39. მეფემან იხმნა ვეზირნი:—ძველი ენის კანონით —არა მარტო ქვემდებარე, არამედ დამატებაც, როცა მრავლ. რიცხვში იყო, შემასმენელში მრავლობითი რიცხვის ნიშანს მოითხოვდა (იხ. გრამატ. გვ. 165).

40. მისი ყვავილი:—ნაცვალსახელები მისი და თვისი ძველსა და ახალ ენაში (იხ. კანონი გრამატიკაში, გვ. 165—166).

41. ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია:—ძე ვაჟს ეწოდება, ხოლო აქ პოეტი თინათინს ძეს იმიტომ უწოდებს, რომ იგი ტახტის მემკვიდრე იყო და ამასთან ყოველგვარი ღირსებით ვაჟის თანასწორი (შეადარეთ ისტორიულ თამარს, რომელსაც მეფე ეწოდება და არა დედოფალი). —123-ე ხანაში როსტევეანი თინათინზე ამბობს: „ახული და ჩემი ძეო“;—ეგ სიტყვებიც დამამტკიცებელია იმ აზრისა, რომ თინათინს ძე ზევით აღნიშნული მიზეზებისა გამო ეწოდება.—ვისგან:—ახლა ვიტყვით ვისგანაც (ვისგანცა), ე. ი. ძველ ენაში უ-ც-ნოთ იხმარებოდა (ნახ. გრამატ. გვ. 148).

42. მარდი თუ გახმეს... და სხვ.—ე. ი.: თუმცა უნდა ვიწმუნოთ, რომ ვარდი დაკნება და გახმება ხოლმე, მაგრამ მაშინ მისი სურნელება უფრო ძლიერიაო.

43. მას თინათინის შვენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა:—არაჩვეულებრივი წყობაა სიტყვებისა („ლიცენც. პოეტ.“);—ჩვეულებრივად უნდა იყოს; მას თინათინის წამწამთა ჯარის შვენება ჰკლევდის.

44. მარდი შექმნის ფერნაკლულად:—აქ ლოყებზეა ლაპარაკი. აღმოსავლეთის მგოსნები—და მათ შორის საქართველოსიც—ძველად ადამიანის სხეულის (განსაკუთრებით სახის) ნაწილების ასაწერად და საქებრად ხშირად სიმბოლიზმს მიმართავდნენ ხოლმე: ტბა თვალს აღნიშნავდა

(ტბასავით ღრმა), ყოჩნის ფრთა—წარბს, ვარდი—ლაწვს, და სხვ. (იხ. წინასიტყვაში ხანა 4).—მოშორდის, ნახის და სხვ. (იხ. წინ 38-ე ხანის განმარტ.).

47. ვსება სპირს მის სოქალისა:—სოქალი (მშვენიერი თლილი ქვის მნიშვნელობით) აქ სიმბოლოურათ გულმკერდს აღნიშნავს: ავთანდილმა თინათინის გამეფების ამბავი რომ გაიგო, გულ-მკერდი სიხარულით ევსებოდაო (ზოგიერთი კომენტატორი სოქალს აქ ფერმკრთალობის, სიყვითლის მნიშვნელობას აძლევს—და მაშინ ამ გამოთქმის აზრი იქნება: თინათინის გამეფების ამბავი რომ გაიგო, ავთანდილს სიყვითლე გაუქრა, ფერი მოუვიდაო).

51. ა! უკუდგეს და თაყვანი სცეს მეფეთა და მისთა სპათა:—ღავ. ქარიქაშვილის აზრით, მეფეთა აქ შეცთომა უნდა იყოს: იქ მხოლოდ ერთი მეფე იყო (როსტე-ვანი), რაც იქიდანაც ჩანს, რომ, ბევრი მეფე რომ ყოფილიყო, მისთა სპათა კი არ იქნებოდა ნათქვამი, არამედ მათთა სპათაო; ამიტომ ღ. ქარიქაშვილის გამოცემაში „მეფეთა“-ს მაგიერ ნახმარია ფორმა მეფემა, ე. ი. მხოლ. რიცხვი (ამ აზრს, როგორცა ჩანს, ი. აბულაძეც და ს. კაკაბაძეც იზიარებენ: იმათ გამოცემებშიც მხოლ. რიცხვია ნახმარი). ეს აზრი საფუძვლიანი არ არის: 1) უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისთანა დიადი ზეიმის დროს, ექვი არ არის, როსტევეანს მეზობელი მთავარ-მეფენიც ეწვეოდნენ, რაიცა ჩანს კიდევ სიტყვებიდან: „ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა“-ო, ე. ი. სხვადასხვა მხრიდან—ქვეყნიდან მოსულებმა ქება შეასხესო. ამავე აზრს ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ, შარსადანს ნესტან-დარეჯანი რომ შეეძინა, ტარიელის სიტყვით, „შოვლგნით მოვიდეს მეფენი ნიჭითა მრავალგვარითა“;—2) სპა, ე. ი. ლაშქარი, ცხადია, მხოლოდ ადგილობრივი იქნებოდა—და ამიტომ არის ნათქვამი

მისთა (ე. ი. როსტევეანისა ან თინათინისა), და არა მათ-
თა, ვინაიდან სტუმარი მეფენი ლაშქრებით არ ეწვეოდნენ.

ბ) ჰხრის ყორნისა ბოლო ფრთათა: — აქ სიმბოლიუ-
რათ შავი მშვენიერი წარბები იგულისხმება: ყორნის ბო-
ლო-ფრთებივით ლამაზათ გადართხმულ წარბებს ხრიდაო,
ე. ი. სახეს ხუშავდა, წუხდა და ტიროდაო.

52. ბაღი ვარდისა, ე. ი. ღაწვები (ლოყები). —
მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა: — ყოველი მამა ძეშია
(შვილშია) მოთავსებულიო, შვილისაგან მოიხსენიება — ავით
ან კარგათო. — შეადარეთ ხალხურ ანდაზას: „ღედა ნახე,
მამა ნახე, შვილი ისე გამოიჩინეო“.

54 და 55. — ამ ხანებში მშვენიერი პოეტური შედა-
რებაა, რომლითაც გამოხატულია მეფის მოვალეობა ხალ-
ხისადმი: როგორც მზე ვარდსა და ნებეს თანასწორათ
ეფინება, ისე შენც ღიდსა და წვრილს, ე. ი. მაღალისა
და დაბალი შთამომავლობის ქვეშევრდომებს, თანასწორათ
მოუწინე შენი წყალობაო. — უხვი ახსნილსა ღაბამს, — იგი
თვით ების, ვინ ების: — უხვი ადამიანი სიუხვით ორგულ-
საც მოინადირებს, ხოლო, ვინაც ერდგულია, ის თავის-
თავათაც ერდგულიაო (ახსნილი — გულიდან ახსნილი, გულს
მოშორებული, მაშასადამე — ორგული, მტერი; — ების — ებ-
მის, დაბმულია). — უხვად გასცემდი: ზღვათაცა შესდის
და გაედინების: — აქაც მშვენიერი პოეტური პარალელია
ზღვისა და უხვი ადამიანის თვისებისა: უხვათ გაეცი, სი-
უხვეს ნუ მოიშლი, რადგან ამით არაფერი დაგეკარგება,
როგორც არ ეკარგება ზღვასაც, რომელიც, მართალია,
წყალს უხვათ უნაწილებს ჰაერს (ორთქლის სახით) თუ
დედამიწას (გაჟონვით), მაგრამ ისევ უკან უბრუნდება.
ხელახლა უხვათ შესდისო (ჰაერიდან — წვიმისა, და დედა-
მიწიდან — მდინარეების საშვალებით). — სმა-ჰამა ღიდად

შესარგო, დება რა სავარგულია?—პოეტს აქ ქეიფი და სიმდიდრის ფლანგვა კი არ აქვს მხედველობაში, არამედ ქონების გონიერი მოხმარება, ქვეყნის სასარგებლოთ ცხოვრებაში სიმდიდრის გამოყენება; დება რა სავარგულია—ე. ი ქონების უხმარათ, უსარგებლოთ დაფლვა და შენახვა რა სასარგებლოაო? (შეადარეთ ძრისტეს იგავს ქანქართა შესახებ).—რასაცა გასცემ--შენია, რაც არა—დაკარგულია:—აქ პოეტი ქვეყნის გონიერი მართველის მოვალეობას გვიხატავს,—თუ ქვეყნის მართველი ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავს, გაცემული სიმდიდრე მას არ დაეკარგება, უკანვე დაუბრუნდებაო.—ამ ორ ხანაში დიდებულია არის გამოხატული პროგრესიული საკაცობრიო აზრი ქვეყნის მართველთა და ხალხს შორის ურთიერთობისა: თუ მართველს სწადია—თვითონაც ბედნიერი იყოს და ხალხიც გააბედნიეროს, უპირველესათ თვით უნდა იზრუნოს ხალხის კეთილდღეობაზე, არ დაშუროს ხაზინა ხალხის გასამდიდრებლათ, მისი ცხოვრების მოსაწყობათ, და როცა ხალხი კეთილდღეობაში იქნება, მაშინ იგი სახელმწიფოს მოვალეობას ადვილათ და სიამოვნებით შეასრულებს, ხაზინასაც დანახარჯს სარგებლით დაუბრუნებს და, საყვარელი მართველის გამოწვევით, მტერ-მოყვარესაც სათანადო პასუხს გასცემსო: როგორც ზღვას გაედინება, მაგრამ ისევ შესდის, ისე კეთილგონიერ მართველსაც გაბედნიერებული ხალხისგან სიკეთე უკანვე დაუბრუნდებაო. ასეთია, შოთას აზრით, მდინარება სიკეთისა ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით, კეთილგანწყობილება მთავრობასა და ხალხს შორის—ორივე მხრის საკეთილდღეოთა და საბედნიეროთ, და ასეთია ჩვენს დროსაც ამ საგანზე შეხედულება საუკეთესო კაცობრიობისა.

56. თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინ-

ნებდა:—აქ გამოთქმა თინათინებდა ერთერთი პოეტური ხერხია, რომელიც აზრის გამოხატულებას აშვენებს,—სიტყვების თამაში, რომლითაც შესაძლოა ორი აზრი იხატებოდეს, ორივე შესაფერი ამ ადგილისა: 1) თინათინი ისე მშვენიერი იყო, რომ მზე მასთან არაფრათ ჩავარდებოდა—და ამიტომ იგი მზეს სწუნობდაო, ხოლო მზე კი თინათინობდა, ე. ი. თინათინს ემზგავსებოდა, თინათინობა ენატრებოდაო; 2) თინათინი მზის შუქს ნიშნავს—და, მაშასადამე, მოყვანილი ფრაზის მნიშვნელობა შესაძლოა კიდევ შემდეგი იყოს: თინათინი მზეს სწუნობდა, ხოლო მზე ცთილობდა მის მზგავსათ ქვეყნიერობა გაეშუქებიაო.

57. მოიხზო მისი გამზრდელი (მისი-ს ხმარების შესახებ იხ. მე-40 ხანის განმარტება).—ჟველაი:—ჟველათ სახელები საზოგადოთ ი-ზე ან ჟ-ზე ბოლოვდებოდა (ნახეთ გრამატი. გვ. 164).

60. ჰგვანდა ხიუხვითა ბუქსა, ზეცით ნახუქალსა:—თინათინი ისე უხვათ არიგებდა სიმდიდრეს, როგორც უხვათ იფანტება ხოლმე თოვლი ბუქის დროსო. —**ჟარიელი:**—მეტათეზისის მაგალითია, ცალიერი-ს. მაგიერ (იხ. გრ. გვ. 142).

71. რამცა ვიწყინე თქმა შენგან საწყინარისა:—როგორ შეიძლება შენი სიტყვა საწყენათ მიერლოო!—ავთანდილ იტყვის: დავიწყო... და სხვ.:—ავთანდილმა თავის გულში სთქვა: მოდი ერთი საუბარი ვკადროო.

72. მიწამცა თქვენი ავთანდილ...:—მიწამდი თავმდაბალი, თქვენი მორჩილი ავთანდილი...—ნაძლევი:—სწორი ფორმაა—და დღესაც ასე უნდა ვიხმაროთ: ნაძლევი, დანაძლევება, დავნაძლევედით და სხვ. (და არა დანაძლავება გინა დანიძლავება).—**მოწმად:**—ძანონიერი ფორმაა მოწმედ (მოწმეთ), რადგან სახელ. ე-ზე ბოლოვ-

დება (როგორც, მაგალ., მოძმე—მოძმედ ან მოძმეთ). —
ცუდილა უკუთქმანია:—ცუდი კვებნაა (უკუთქმა—უკულ-
მართი, უმზგავსო ნათქვამი).—ნუ იქმო შედრეკილება-
კლებასა, ე. ი. ნუ შედრეკები და უკან ნუ დაიხევო.
მისძი:— იხ. ლექსიკონში ძი.

75. თორმეტი ჩემად ისრისა მომართმევლად:—ღ. ქა-
რიქაშვილი ფიქრობს, რომ ჩემად კი არა, ჩვენად უნდა
იყოს, ვინაიდან ორზეა (როსტევეანსა და პეტანდილზე)
ლაპარაკი და არა მარტო მეფეზეო.—საქმე ისაა, რომ
როსტევეანი ამას შემდეგ ამბობს: „მართაი შენი შერმადინ
არს მათდა დასადარებლად“—ო; მაშასადამე, მეფის სი-
ტყვიდან ჩანს, რომ 12 მონამეფეს უნდა ხლებოდა, ხოლო
პეტანდილს—მარტო შერმადინი, რომელიც, როსტევეანის
აზრით, ისეთი ვაჟკაცი იყო, რომ 12 კაცს უსწორდებოდა.

76. დასცევით ჯოგი მრავალი:—მრავალი ჯოგი
ერთ ადგილას მორეკეთ და მერე დაიცავით, უთვალთვა-
ლეთო,—ლაშქარნი სამზოდ აწვივნეს:—ლაშქარნი მოსა-
მზადებლათ გამოიწვიეს (უთხრეს, მზათ იყავითო).

77. გასვლად:—ნახეთ წინ მე-2 და 6 ხანების გან-
მარტება.

81. მონანი ყე მოართმიდეს:—ნაწილაკი ყე მრავ-
ლობითი რიცხვის ნიშანია (მათ მოართმევდენო). ახალმა
მწერლობამ ეს ნაწილაკი უარყო, ხოლო ხალხში ზოგან
ახლაც იხმარება.

82. ედემის ხეს:—ზოგიერთ ვარიანტში ამის მა-
გიერ ნახმარია: „ედემს ისხეს“,—ე. ი. ღირსია ედემში,
სამოთხეში იდგესო.

83. იგი მაშვრალნი ორნივე მოსწყდეს, რაზომცა
მხნენია:—ისინი დაღალვით იმდენათ მოსწყდენ, რამდე-
ნათაც მხნენი იყვნენ (რამდენათაც მხნეთ იბრძოდენო).

IV. ნასკვა აწაბთა მეყვისაგან მის ემისა

ვეჟსის-ტეაოსნისა.

89. **პრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულ-**
რად ანატირსა, ე. ი. მდულრათ (მწარეთ) ანატირები
გულიდან მონადენ ცრემლს ვარდი (ლაწეები) დაეთრთვი-
ლაო.

90. **ნახეს და ნახვა მოუნდათ:—ნახეს ნიშნავს—**
შორიდან დაინახესო, ხოლო ნახვა მოუნდა:—ახლოს
ნახვა, გაცნობა მოუნდათო.

91. **მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღა-**
რისად:— ბიშრის ღარიდან (შავი თვალეებიდან) ბროლის
წვიმა (ბროლის მზგავსი ცრემლი) სდიოდაო. —**ზოგიერთ გა-**
მოცემაში ღარი სად ასე სწერია: ღარი სად: ამ შემთხვევაში
-მოყვანილი ფრაზა ასე უნდა ითარგმნოს: ბროლის წვიმა
წვიმდა იქ, სადაც ჰგია (არის) გიშრის ღარიო.—აღარი
სად — „ლიცენცია პოეტიკა“, რითმისათვის ნახმარი; აზ-
რი: სიტყვის თქმა აღარ მოცალდა, ვერ მოახერხაო.

94. **სხვაგან ჰქრის მისი გონება, მისმან თავისა**
წონამან:— თავი ფიქრებით დამძიმებული ქონდა—**და ამი-**
ტომ მისი გონება სხვაგან ჰქროდაო.—დ. ქარიჟაშვილის
აზრით, „მისმან თავისა წონამან“—ფიცის გამოხატვაა
(როგორც ძველათ იტყოდენ, მაგალ., „თავმან მეფისამან“-ო,
ე. ი. მეფის თავს ვფიცავო); მაგრამ ფიცი აქ როგორღაც
უადგილოა, აზრს არ შეეფერება.—არცა გახლიჩნა ბა-
გეთათ თავი ვარდისა კონამან:—ვარდის კონამ (მშვენი-
ერმა სახემ) ბაგენი არ გახლიჩნა (არ გააღოო)

95. **მუნდა:—**ლიცენციაა (და ბოლოში რითმისთეი-
საა მიმართებული).

96. **ბაცახწყრა:**—**ბიდევატ გაწყრა;** ნაწილაკი ცა ჰველ ენაში ზმნებს თავსართსა და ძირს შუა ჩაერთოდა ხოლმე, აგრეთვე კავშირი რა; მაგალ.: მზესა მთვარე შეეყაროს, — დაილევის, დაცბქნების“ („მეფხ.“—130-ე ხანა); „წარმორბვიდოდა იესო“... ე. ი. რა (როცა) იესო წარმოვიდოდა; „მირბხვიდეთ, ქადაგებდით“, ე. ი. რა (როცა) მიხვიდეთ, იქადაგეთო (სახარება მათესი: $\frac{9}{27}$, $\frac{10}{7}$).

106. **ჯალაბი ჩანს არ დაჯრილი:**—სასახლეში მყოფნი გარს დაჯარულნი (შეკრებილნი) არა ჩნდენო.

108. **ბსრე დაღრეჯით ამით ა:**—**შცხო ვინმე ყმა უნახავს**—**და ამით არის ასე დაღრეჯილიო.**—**შესვლა არს ჩემგან ჟამითა:**—**ჩემგან შესვლა უმჯობესია შესათერ (მოხდენილ) დროზე იქნესო.**

109. **წინაშე მომავალიო:**—**შემდგომ (შერჩეულ დროს) მომავალიო.**

110. **ღავლეო („დავლევ“-ოს მაგიერ)**—**ლიცენციაა რითმისათვის.**

111. **ბკოცა ნება-ნებასა:**—**ნებაყოფლობით, სიყვარულით აკოცაო.**—**მახლავ რად არა:**—**ლიცენციით ნახმარი წყობაა,**—**უნდა იყოს: რად არა მახლავ?**

113. **მეჭვ, რა სცნა, შენცა მამართლო, ჩემი კმუნვა და ახია:**—**ლიცენციით ნახმარი წყობა; ნორმალური წყობა იქნება:** „მეჭვ, რა სცნა ჩემი კმუნვა და ახია, შენცა მამართლო“ (იხ. წინასიტყვაში მე-7 ხანის განმარტ.).

116. **ტკბილნი მისნი წყალობანი:**—**მისნი—ე. ი. ლეთისა.**—**ჟოფლმან პირმან ვაგლახ მიყოს:**—**ჟოფელმა კაცმა მიგლოვოსო.**—**ამ ხანაში ორჯერ არის სიტყვა ველარამან, რაიც შოთას ენას არ შეეფერება; შესაძლოა პირველი ველარამან-ის მაგიერ ველარავინ იყო (იხ. აბუ-**

ლადის გამოც.); შესაძლოა მთელი ეს ხანა შემდეგი დრო-
ის ჩამატებულიც იყოს, როგორც არამუსიკალური ხანა.

126. არ ერთგან შეუყრელია:—ორი უარყოფა
დამტკიცებით აზრს მოასწავებს: არ შეუყრელი—არ არ-
შეყრილი — შეყრილი (შეადარეთ წინასიტყვის მე-4 ხანას,
სადაც ნათქვამია: „არ ავად გამორჩეული“—არ ავად
ორი უარყოფაა და დამტკიცებით აზრს აღნიშნავს).

128. თმანი არ უხშირონი:—აქაც ორი უარყოფა
დამტკიცებითი აზრის მომასწავებელია: არ უხშირო—
არ არახშირი — ხშირი (იხ. 126).

130. თავი ჩემი მეგონების, ე. ი. ჩემი თავი საგო-
ნებლათ, საფიქრელათ მიმაჩნია, ჩემს გონებაში აღარა
ვარო (იგულისხმება: შენი სიყვარულით).

131. არ დუხჭირად:—ორი უარყოფაა (იხ. 126 და
128)—ე. ი. არ უშნოთ—შროიანათ, ღამაზათ.—იტყვის:
„თუმცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად, მი-
კვირს-მოგხვდა წამისყოფად საქმე შენგან საეჭვი რად“:
—თუმცა დღემდის ჩემგან შორს გექირა თავი (დაშორე-
ბული იყავ), მაგრამ მაინც მიკვირს, ერთ წამსაც შენ სა-
ეჭვოთ რათ გახადე საქმე (ჩემი შენდამი სიყვარულისა).
—დანამჭირი—ლიცენციაა (=დანაქერი, დაჭერილი).—
წამისყოფა—წამი.

132. მასუკანით გონებამან მისმან ასე დამამხოცა:—
მას შემდეგ მისმა მოგონებამ ასე დამამხო კიდეცაო (ე.ი.
მამა-ჩემი შეაძრწუნაო).—კიდით-კიდე მოლაზო ცა:—მთე-
ლი ცა და ქვეყანა კიდიდან კიდემდის რომ გარდალაზო
(შემოვლო).

133. თვალთათ ღაწვი გისეტყვია:—თვალთაგან
(მონადენი ცრემლით) ლოყები დაგისეტყვიაო.—ზული
შენი დაუტყვია:—შენი გული დაუტყვევებიაო.

137. ზულსა დანა ასაქმარი, ე. ი. გულში დანა ასაქმე, დაატრიალე, გულში დანა დამეციო.

138. ვინ გიშერი აწამწამე:—მისაც გიშრის წამწამები გაქესო.—ბნუ რამცა შევიწამე:—შკადრისი პასუხი რა შევიწამე, რა შევიმწინიო.—მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე:—მე დღემდი (სანამ შენი თანაგრძნობის იმედი არ მქონდა) სიკვდილს მოველოდი, ახლა კი (თანაგრძნობის გამოცხადებით) სიცოცხლე წამს დამიბრუნეო (ან სიცოცხლე მაწამე, სიცოცხლე შემაყუაოეო).—ვითა მონა ხამსახურად გალანამცა წავეწამე:—როგორც მონა შენი, სამსახურისათვის დიხაც უნდა წავიდეო;—წავეწამე თავისუფალი ფორმად წასვლა-დან, რითმისათვის: წავ(იდ)ე-წა-მე.

139. მარდი ჩემი არ დაქნების, შუქი შენი იეფად ა:—თუ შენი შუქი გამიადვილდა (გამიხშირდა), ჩემი ლაწვი არ დაქცნებო.

141. 1) ასად აგეს—ასათ აქციეს, გაამრავლეს; 2) ბროლ-ბალახში შეხვეული და გიშერი ახადაგეს—ბროლ-ლალის მზგავსი ლაწვ-ტუჩ-კბილი და გიშრის თვალები ერთმანეთს გაუმარტივეს, გაუადვილეს, დაუახლოვესო; 3) თავი ხელი ა. სად აგეს;—ზაშმაგებული თავი აი სადამდი მოიყვანესო; 4) ბული ჩემი ახადაგეს:—ჩემი გული დახრაკესო (დაგვან—სადაგი—სადაგავი).

142. ბროლსა ხეტყვს და ვარდსა აზრობს:—ბროლის ცრემლებს აფრქვევდა და ლოყებს აზრობდაო:—გული მქონდა გულისათვის, სიყვარულსა ავადებდა:—თავის გულს სატრფოს გულისათვის ამგერებდა და სატრფოსადმი სიყვარულით ამძიმებდა, ტვირთავდაო.

144. სიახლოვე საყვარლისა ეოცების:—საყვარ-

ლის სიახლოვე ელანდება, აკვირვებს, აოცებსო.—პატიჟი
ეოცების:—მწუხარება ოცათ ექცევაო.

145. მარდისა დასანაზოდ:—ლოყების დასანაზებ-
ლათ, დასალობათ.

146. მართ მისგან შენარონია:—მისგან დიახ (მრავალგზის) ნატარები.

147. პილაშქრო და ვინაპირო:—საზღვრებს ლაშქრობით შემოფუარო და ნაპირები დაეიცვაო.

148. მადრიელობა:—მეტათეზისის მაგალითია (მადლიერი-ს მაგიერ;—ნახეთ მე-60 ხანის განმარტება).—მომხვდეს, რაღა ვქმნა, მე ხიშორისა გრძელობა:—პრანორმალური წყობაა (ნახეთ მე-7 ხანის განმარტება);—დააწყვეთ სიტყვები კანონიერათ.

150. მას დღე მათი ჩანს გაყრილი:—მას (პეტანდილს) მათი (მეფისა და თავისი) დღე გაყრილათ, მწვავე განშორების დღეთ ეჩვენებაო (დ. ქარიკაშვილის აზრით, ჩანს-ის მაგიერ უჩანს უნდა იყოს).

151. იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი;—ას სიტყვები თინათინზე უნდა იყოს ნათქვამი, და არა პეტანდილზე, როგორც ზოგიერთი კომენტატორი ფიქრობს (მაგ. დ. ქარიკაშვ.):—პეტანდილს გონებიდან არ შორდება თინათინი, ვისგან მოდებული ალიც მას სწავსო;—იგია მისი ლხინი ამ სოფლისა, მისი ფასდაუდებელი საგანი (ნივთი) და მისი ფიქრიდან განუშორებელი ტვირთიო (ვალი).

155. მე ვისგან მქონდეს პატიჟნი, აწ მახვე მოუ-
ლხენიან:—მისგანაც დღემდი მწუხარება მქირდა, აწ მანვე ლხენა წომანიკაო.

156. ნარგიზთაგან ვარდსა ზრულსა:—ნარგიზი აქ

თვალეbs ნიშნავს, ხოლო ვარდი ზრული—დამკენარ ლო-
ყებს.

161. მე ნუთუმცა შემოვბრუნდი, აღვა ჩემი არ
დაქნა ხე:—მაგებ შემოვბრუნდე, თუ ჩემი ალვის ხე (ჩემი
ტანი, სიცოცხლე) არ დაქცნაო.

163. ბული შენი მოიმდებრე:—შენი გული მოი-
ლბე, მოიჩვილეო.

164. თვალთათ:—თვალთაგან.

165. წამიტანე:—ღღევანდელ მწერლობაში სულიერ
საგანზე წაყვანა ითქმის (წამიყვანე), ხოლო იმერულ ხალ-
ხურში ხშირათ, როგორც ძველათ, წამიტანე იხმარება.

V. ტარეკლის ოქი სტაჟელებთან.

170. ორნივე მიჰხდეს მზესა:—ორნივე (ცხენი და
კაცი) მზის სინათლეს გამოეთხოვენ, მზეს გაშორდენო
(დაიხოცენო).

VI. ანდერძი ავთანდილისა როსტეკჟან ბე- ფის მიმართ, ოდეს გაიშარა.

173. საუბრისად, საქებრისად, მომდებრისად, ღვთა-
ებრისად:—ლიცენციებია,—ვნებითი ბრუნვის ფორმებია,
სიტყვას წერად-თან შეთანხმებული.

174. საბერძნეთის ფილოსოფოსი პლატონი ძრ. წინ
მე-5 საუკუნეში ცხოვრობდა. პლატონის ერთი მოძღვრე-
ბათაგანია ეთიკა (ზნეობრიობა), რომელშიც ფილოსო-
ფოსი სულისა და გონების ემოციების (მოძრაობათა) ჰარ-
მონიულ შეთანხმებას გვიმოდღერებს. შოთას მიერ მოყვა-
ნილი აზრი პლატონის ეთიკის მოძღვრებას ექვემდებარება და ეთანხმება.

175. მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობრისა:—ბანსწავლა იმისათვის უნდა გვინდოდეს, რომ ციურ ძალთ (გუნდთ) შევუერთდეთო, ე. ი. ლეთაებას მიუუახლოვდეთო.

176. ცნობანი მიაფერენ:—შენი ცნობა მათ ცნობას შეუთანხმე, მათი აზრი შეიგნეო.

177. მტერთად, მიწიერთად—ლიცენციებია, შემდგომი რითმებით გამოწვეული.—ვინ საზღვარსა დაუხაზღვრებს:—ვინაც (ე. ი. ლეთაება) ყველაფერს შესაფერ საზღვარს უნიშნავს, უდებსო.—წამის-ყოფით—ერთ წამს.

179. ძალი არ მქონდა ტყვექმნილსა მე მაგისისა თნებისა:—თინათინის სიყვარულით შეპყრობილს—მე არ შემეძლო ამ საქმის დათმობა (თნება აქ დათმობას ან უარყოფას ნიშნავს);—მაგისისა თნებისა—ნათეს. ბრუნვაა (სახელობითი იქნება—მაგისი თნება).—ხადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფაცა მქონდეს ნებისა:—ხადაც უნდა ვიყო, სულ ერთია (რა შენაღვლება), ოლონდ გულის ნება (ნატვრა) ამისრულდესო.

180. არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა:—ზეციით დადგენილი საქმე უგანგებოთ არ გარდავა. არ მოიშლებო.

181. ბაუგია—დაუდგენია (რაც ღმერთს ჩემდა თავგადასავალათ დაუდგენიაო).—მას რა ვარგო, დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად:—მას (ე. ი. თინათინს) თუ რათმე გამოვადგები, ჩემთვის ეგ საკმაო დიდება და დავლა (ქონება, განძი) იქნებაო.

183. რა უარეა მამაცსა სულდიდსა, წახვლავგიან ხა?—რაა იმის უარესი, რომ მამაკაცი საქმეში სიზარმაცეს, სიზანტეს (სულდიდობა—სულგრძელობა, მოთმენა; იჩინდეს და იგვიანებდესო.

185. სჯობს სიცოცხლესა ნაჭრახსა სიკვდილი სახელოვანი:—მს აფორიზმი, შოთას სენტენციებს შორის, მეტათ საუკრადლებოთ არის მიჩნეული; მაგრამ უნდა ითქვას, რომ აზრთა კონტრასტი, მათი დაპირისპირება აქ სწორი არ არის. ერთი მხრით აღებულია ნაძრახი (სასირცხო, დასაგმობი) სიცოცხლე, ე. ი. უკიდურესათ ცუდი მხარე აღამიანისა, ხოლო მეორე მხრით—სახელოვანი სიკვდილი, ე. ი. უმაღლესათ საქებური მხარე და ღირსება აღამიანთა ცხოვრებისა. ნაძრახ სიცოცხლეს არა თუ სახელოვანი, არამედ უსახელო სიკვდილიც კი სჯობია, თუნდ თავის დახრჩობაც. თავის მოკვლა.

188. ათავისუფლე მონები:—ამ სიტყვების გამო მკითხველ საზოგადოებაში ხშირათ შოთას იმ აზრს მიაწერენ, თითქო მას მე-12 საუკუნეში მონების გათავისუფლება ექადაგოს. აქ მხოლოდ უბრალო ჩვეულება იხატება, რომელსაც დღესაც კი მისდევენ: გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლათ რაიმე მოწყალებას, საქველო საქმეს შეასრულებენ. აქ მხოლოდ რამდენიმე მონის გათავისუფლებაზეა ლაპარაკი—მებატონის სულის მოსახსენებლათ.

190. ამ ხანის მნიშვნელობა:—ჩემს სიკვდილს შემდეგ ჩემი ამბავი ჩემგან აღარ გეცნობება; ამისთვის შემოგავედრებ ჩემს სულს, რასაც ჩემი წიგნი პირუთვნელათ (გულახდილათ) გკადრებსო; თუ ეს წიგნი (ჩემი ვედრება) ჩემს სულს არაფერს არგებს (ე. ი. თუ შენ არ მაპატიებ და ჩემს სულზე არ იზრუნებ), მაშინ სული ჩემი ეშმაკს დაეძლევა (წაწყდება), მის ბოროტ საქმეთა გავლენითო; ამიტომ ჩემი ვედრება შეისმინე და შემინდე: მკვდარს რაღა უნდა გარდამახდევინო, ე. ი. მკვდრისადმი შურისძიება არ გეკადრებაო.

191. ნაკად აქვს ჭირი სამისოდ ამ წელიწადსა

წლეულსა: — წრევანდელ წელს შერმადინს გაქირვება ზედმეტათ (ქარბათ) ექნება ასატანიო.

192. სუფევითმცა ხართ თავითა, მტერთაგან სა-
კრძალველითა! — ღმერთმა დღეგრძელობა მიანიჭოს თქვენს
თავს, მტერთაგან მოსარიდებელსო. — სუფევითმცა ხართ: —
ბძანებითი კილოს გამოსახატავათ, შედგენილი შემასმე-
ნელის სახელს ხშირათ ემატებოდა ხოლმე მ (ნახეთ წინა-
სიტყვა, 27: თმობამცა ჰქონდეს); — მ აგრეთვე მოთხრო-
ბით კილოშიც იხმარებოდა, კიდევაც-ის მნიშვნელობით
(იხ. 53-ე ხანა: ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა): — მ ამავე
მნიშვნელობით დღევანდელ მწერლობაშიც იხმარება, —
მაგალ.: „წყეულიმც იყოს დღე იგი...“ (ნ. ბარათაშვილის
„სულო ბოროტო“).

VII. წასკლა ჯუთანდილისა ყურიღონისას, მუღლაზანსაღს რომ შეეყარა.

194. ვაჟ, სოფელო: — ზოგიერთ გამოცემაში მართლ-
წერა ვაი აქვთ, ზოგში — ვა. — შინაიდან აქ ერთი მარცვა-
ლია, ან ვა უნდა. იყოს, ან ვაჟ, ხოლო უპირატესობა ვაჟ-ს
უნდა მიეცეს, როგორც უძველეს ფორმას (ა-ს შესახებ
იხ. გრამ. გვ. 24).

196. ბაგეთათ ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა
ძირითა: — ბაგეთაგან გამოკრთობილი შუქი ძოწისძირიანი
ბროლისა (ძოწისფერი ღრძილებიანი ბროლის კბილებისა)
ლაწვებს ანათებსო.

197. მარდი ჭნებოდა, ღრებოდა: — ზოგიერთ გამო-
ცემაში ღრებოდა-ს მაგიერ ღვრებოდა-ა; ღრებოდა
(ღრობა) ჭნებოდა-ს სინონიმი, ხოლო ღვრებოდა, ე. ი.

იღვრებოდა (ღვრა),—ლოყებზე ცრემლები ეღვრებოდაო.—
 აღვისა შტო (=მშვენიერი ტანი) აქ ავთანდილს აღნიშ-
 ნავს: ავთანდილი მწუხარებით ირხეოდა, თრიაოდა, გრჯო-
 ლავდაო.—**ბროლი** და **ლალი** გათლილი ლაშქარდად
 გარდიქცოდა:—ბროლის კბილები და ლალის ბაგეები
 გაღურჯებოდაო.—**პროფ.** ჩუბინაშვილის აზრით, **ბროლი**
 და **ლალი** ლოყებს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ლოყებზე
 უკვე წინ იყო ლაპარაკი (ვარდი კნებოდა).—და გამეორება
 შეცთომა იქნებოდა, რასაც შოთას ვერ მივაწვრთ.—
 ზამაგრებოდა სიკვდილსა, ამისთვის არ იმზნეოდა
 (აბულაძისა და აკაბაძის გამოცემებში არ იმზნეო-
 და-ს მაგიერ დაბეჭდილია არ უმზნეოდა,—ვითომ უმზნე-
 თთ არ იყო, მაშასადამე—მზნეთ იყოო;—მაგრამ ყველა
 ვარიანტში „არ იმზნეოდა“-ა—და, ჩვენი აზრით, კანო-
 ნიერი ფორმაა, აზრიც გასაგებია—და ასე უნდა და-
 რჩეს):—სიკვდილს ისე განაგრებოდა, ისე გაძალებოდა,
 რომ მისგან ვერ იძლეოდაო (ვიმზნევი—ვიძალევი, ვიძლე-
 ვი, ვიმორჩილები).—**ღამაგდე**, **მზეო**—და:—აქ ლიცენ-
 ციაა, და ბოლოში რითმისთვის ემატება, გამეორებაა წინა-
 სიტყვის **ღამაგდე**-ს პირველი მარცვლისა. ამგვარ ლიცენ-
 ციას შოთა ხშირათ ხმარობს ხოლმე,—მაგალ.: 1) **მვალთა**
წინა წაგვივიდა—**ლალი**, **კუშტი**, **ამაყი**—**წა** (გამეორებულია
 ზმნის წაგვივიდა-ს თავსართი წა); 2) **მთქვი**: **წავიდე** **მათ-**
კენ მე—**წა** (**წა**—**წავიდე**); 3) **ავთანდილსცა ცრემლი წა-**
ხდის წამწამთაგან ერთხაზე—**წა** (**წა**—**წასდის**); 4) **იგი მინ-**
დორს ნადირობდა, **დაეფანჩვა მარეკი**—**და** (**და**—**ზმნის**
დაეფანჩვა-ს გამეორებაა); 5) იხ. 95 ხანაში მუნდა (მუნ-და).

199. ამ ხანის შინაარსი: ზამთრის თვეში ერთი
 მზის მოშორება აღამიანს გააციებს და გაყინავსო, მე კი
 ორ მზეს მოვშორდი (ე. ი. თინათინსა და ტარიელს) და

გული ამას როგორ გაუძლებსო?... მე სიშორე მხოლოდ კლდეს არ ატკენს გულსო, მხოლოდ კლდეს ძალუძს არაფრათ მიიჩნიოს იგიო (არა შეხწონს—არათ მიაჩნია, არათ ემჩნევა).—მე გული დაქრილი მაქვსო—და კრილობას დანა ვერ განკურნავს: მას მხოლოდ გაკვეთა და გასივება შეუძლიაო.

შენიშვნა. ა) ამ ხანაში მეორე მზე რომ ტარიელს გულისხმობს, იქიდან ჩანს, რომ პეტანდილი ამ სიტყვებს მას შემდეგ ამბობს, როცა გულითად მეგობარს ტარიელს დაშორდა, ხოლო დაშორების გამო ორივე ძმათნათფიცის სულის კვეთებას მგოსანი ასე გადმოგვცემს:

„ზაიყარნეს ტირილით და პირსა ხოკით, თმათა გლეჯით; ერთი აღმა, ერთი დაღმა, უგზოდ მივლენ შამბთა იჯით; შირემ უჩნდათ ერთმანერთი, იძახდიან პირსა ბლნე-ჯით...“

იგი ნახოს დაღრეჯილი, მზე დაიღრეჯს მისის ღრე-ჯით“.—

ბ) ღანის შესახებ მგოსნის აზრი დღევანდელ დოსტაქრობას არ ეთანხმება: წყლულის განკურნებისათვის დანას დიდი მნიშვნელობა აქვს.—მს ადგილი შესაძლოა ასეც გავიგოთ: წყლულს დანა ისე ვერ განკურნავს, თუ არ გაჰკვეთა და არ გაასივავ, —და ამ შემთხვევაში აზრი სწორი იქნება.

204. შინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ბაგითა:—მისაც მარგალიტის კბილები ძოწის ბაგეებით აქვს მოცული, დაშვენებულიო.

206. ამ ხანაში რითმათ ორჯერ ერთი და იგივე სიტყვა ვმჟღღები არის ნახმარი, რაც შოთას შემოქმე-

დებას არ შეეფერება. იუსტ. აბულაძის გამოცემაში მეორეთ ვმკლდები-ს მაგიერ ვწვლდები-ა, მაგრამ ეს გამოთქმა სელნაწერებით არ მართლდება—და ჩვენ ისევ ვმკლდები-ს ესტოვებთ.

208. შინაარსი:—თავის გულს ეუბნება: ცრემლი არ გაგშრობია, უხვათ გდის, მაგრამ თავის მოკვლა არას გარგებს, რადგან ამგვარი საქმე მხოლოდ ეშმაკის რჩევა იქნება, რომელიც შენ თურმე გძმობია.—მეც ვიცი, რომ შენ გტანჯავს სიშორე ჩემი გამშმაგებელისა, რომელსაც თმა ყოვნის ბოლოფრთას მიუგავს; მაგრამ გასალკლდედი: ვაჟკაცმა გაქივრება უნდა აიტანო, თვარა ლხინი ყველასათვის აღვილი ასატანიაო.

209. შინაარსი:—მიჯობს-ცოცხალი დავრჩეო (თავი არ მოვიკლაო),—ეუბნება იგი თავის სათუოსი ცოცხლეს;—ვინ იცის, ეგებ ბედმა მარგუნოს ჩემი მზის (თინათინის) ნახვა,—ამიტომ სჯობია მარადის უის ძახილს თავი დავანებოო;—ტკბილ ხმას მიიმღეროდა და თან ცრემლთა რუხსაც არა სწყვეტდა, და მის საუცხოო ხმასთან თვით ბუღბუღლის ხმაც კი ბუს ხმათ მოგეჩვენებოდათო.

VIII. წიგნი ნესტან-დარეჯანისა საუვა- რელსა წინაშე მიწერილი.

211. მისმანვე ცრემლმან დაუვსის, ვის ედებოდა ვის აღი:—იმდენი ცრემლი სდიოდა, რომ იმით აქრობდა აღს, რომელიც მის გულს მოღებული ქონდაო.—მარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამოშჳვირვალი:—(შესათვლელი სიტყვების გამოსათქმელათ) მარდის მზგავს ბაგეს რომ აღებდა, გამჳვირვალი ბროლი (კბილები) ჩნდებოდაო.

212. ტანი კალმად მაქვს, კალამი—ნაღველთა ამონაწები:—ამ წიგნს (წერილს) ჩემი სისხლითა და ხორცით, მთელი ჩემი არსებით (ტანით) გწერ და კალამს (ტანს) ნაღველში ვაწებო (ნაღველით სავსე გულით გწერო).—მე გული შენი ქალაქად გულისავე ჩემსა ვაწები:—შენი გული ჩემს გულთან არის ქალაქდამ გადაწეული და ჩემი მონაწერი (ჩემი გულის ძეგრა) ამ სახით შენს გულს შეეწებება, შეერთვისო.—აჟ ები:—აჟ დაბმული იყავო.

215. ჩემი ყველა აქანამდის ქირი ღზინა შევაწონე:—(შენი ცოცხლობა რომ გავიგე) გავლილი ქირი ყველა ღზინათ დავსახეო.

217. აჟ კვლავ ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერებინა:—წუთისოფელმა ის ჩაიდინა, რაც მისი შესაფერიაო (იგულისხმება—სიმუხთლეო).—ხაწუთროს (წუთისოფლის, ცხოვრების) სიმუხთლე შოთას ხშირათ აქვს თავის პოემაში მოხსენებული;—მაგალითად: „შემოვ მუხთალსა საწუთროსა, ზოგჯერ უხვსა, ზოგჯერ ძვირსა“ (აბულ., გვერდი 114); 2) „შაჟ, საწუთროო, სიცრუეით თავი სატანას ადარე:—შენი ვერავინ ვერა სცნას, შენი სიმუხთლე სად არე“ (იქვე, გვ. 146), და სხვ.

219. ნობათსა არ დასცდებიან:—მორიგობით განუწყვეტლივ დარაჯობენო.

221. მოცავიდენ:—ნახეთ 96-ე ხანის განმარტება (გაცასწყრა).—სული ჩემი შეივედრენ, ზეცით მომხვდენ წუთუ ფრთენი:—სული ჩემი უფალს შეავედრე, რომ ანგელოზის ფრთებით ზეცაში ააფრინოსო.

223. ბალანამცა მას იახლე, მისი ეტლი, არ თუ წბილი:—მზეს შენ დიახაც ისე იახლები, როგორც მისი მონაწილე (წილხდომილი, ხვედრი), არა თუ მისგან უარყოფილიო.—პროფ. მარი ფიქრობს, რომ ნესტან-დარეჯა-

მის ამგვარი რწმენა მზესთან შეერთებისა შედეგია ნეო-პლატონური მოძღვრებისა, და მოჰყავს ადგილი მკვლევარის ზრანც კუმონტის თხზულებიდან („La théologie solaire du paganisme romain“—მზის თეოლოგია რომაული პაგანიზმისა*), სადაც განმარტებულია ვარსკვლავთ-ბრიცხველთა შეხედულება ადამიანის სულზე. ისტროლოგ-თა აზრით, ადამიანში ორგვარი ბუნებაა—მთვარული და მზიური; მთვარული ბუნება—სხეულის მასაზღოვებელია, ხოლო მზიური—გონებისა. ამ მოძღვრების მიხედვით, წუთისოფლათ გასაჩენი ადამიანი მზის ცხოველმყოფელი დისკოსგან ღებულობს ხოლმე მაცოცხლებელ სხივებს, ხოლო, სიკვდილს შემდეგ, მზის სხივები კვალად მზეს უერთ-დება.

IX. სათბიძრი ფრიდონისა, ავთანდილისა და ქარიელისა, ქაჯეთის ციხეს რომ მოადგეს.

232. მოყვასნი ვერ გიჩივიან:—მოყვასნი (ვინაც კი გიცნობს) შენზე საჩივარს ვერ გააცხადებენო (სისუსტეს ვერ დაგწამებენო).—მტერთა ივავლახ-ივიან:—(შენი თათ-ბირნი) მტრებს ეავლახ-ვაის (დიდ მწუხარებას) მიაყენებენო.

237. პაციმცა მაშინ თქვენ გახლავს, რა ომმან ქმნას გაქირობა:—როცა ომი გაძნელდება, თქვენი ვაჟეაცობა თქვენთან იქნება მძლავრელათო.

240. ღორმა „მივსცეთ“ ეტიმოლოგიურათ აქ უაზრო-ბას ბადავს,—უნდა იყოს: მან ერთმან. შიგნით შიგანი (ე. ი. შიგნით მყოფნი) მისცეს სისხლისა ღვარებას; ხოლო ლოლიკურათ ეს გამოთქმა სწორათ უნდა ჩაი-

*) პაგანიზმი—წარმართობა, კერძოთაყვანისმცემლობა.

თვალს იმ აზრით, რომ სამივე გმირი ერთსულოვნათ მოქმედობს, სადაც ერთია—იქ სამივე იგულისხმება, ისინი ერთარსებას წარმოადგენენ.

X. ქაჯეთის ციხის აღება.

245. ამ ხანაში გამოხატული პოეტური შედარება შესაძლოა ორნაირათ გავიგოთ. შედარების პირდაპირი აზრი ასეთია: ჩასაც ქვემოთ ვამბობ (ე. ი. შედარება), გამომხატველია მათი (ე. ი. ტარიელის, ავთანდილისა და შრიდონის) სახისა, მათი ვითარებისაო;—როცა წვიმისაგან მთაში ნიაღვარი ატყდება, ზათქითა და ზარით (ე.ი. საშინელი ხმაურობით) კლდეღრეებზე მოქუხს და ხევს წალეკავსო; ხოლო, როცა ზღვას შეერთვის, მისი ხმა აღარ ისმის, ზღვის ხმაურობაში იკარგებაო.— აქ შესაძლოა მთის ღვარი და მისი ზათქი და ზარი ავთანდილისა და შრიდონის გმირობის აღმნიშვნელი იყოს, ხოლო ზღვა—ტარიელისა.—შემდგომ ტაეპში (246) ეს შედარება უფრო ცხადათ არის გამოთქმული: მზე (იგულისხმება ტარიელი) მნათობთაცა (იგულისხმებიან ავთანდილი და შრიდონი) დაჰფარავსო.—აღნიშნულ ხანაში გამოთქმული შედარება შესაძლოა ასეც გავიგოთ: ნესტანის მაძიებელი გმირნი, მთის ნიაღვრის მზგავსათ, კლდეღრეს ეხეთქებოდენ; ხოლო, რაკი თავი მის ახლოს იგრძნეს, მათი აშფოთებული სული და გული დაწყნარდაო.

246. სიკეთემიუწთომნია:—ბანუზომელი სიკეთით არიან დაჯილდოებულნიო.—ტარია შემბმელი არვისგან მოხანდომნია:—მებრძოლი ტარიელი მოწინააღმდეგეთაგან სასურველი არ არისო (იგულისხმება: ვინაიდან მისგან სიკვდილი არ აცილდებაო).

250. მათვე რისხვით გადუბრუნდა ბორბალი და სიმრგვლე ცისა:—ძაჯებს ბედმა უმტყუნათ, ცის რისხვა თავს დაატყდათო.

XI. სენტენციები.

სენტენცია არის ნააზრევო, ნაგრძნობ-ნათქვამი, ზოგადი აზრის გამომხატველი გამოთქმა, რომელიც ანდაზის მზგავსათ იხმარება. „მეტეხისტყაოსანში“ მრავალია ამისთანა აზრი, მაგრამ აქ მხოლოდ განსაკუთრებით საყურადღებო სენტენციებია მოყვანილი—და შინაარსის მიხედვით არიან დაწყობილი, და არა პოემის თავებისა.—ზოგიერთი სენტენცია ნახეთ პოემის ტექსტში, რომელიც ამ წიგნშია გადმობეჭდილი (შავი შრიფტითაა ამოწყობილი).

მოსწავლეს უნდა მოეთხოვოს—იცოდეს, თუ სად და რა შემთხვევაშია ნათქვამი ესა თუ ის გასარჩევი სენტენცია.—სენტენციების ბოლოს ფრჩხილებში ჩასმული ციფრი მაჩვენებელია—აბუღადის გამოცემით—იმ გვერდისა, რომელზედაც ეგ სენტენცია პოემაში მოხსენებულია.

1. ა) აცხა მიხვდეს საწადელი, რას ეძებდეს—
უნდა პოვნა,—

მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულა კირთა
ხსოვნა (26).

ბ) რა კაცსა ხოფელმან მისცეს წადილი გულისა,
ხსოვნა არა ხამს კირისა, ვით დლისა გარდასრუ-
ლისა (82).

მოიგონეთ ღავით ზურამიშვილის ლექსი:

„ღედამ რა შევას ძე, პირთველთა კირთ აღარ მოი-
ხსენებსა:

ძის სიხარულით დაჰკარგავს ილაოს მზგავსსა სე-
ნებსა“.

2. ა) საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს;—
ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს,
არსიწყუნარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს! (26).
ბ) გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს,—
რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, საწუთროსა დაუ-
წყუნარდეს (44).

3. ღმერთმან ერთი რად აღხოვნოს, თუ მეორე არ
წაწყმიდოს?! (36).

4. მიმდომნი საწუთროსანი მიხთა ნივთთაგან რჩე-
ბიან;—
იშვებენ, მაგრამ უმეტესოდ ბოლოდ ვერ მოუ-
რჩებიან.—

ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებიან (41).
(მიმდომნი საწუთროსანი—ე. ი. საწუთროს, ცხოვ-
რების სიტკბოების მიმდევარი, შვება-ლსენის ამყოლნი).

5. ძარგი საქმე კაცსა ზედა აწომ თურმე არ წა-
ხდების (51).

(შეადარეთ ხალხურ ანდაზებს: ა) ძარგი ქენი—ქვას
დადევი, გაიარე--წინ დაგხვდება;—ბ) რასაც დათესავ,
მასვე მოიმკი).

6. ბრძენი—ვინ ბრძენი, რა ბრძენი?! ხელი ვითა
იქმს ბრძნობასა?!

მარდი ვერ არის უმწეოდ: იყოს—დაიწყებს კნო-
ბასა (106).

7. ა) ჰმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელ-
სა ნელლად (64).

ბ) რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შე-
არჩინა? (92).

8. უხვად გავსცემდეთ, გავსებდეთ,—სიძუნწე უმეც-
რულია (65).

(ნახეთ აგრეთვე ტექსტში 54-ე და 55-ე ხანები).

9. რა აქიმი დასწეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
 მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯისაცა შექცუ-
 ბარი;
 მან უამბოს, რაცა სკირდეს სენი, ცეცხლთა მო-
 მღებარი.—
 სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი (78)
10. ა) ამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჰირსა არ
 დამრიდად,
 ბული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და
 ხილად (85).
 ბ) ჰხამს სიყვარული მოყვრისა უზვისა, უშურვე-
 ლისა (87).
 გ) მდებს კაცსა დაეპიროს, მაშინ უნდა ძმა და
 თვისი (91).
 დ) სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:
 პირველ ნდომა სიანლისა, სიშორისა ვერმოთმენა,
 მიცემა და არას შური, ჩუქებისა არმოწყენა,
 ბავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა
 რბენა (92).
 ე) მოყვარე, მტერი ყოვლისა, მტრისაგან უფრო
 მტერია (146).
 ვ) ღია მძულს მეტი მოყვრისა შიში, კრძალვა და
 რიღობა,
 მძულს გაუწყვეტლად კუშტობა და სულმძიმობა,
 დიდობა...
 თუ მოყვარეა გულისა, ქმნას ჩემკენ მონაზიდობა,
 თვარე მე ჩემდა, იგ მისდა,—ღია სჯობს კიდის-
 კიდობა (180).
11. საწუთრო კაცსა ყოველსა, ვითა ტაროსი, უბდების:
 ზოგჯერ მზეა—და ოდესმე ცა რისხვით მოუქუბ-
 დების (83)

12. ბული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,
 ბული ჟამ-ჟამად ყოველთა ჰირთა მთმო, ლხინთა
 მდომელი,
 ბული ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას გერ-გა-
 მზომელი...
 ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა მეფეა რთ-
 მელი (85).

(„ურჩი ხედვისა“ — ურჩი გონებრივი მხედველობისა, გონებისა). —

შეადარეთ ნ. ბარათაშვილის აზრს ადამიანის გუ-
 ლის გაუმაძღრობის შესახებ („ზიქრი მტკრის პირად“, —
 ორგვარი მეფის დახასიათება).

13. ბული, ცნობა და გონება ერთმანერთზედან ჰკიდიან:
 რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან;
 უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდი-
 ან (101).

ბონებისა და ზნეობის ემოციების (მოძრაობათა)
 ჰარმონიულ შეთანხმებაზეა აქ ლაპარაკი (ეს აზრი ფილო-
 სოფოსის პლატონის „მითიკის“ მოძღვრებას ეთანხმება).

14. ა) ხამს-მამაცი გაგულოვნდეს, ჰირსა შიგან არ
 დაღონდეს (93).

ბ) ხამს მამაცი მამაცური, სჯობს-რაზომცა ნე-
 ლად ტირსა; —

ჰირსა შიგან გამაგრება ასე უნდა, ვით ქვიტკირ-
 სა (105).

15. თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსე-
 ნები (98).

შეადარეთ ლათინურ სენტენციას: Omnia mea mecum
 porto — შევლადფერი ჩემი თან დამაქვსო (გონებრივი და
 ზნეობრივი სიმდიდრე იგულისხმება).

16. თუ ლხინი გვინდა ღვთისაგან, ჭირნიცა შევიწყნა-
როთა (86).
17. ხამს სტუმარი სახურველი, მახპინძელი მხიარუ-
ლი (86).
18. ა) რაძცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტე-
ხელსა? (87).
- ბ) შოვლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა გმობს
და აგრე ცრუობს (92).
- გ) იხ. აგრეთვე ტექსტში 166-ე ხანა.
19. ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმი-
თაც დაშავდების (89).
20. შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან
ქმნილი! (90).
21. მტერი მტერსა ვერას ავნებს, როჲე კაცი თავსა
ივნებს (90).
22. ა) სჯობს უყოღლობა კაცისა მომღურავისა ყოლა-
სა (91).
- ბ) ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია (102).
23. სხვა სხვისა ომსა ბრძენია (101).
შეადარეთ ხალხურ ანდაზას;
„სხვათა ჭირიო—ლობეს ჩხირიო“).
24. მიკვირს ნაღველი კაცისა ჭკუიანისა:
რა მკმუნვარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა
ბანისა?!
- სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასაგვანისა (103)
(შეადარეთ 112-ე ხანაში გამოთქმულ აზრს: „კაცმან
საქმე მოიგვაროს, ვეჲვ-ჭმუნვათა ესე სჯობდეს“).
25. არ იცი—გარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან? (106).
26. მარდსა ჰკითხეს: „მგზომ ტურფა რამან შეგქმნა
ტანად, პირად?
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი, პოვნა შენი რად არს
პირად?“

- მან თქვა: „ტკბილსა მწარით შპოვებ, სჯობს იქ-
ნების რაცა ძვირად:—
მოდეს ტურფა გაიფოდეს, აღარა ღირს არცა ჩი-
რად“ (105).
27. ბველსა ხვრელით აღმოიყვანს ენა, ტკბილად მოუ-
ბარი (108).
28. არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა
თქმულსა:—
არ ისმარებ, რას ხელსა მხდი საუნჯესა დაფა-
რულსა? (108).
29. ზონიერსა მწრთველი უყვარს, უგუნურსა გულსა
ჭგშირდეს (108).
30. სწყუროდეს, წყალსა გინ დაღვრის კაცი უშმაგო,
ცნობილი?! (110).
31. მას მკურნალმან როგორ ჰკურნოს, თუ არ უთხრას,
რაცა სჭირდეს? (130).
32. ა) ძოკასა შიგან რაცა ხდვას, იგივე წარმოსდინ-
დების (131).
- ბ). მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს,—ესე ბრძენ-
თაგან თქმულია (159).
33. ბედი უბედო ჩემზედა მიწყევ ავისა მქმნელია:—
ძარგი რამ მჭირდეს—გიკვირდეს, ავი რა საკვირ-
ველია?!
სხვადასხვა ჰირი ჩემზედა არ ახალია, ძველია! (142).
34. სიკვდილამლის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნი-
ერსა?
რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა (143).
35. ზამთარი ვარდთა გაახშობს, ფურცელნი ჩამო-
სცვივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე დასწვავს, გვალვასა ჩი-
ვიან,—

მაგრა მას ზედან ბულბულნი ტურუასა ხმასა ჰყ-
ვიან...

სიცხე სწავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორ-
ჯერვე ხტკივიან.

აგრევე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია;
ჭირსა და ლხინსა—ორსავე ზედან, მართ ვითა
ხელია;

შიწყივ წყლულდების, საწყუთრო მისი აროდეს
მრთელია.—

იგი მიენდოს სოღელსა, ვინცა თავისა მტერია (162).

36. მზე მოგვეახლა. უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია:—
ბოროტსა სძლია კეთილმან,—არსება მისი გრძე-
ლია (164).

37. ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია (168).

XII. ომონიმ-რითმიანები.

ძველი დროის ქართველ მეოსნებს ძლიერ უყვარ-
დათ ხოლმე ლექსების ომონიმებით თხზვა, ე. ი. რითმე-
ბათ იმგვარი სიტყვების ხმარება, რომელთაც გამოთქმა
ერთნაირი აქვთ, ხოლო მნიშვნელობა—სხვადასხვა. ამგვა-
რი ლექსები ჩვენს დროშიც ხშირია (მოიგონეთ, მაგალ.,
აკაკის „აღმართ-აღმართ“). ომონიმ-რითმიან შაირებს
პოეზიაში საამური მუსიკალობა და ჰარმონია შეაქვს, თუ,
რასაკვირველია, ისე ქარბათ არ არიან ისინი ნახმარი,
როგორც, მაგალ., შავთელის „აბდულ-მესია“-ში, ჩახრუ-
ხაძის „თამარიან“-ში და ალ. ჭავჭავაძის ლექსებში. შოთა
ამგვარ შაირებს ზომიერათაც ხმარობს და ლამაზათაც
აწყობს.

შვემით მოყვანილი და განმარტებულია რამდენიმე ომონიმრითმიანი შაირი, განსაკუთრებით საყურადღებო და ძნელათ გასაგები (შვერდები აბულაძის გამოცემითაა ნაჩვენები).

1. იგი ველი გაირბინა, ლაშქართაგან გაეკიდა.

ვინმცა ნახა სულიერმან, ანუ ვინმცა გაეკიდა?!

ვის მახვილი ვერას აენებს, მისი მკლავი გაეკიდა;—

მისგან ტვირთი კაეშნისა ტვირთად ვარგად გაეკიდა.

(გვ. 21).

განმარტება. ა) ლაშქარს კიდეში მოექცა, მოშორდა;—ბ) ისე გადიკარგა, რომ იგი ვერავინ დაინახა და ვერვინ გაეკიდა;—გ) მახვილი ვერათერს აენებს, ვიდრე მკლავი თან ახლავს;—დ) მიჯნურისგან კაეშნის ტვირთი მძიმე ტვირთად დააწვა.

2. ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა, დანასა;

მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიმართის დანასა;

ოქვის: „ჭირი ჩემი სოფელმან ოთხმოცდაათი
დ-ან ასა;—

მოვშორდი ლხინსა ყველასა—ჩანგსა, ბარბითსა და
ნასა“... (22).

განმარტება. ა) ახალი ფიფქი—ახლათ გამჟღავნებული სიყვარული თინათინისა; ვარდი—პეტანდილის ვარდისფერი ლოყები; დანასა (ნასი)—გააცუდა, დააუშნოვა, დააჰკნო, გააფერმკრთალა;—ბ) პეტანდილი ისე იტანჯებოდა, რომ ზოგჯერ გულში დანის ჩაცემა მოუნდებოდაო;—გ) იტყოდა ხოლმე: წუთისოფელმა ჩემი ჭირი ოთხმოცდაათად და ან ასათ გამიხადაო; დ) და ნასა:—იხ. ნა.

3. ჯაცმან ვით პოვოს, ლვთისაგან რაც არა დანაბადია?!

მით გული ჩემი სახმილმან აწ ასრე დანაბა დია;

ქელავ გზასა მიკრავს, მიჰირავს, მითქს ბადე დანა-
ბადია;—

აწ ხელთა, ნაცვლად ლხინისა, ჩალა მაქვს და ნაბა-
დია (36).

ზანწარტება. ა) რაც ღვთისაგან არ დაბადებულა, რაც არ არსებობსო;—ბ) ხახმილმა დიახ დანაბა (შეაშინა, შეაკროო);—გ) მითქს (მიღვას) მახეთ დაგებული ბადეო (დანაბადი აქ „ბადე“-საგან ნაწარმოები ფორმია, მახის ან ქსელის მნიშვნელობით);—დ) ლხინის ნაცვლათ—ქვეშ საგებათ ჩალა მაქვს და სახურავათ—ნაბადიო.

4. ღმერთმან თუ-მცა ენა ჩემი ქებად შენდა უშენოსა, შენთვის მკვდარი—ალარ ვიტყვი, მაშა მომკლავ უშენოსა;

მზემან ლომსა ვარდ-გიშერი ბაღჩას ბაღად უშენოსა;—
შენმან მზემან, თავი ჩემი არვის მართებს უშენოსა! (58).

ზანწარტება. თუ რომ ღმერთმა ჩემი ენა შენდა საქებ-
რათ შენათ გადააქცია, შენ გაკუთენა (უშენოსა აქ „შე-
ნი“-საგან არის ნაწარმოები),—შენთვის რო მოგკვდე, არ
ვიტყვი, რათა მკლავ ნორჩს-მეთქი (უშენოსა აქ უშენე-
ბელს, დაუსრულებელს, ნორჩს ან ახალგაზდას ნიშნავს);—
მზეს (ე. ი. ნესტანს) შეფერის, რომ ლომს (ე. ი. ტარიელს)
ვარდ-გიშერა (=ვარდის ლაწვები და გიშრის თვალეები)
ბაღათ-ბაღჩათ მოუშენოსო;—შენს მზეს ვფიცავ, შენს გარ-
და არავინ არის ღირსი ჩემი თავი ეკუთნოდესო.

5. თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ
იღენო;

ამას იქით ნულარა სტირ, ჰირსა თავი არიღენო;
შენნი მჰკრეტნი შენთა მჰკრეტთა აგინებენ, არიდე-
ნო;—

რომე წელან მოგეხვიენეს, იგი ჩემთვის არიღენო (58).

განმარტება. ა) ცრემლებს ცუდათ არ იღენო;—
ბ) ჭირს თავი მოარიდო;—გ) შენთ მკვრეთელთ შეშუროთ,
რომ სხვები შენ გიკვრეტენ—და ამიტომ შენგან მათ არიდე-
ბენო,—ე. ი. შენ ისე მშვენიერი ხარ, რომ შენს მკვრეტელს
შენი დასაკუთრება სწადია და შურიტ სხვას არ გაკარებ-
სო;—დ) წელან რო მოხვეული რიდე გქონდა, იგი მე
მიძღვენო (ჩემ რიდეთ გახადეო).

6. ზამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: „შენ ასეთი ხენი ვით ხენ!“
მერმე მითხრა: „მოგახსენებ, აწ სიტყუანი რომე მკით-
ხენ;—

იგი მტერნი გამილომდეს, აქაჲდისი რომე ვითხენ;—
უკაზმავსა მილაღატეს, საჭურჯელნი გარ ვერ ვით-
ხენ“ (71).

განმარტება. ა) შენ ასეთი მშვენიერი ხე როგორ
აღმოაცენო;—ბ) ღღემდი რომ თხებათ მიმაჩნდენო;—
გ) ზარეთ ვერ შემოვირტყიო (ნახეთ თხმა);—გამიცადა—
გამშინჯა, გამომცდელი თვალით ამწონა.

7. ზაჲ თუ გავიქრე, გაჭრილსა სადა გლახ დამწვავს
სამ ალი!

ბული ძეს საგნად ისრისა, მესვრის საკრავად სამალი;
ღრო სიცოცხლისა ჩემისა ღლისით—ლა ჩანს ნასამალი;
შარვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამა-
ლი (84).

განმარტება. ა) სამ ალი—სადმე ალი;—ბ) სამალი—
სწრაფი;—გ) ნასამალი—მესამედი;—დ) სამალი—დასამა-
ლავი.

8. რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალსა თანა
აზიოს,
ანუ ბაღს ალვა საროსა ახლოს ჰრგოს, მორწყოს, აზიოს,

მისა მკვრეტელსა აღხინოს, ვერ-მკვრეტსა ავა-
გლახიოს!..

ვაი, მოყვრისა გაყრილსა—აზიოს, ეყოს—აზიოს!..(84).

ბანმარტება. ა) იმას რალა სჯობია, რომ კაცმა მშვე-
ნიერ ტუჩ-კბილს (გინა ბროლ-ლალის მზგავს ლოყებს) თვა-
ლი არ მოაშოროსო; გიშერი—შავი თვალებია; ბროლ-
ლალი—ტუჩ-კბილი ან ლოყები; აზიოს (ხება, შეხება)—
შეეხოს, დაუახლოოსო;—ბ) სიყვარულის ბაღში თავისი
აღვის ტანი სატრფოს საროს ტანის ახლოს დარგოს,
რწყოს და გაახაროსო; აზიოს აქ ახეოხ-ს ნიშნავს, ე. ი. ხეთ
გაზარდოს, გააცოცხლოს, გაახაროს;—გ) მის მკვრეტელს
ლხენა მიანიჭოს, ვერ-მკვრეტელს კი—მწუხარებაო;—
დ) როცა მოყვარეს მოშორებულია—შეძრწუნდეს, ხოლო
როცა დაუახლოვდება—გაიხაროსო (პირველი აზიოს აქ
ნიშნავს ახ იძახოხ, მეორე აზიოს—„ახ იოს“, ე. ი. „ახ,
იათ იქცეს“, გაილიმოს, გასურნელოვანდეს, დატკბესო).

9. მინ გუშინ ედემს ნაზარდი აღვა მრწყო, დამრგო,მახია,
ღლეს საწუთრომან ლახვარსა მიმცა, დანასა მახია,
ღლეს გული ცეცხლსა უშრეტსა დაბმით დამიბა,მახია...
აწლა ვსცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია! (85).

ბანმარტება. ა) მახია—ხეთ მაქცია, გამზარდა;—

ბ) დანასა მახია—დანას დამახია;—გ) მახია—ახი მაძახა,
შემაძრწუნაო,

10. ინადირეს, შემოიქცეს მხიარულნი, მინდორს რულნი;
შეიტანეს დიდებულნი თავადნი და სპანი სრულნი;
დაჯდა,—დახედეს მოკაზმულნი საჯდომნი და სრანი
სრულნი;—

ხმას სცემს ჩანგი ზალანასა, მომღერალნი იყენეს
სრულნი (85).

ბანმარტება. ა) რულნი—რებულნი, ნასიარულენი,

ნაპყოუნნი;—ბ) სპანი სრულნი—მრავალრიცხოვანი ლაშქარნი;—გ) სრანი სრულნი—სამეფო დარბაზნი (სრულნი აქ სრავ-საგან არის ნაწარმოები);—დ) მომღერალნი უნაკლულონი იყვნენ (სრულნი აქ ღირსებით სრულს, უნაკლულოს აღნიშნავს).

11. მისი ნახვა გულსა ჩემსა ვითა ბადე დაებადა, მუნვე დარჩა დათმობაცა, მასთანავე დაება-და; რადგან დასწევას მოახლეითა, ღმერთსა მზედცა დაე-ბადა;—
მერმე ასმათ ჩემთვის დისა მართ დად უურო და ებადა (87).

განმარტება. ა) დაებადა—ბადეთ იქცა, ე. ი. მისი ნახვის სურვილი ჩემს გულს ბადესავით შემოეხვიაო;—ბ) მისი უნახობა დროებით დავთმე და ნახვის სურვილი იქვე (ტარიელთან) დარჩა, მის გულთან დაებაო (დაება-და: და აქ რითმისთვისაა მიმართებული,—ნახეთ წინ 95 და 197 ხანები და მათი განმარტება);—გ) რადგან (ტარიელი თავისი სსივებით) ახლოს მყოფთ სწევას, ღმერთს იგი ალბათ მზეთ დაუბადებიაო;—დ) ამას გარდა ასმათიც ჩემთვის საკუთარი დის უკეთეს დათ არის დაბადებულიო (და-ებადა—დათ გაჩნდაო).

12. ღილა გათენდა, შესხდეს და მას ქალსა გაესალამნეს; ტარიელ, ასმათ, პეტანდილ თვალთაგან ცრემლნი ალამნეს; სამთავე ლაწვთა ალამნი არღენის ფერად ალამნეს; ჰათ ლომთა, მიწყივ მხეცქმნილთა, თაენი მხეცთანა ალამნეს (113).

განმარტება. ა) ცრემლნი ალამნეს (ლამი)—ცრემლნი ღვარეს;—ბ) ლაწვნი (ლოყები) სისხლის-ფერათ შეღებეს;—გ) მხეცებთან ყოფნა მოიწადინეს (ლამობა, ლამეა—სურვა, წადილი).

13. რად სიცხე გულსა ნიადაგ მწვეავს გმირთა სამსალებისა?
რად გული კლდისა ტინისა შემქმნია სამ სალებისა?
არ შეუძლია ლახვარსა დაჩენა სამსა ლებისა...

შენ ხარ მიზეზი სოფლისა ასრე გასამსალებისა (123).

ბანშარტება. ა) გმირთა საწამლავის სიცხე ნიადაგ
გულს რათ მწვეავსო;—ბ) რატომ შემქმნია გული ტინი—
სალი კლდის მზგავსიო (სამ—შემოკლებ. სადმე);—გ) (ბუ-
ლი ისე გაკაედა, რომ) სამ ლახვარსაც არ ძალუძს ტკი-
ვილის დაჩენაო;—დ) შენა ხარ (თინათინ) მიზეზი ჩემთვის
საწუთროს მოშხამვისაო (ე. ი. შენი მოშორება სიცოცხლეს
მიწამლავსო).

14. შაჲ, საწუთროო, სიცრუვით თაღი სატანას აღარე;—
შენი ვერავინ ვერა სცნას, შენი სიმუხთლე სად არე,--
პირი, მზისაებრ საჩინო, სად უჩინო ჰყავ, სად არე...
მით ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოხრად ჩანს ყოვ-
ლი, სადა-რე (146).

ბანშარტება. ა) სად არე—ლიცენციია რითმისათვის
(სად არი (ს)—ის მაგიერ);—ბ) სად არე—ე. ი. სად არო-
ნიეო;—გ) ჰოვლი სად ა-რე, ე. ი. ყველაფერი, სადაც
რამე არისო;—რე აქ სამატი ნაწილაკია, რომელიც სი-
ტყვას ბოლოში ემატება, აზრის გასაძლიერებლათ;—„ვეფ-
ხისტყაოსანში“ ეს ნაწილაკი ხშირათ არის ნახმარი,—
მაგალ. ნახეთ 163-ე ხანა (მხნედ-რე, ზედაზედ-რე), ან
კიდევ: ა) „ბულმან გაყრისა სიძნელე კელავ უფრო დამი-
ტია-რე“ (აბულაძის გამოცემა, გვ. 47), ბ) „ბლარმიყივლა
ლიმილით, არცალა გამიცინა-რე“ (იქვე, გვ. 67), და მრ. სხვ.

15. მოეხვია, გარდაჰკოცნა მან პირისა არე-მარე:

„ღამივსეო ცეცხლი ცხელი, მაგრა წყალი არემარე...

ვინ გიშერი დააჯოგა და წამწმისა არემა-რე,

ბეალე, შეგყრი, ლომო, მზესა, თაღი მისკენ არე-მარე!“

(185).

განმარტება. ა) პირისა არე-მარე—პირის მიდამო:—
 ბ) წყალი არე-მარე;—აქ არემარე, ჩვენი აზრით, ზმნის
 ფორმაა ნამყო დროისა, იმავე რთული სახელის „არე-მა-
 რე“-საგან გაკეთებული სახელზმნის „არემარება, გაარე-
 მარება“-საგან ნაწარმოები;—პირველ ტაეპში არე-მარე
 სახელი არსებითია (=მიდამო), ხოლო მეორე ტაეპში—
 ზმნა. მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, ასეთია: ცხელი ცეცხ-
 ლი ახლა დამივსე, მშვიდობით რომ დაბრუნდი და ცოც-
 ხალი გიხილეო, მაგრამ ცეცხლის დასაესები წყალი დიდ-
 ხანს გარეთ არონიე, ახლოს არ მომაკარეო (გააარემარეო).—
 ლავ. ძარიკაშვილი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში არემარე-ს
 მართლწერა უნდა იყოს არ ემარე, ხოლო ემარე-ს რუსთ-
 ველი ემაღე-ს მაგიერ ხმარობსო, და აზრი ის არის,
 რომ ცეცხლის დასაშრეტი წყალი მალე არ მომაწოდეო
 (წყალი არ ემაღე).—ამგვარი განმარტება ჩვენ შეუფე-
 რებლათ მიგვაჩნია, ვინაიდან ეს გამოთქმა გრამატიკულა-
 თაც უკანონოთ არის დაწყობილი და ამასთანავე ძნელი
 დასაჯერებელიცაა იმგვარი ლიცენცია, როგორიც არის
 ემარე, „ემაღე“-ს მაგიერ;—გ) მესამისა და მეოთხე ტაე-
 პების მნიშვნელობა ასეთია: წამო (გვალე), ლომო, შე-
 გური მზეს (ე. ი. თინათინს), რომელსაც გიშრის მზგავსი
 ნაწნავები ტანზე მრავლათ აყრიან (გიშერი დააჯოგა)
 და ვისაც ხშირი წამწამები (წამწამთა ჯოგი, სიმრავლე)
 აშვენებსო;—მესამე ტაეპის არემარე, ჩვენი აზრით, რემა-
 საგან არის ნაწარმოები, რაიც აქ აგრეთვე ჯოგს აღნიშ-
 ნავს (წამწმისა ა რემა-რე,—სადაც რე ბოლოსამატი ნა-
 წილაკია:—იხ. წინა ხანაში რე-ს განმარტება);—მეოთხე
 ტაეპში „თავი მისკენ არემარე“ ნიშნავს—თავი მისკენ
 არონიეო, მისკენ გაეშურეო.

16. იხ. გვ. 123: ახად აგეს და სხვ.

საზოგადო დასკვნა.

მკვლევართა უმრავლესობის საკმაოდ დასაბუთებული აზრით, — „მეფხისტყაოსანი“ წმინდა ქართული პოეზიის შემოქმედების ნაყოფია — იმდენათ, რამდენათაც, მაკალ., ჰამლეტი — ინგლისურისა, — ე. ი. ეს დიდებული პოემა ქართველ მგოსანს შეუთხზავს, თუმცა, ამავე დროს, ავტორს რამდენათმე უცხო ნჭერლობის ნაწარმოებით უსარგებლია, როგორც მაკალით.

„მეფხისტყაოსნის“ შეფასების დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ დრო, ეპოქა, რომელშიც ეს პოემა დაწერილა. მე-12 საუკუნემდი აღმოსავლეთში მხოლოდ სპარსელთა, ხოლო დასავლეთში — ძველ ბერძენ-რომაელთა პოეზია ყოფილა იმდენათ განვითარებული, რომ იქ მოიპოვებინ „მეფხისტყაოსნს“ მზგავსათ მაღალღირსებიანი ნაწარმოებნი; დანარჩენი ხალხების პოეზია ასე მაღლა ჯერ კიდევ ვერ ასულიყო. „მეფხისტყაოსანი“ საზოგადოათ ბევრგვარი ღირსებით არის შემკული, მაგრამ მას ფასი კიდევ იმ მხრითაც ემატება, რომ იგი აღრეული ეპოქის ქმნილებაა — და, მაშასადამე, მაჩვენებელია უძველესი დროიდანვე ქართველი ერის ინტენსიური ცხოვრებისა და მე-12 საუკუნეში უკვე მისი სრული კულტურული სიმწიფისა.

მე-12 საუკუნე, ომარ-მეთის ეპოქა, ისტორია-
ში „ოქროს საუკუნეა“ წოდებული უსაფუძვლოთ
როდია. ომარის ეპოქამდი ქართველ ერს დიდი ხნის
კულტურული მუშაობა მიუძღოდა. მს მართლაც
„ერთი მუქა ხალხი“ — ქართველი ერი, მიუხედავთ
მრავალრიცხოვანი მტრების განუწყვეტელი შემოსე-
ვისა და მათ წინააღმდეგ მუდმივი ომების წარმოე-
ბისა, კიდევ პოულობდა დროს კულტურული მუშაო-
ბისათვის — და 9-10 საუკუნიდან უკვე მრავალ ადგი-
ლას იყო გაჩაღებული კოლექტიური სამეცნიერო
მუშაობა — როგორც საზღვრებს შიგნით, ისე საზღვარ-
გარეთაც (დასახელებთ ეს ადგილები). უნდა ვიფიქ-
როთ, რომ მაშინდელ დროს ჩვენში გონებრივთ
მომზადებული მუშაკი საკმაოდ ყოფილა, რომ შიგ-
ნით — სამშობლოს საზღვრებში — მუშაობას არ ჯერ-
დებოდნენ და საზღვარ-გარეთაც აწესებდნენ ისეთ
წარჩინებულ სამეცნიერო წრეებს, როგორიც განსა-
კუთრებით ათონში, იერუსალიმში და ხინას მთაზე
იყვნენ. ამ გონებრივი ვარჯიშობისა და მუშაობის
ნაყოფიერობას ჩვენი ერის ბუნებრივმა ნიჭიერებამაც
ხელი შეუწყო — და საზოგადოება მალე ისე მომწიფდა,
რომ უკვე ღვით აღმაშენებლის დროსაც მისი კულ-
ტურა საკმაო სიმაღლეზე იყო ასული, ხოლო ომარის
დროს მან თავის კულმინაციურ წერტილს მიაწია.

ქრისტიანობის დროს ქართველი საზოგადოება
დასავლეთის საქრისტიანოსაკენ (განსაკუთრებით

საბერძნეთისაკენ) მიიწევდა, რომელსაც იგი სარწმუნოებთა ენათესავებოდა; მაგრამ აღმოსავლეთისკენ მოწყვეტა ღია არ ყოფილა, აღმოსავლეთთანაც ჯერ კიდევ კულტურული და ხშირად პოლიტიკური დაკავშირებული იყო. ამიტომ ცხადია, რომ, ოდესღაც შოთამ ეანათლება დასავლეთში მიიღო, მაგრამ აღმოსავლეთთანაც სულიერი კავშირი არ შეუწყვეტია და როგორც პოეზიის მიჯნურს, ან შედგომო სპარსეთის ნიღბარს პოეტურ ლიტერატურას ახლოს არ გაცნობოდა. ამიტომაც არის, რომ შოთას „მეფისტიკოსანში“ ორივე მხრის ზედგავლენა აღიბეჭდა — აღმოსავლეთისაც და დასავლეთისაც, — აღმოსავლეთისა გარეგნული თვისებისა, ხოლო დასავლეთისა — შინაგანი ხასიათისა, სულიერი ლტოლვისა.

„მეფისტიკოსანის“ გარეგნული სახე და ჩარჩო იგივეა, რაც სპარსული მოთხრობებისა, მაგალ. „მისრამიანისა“, „ბარამიანისა“ და სხვ.: იმგვარივე კანვა — ჩარჩო მოთხრობისა, იგივე სიქარბე გრძნობისა, იმგვარივე პოეტური ენა — განსხვავებულის აღმოსავლეთური შედარებებითა და გამოთქმებით აფერადებული.

„მეფისტიკოსანის“ ამბავი ისე იწყება, როგორც საზოგადოთ მრავალი აღმოსავლეთური ზღაპარი ან სადევგმირო ამბავი. მაგალ., „ბარამიანში“ ბარამიანდრობის დროს დაჭრილ ქურციკს უკან ედევნება, ქურციკი კვალწმინდათ იკარგება — და ბარამი მას არ ეშვება, — დაეძებს, რომ მისი გზა-კვალი გაიგოს.

მოთხრობის ამგვარი ჩარჩო ერთგვარი ხერხია, მკითხველის გულისხმიერობისა და ცნობისმოყვარეობის გამაღიზიანებელი ერთი საშუალებათაგანია—იმისთანა, როგორიც ხშირათ იხმარება ხოლმე აღმოსავლეთურ. ზღაპარ-ამბებში, მათ შორის—საქართველოს ზღაპრულ ამბებშიც. მაგალ., „რუსუდანთან“ მოთხრობილია მეფის შვილის ჯიმშედის თავგადასავალი, რომელსაც ჯადო-კვერცხი წინ უგოარდება—და ჯიმშედი მას უკან ედევნება, რათა მისი საიღუმლოცა გაიგოს.—შარნაოზ მეფის ზღაპრული თავგადასავალიც მოგვითხრობს, რომ შარნაოზმა ნადირობის დროს ირემი დასჭრა, ირემი გაიქცა—და შარნაოზი უკან დაედევნა, და ირემის კვალმა შარნაოზი გამოქვაბულში მიიყვანა, სადაც მან ოქრო-ვერცხლის ხაწინა იპოვნაო.—

„მეფხისტყაოსნის“ ენა-სტილიც აღმოსავლეთურ მოთხრობათა ენას მოგვაგონებს. შოთა იმგვარ შედარებებსა და გამოთქმებს ხმარობს, როგორიც მხოლოდ აღმოსავლეთის მგოსნებისაგან იხმარებოდა ხოლმე. აღმოსავლეთის მგოსნებს სიმბოლიზმები უყვარდათ, აზრების სიმბოლიურათ გამოთქმა—და შოთაც მრავლათ ხმარობს სიმბოლიზმებს,—მაგალ.: „ხრის ყოარნისა ბოლო ფრთათა“ (ე. ი. შინათინი წარბებს ხრიდა, სახეს ხუშავდა, სტიროდაო);— „ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა“ (ე. ი. ტარიელის ვარდისფერი ლოყები ცრემლებს გაეთრთვილის—

ფერებიაო); — „მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვკვრეტთ
 ღამესა ჩვენ უმთვაროსა“ (როსტევენ მეფის სიბე-
 რეზეა ნათქვამი); — „მარდი გააპის, გამოჩნდის მუნ
 ბროლი გამომჰყვრვალ“ (მარდო აქ ნესტა-
 ნის ბაგეებს ნიშნავს, ბროლი — კბილებს); — „მარდი
 ჰნებოდა, ღრებოდა, აღვისა შტო ირხეოდა, ბრო-
 ლი და ლალი გათლილი ლაჟვარდიდ გარდიქცეო-
 და“ (გარდი აქ ლოყებს აღნიშნავს, აღვის შტო —
 ტანს, ბროლი და ლალი — ტუჩ-კბილთ); და მრ. სხვ.

აღმოსავლეთის მგოსანთა მზგავსათ, შოთა
 შიპერბოლურს, გაზვიადებულ გამოთქმებს — შედა-
 რებებსაც ხშირათ ხმარობს, — მაგალ.: „ხელთა ნა-
 ჰვარი მათრაზი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა“, —
 „ცრემლსა სისხლი ერეოდა, — გასდის, ვითა ნაგუ-
 ბარი“; — „უგავს პირისა სინათლე მთვარისა მო-
 ვანებასა“; — „შიგან ასრე გავერივე, გნოლის
 ჯოგსა ვითა ქორი, კაცი კაცსა შემოვხტყორცე,
 ცხენ-კაცისა დაგდგი გორი“; — „მარდისა ბაღსა
 მოგუბდა ცრემლისა ნაგუბარია“; — „ასმათს სდის
 ღვარი სისხლისა, ლაწვთაგან ნახოკარისა“; —
 „ცრემლი სდის, ვითა ბისონი“ (ბისონი — მდე-
 მის მდინარეა); — „მელს მაშინ მხეცნი ძლებოდეს
 ცრემლითა მუნ ნატირითა“; — „ავთანდილ მალვით
 ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვათა შესართავისად“,
 და მრ. სხვ.

მზგავსივე ენა-სტილია „მისრამიანშიც“, აღ-
მოსავლეთის მეოსანთა ამ სამავალითო — სანიმუშო
ნაწარმოებში; მაგალ., სიმბოლიზმები: „ღაწმან
მისმან ყაყაჩოსა პერანგი ჩაიცვა“, — „ჩამინ სი-
რცხვილისა ფარდაგი დაზია“, — „მარგალიტსა ხვავ-
რიელად აწვიმებდის“ (ცრემლებზეა ლაპარაკი), —
„იაგუნდსა შიგან მარგალიტი ჩნდა დაცმული“
(კბილები იგულისხმება), -- „ღაინაზა ჩამინ ნაძვი
მავალი და მთვარე სულიერი“ (ჩამინის მეორე
მიჯნურზე — ზულზეა ლაპარაკი); — ჰიპერბოლები:
„აზომი კაცი მოკლეს, რომე მკვდრისა გორი
გორსა ზედა იდვა და მას გარშემო დიოდეს სისხ-
ლისა ღვარნი“, — „მისთა (ე. ი. მისის) თმათაგან
ქვეყანა ასურნელდა და ჰაერი ამბრად შეიქმნა“, —
„წარბი მისი მთვარესა ზედა მშვილდოსნობდა“
(ე. ი. ბულის წარბები ლოყებს ზემოთ მშვილდებავით
გადმომდგარიყო, ან: მთვარისავით გაბადრულ სახეს
გადმოსცქეროდაო), — „ღვარად გავიდის ცრემლი
და სახლსა შიგან ტბა დადგის“), და მრავ. სხვ.

ასეთია აღმოსავლეთური (სპარსული) მოთხრო-
ბებისა და „მეფხისტყაოსნის“ ურთერთ-შორის გა-
რეგანი მზგავსება.

რაც შეეხება შინაგან თვისებას, აზრებისა და
ტიპების ხასიათსა და მიმართულებას, ამ მხრით „მეფ-
ხისტყაოსანი“, როგორც აუკვე ვსთქვით, უფრო
ევროპიულს, დასავლეთის ნაწარმოებსა გავს, ვიდრე

აღმოსივლეთურს. — „მისრაშიანი“ დამახასიათებელია
აღმოსავლეთის ეპოსისა, და ამ რომანის გმირები
რომ „მეფისტყაოსნის“ გმირებს შევადაროთ, მათ
შორის დიდ განსხვავებას ვიპოვნით.

„მისრაშიანის“ გმირებს უმთავრესად პირუ-
მტკიცობა, ცუიერობა და გაუტანლობა ახასიათებს.
რამინი სუსტი ნებისყოფისაა მიჯნურობაში — და იგი
უფროა რიჩარდსონის ლოველასა და ბაირონის
ლონ-ჟუანს მოგვაგონებს, ვიდრე რუსთველის „მიჯ-
ნურს“. მართალია, მისი მას პირველ ხანებში გულ-
წრფელათ უყვარს, ერთხანს იგი ნამდვილი „მიჯ-
ნურის“ (შმაგური) სიყვარულითაა აღტყინებული —
და ამ შემთხვევაში მუდამ გულგრილის ლოველას —
ლონ-ჟუანებისაგან განსხვავდება; მაგრამ ნაღვ მისი
სამიჯნურო ცეცხლი ნელდება და იგი მეორე სა-
ტრფოს — ზულს სიყვარულს უკვე აღვიღათ ეფიცება.

სულ სხვაა შოთას გმირების მიჯნურობა. ტა-
რიელის გულში სამიჯნურო ცეცხლს ვერავითარი
დაბრკოლება ვერ აქრობს: იგი თავისი მერანით
აღმა-დაღმა დაქროლავს, ხან სოფელ-ქალაქათ და
ხან კლდე-ღრეში დაძრწის და გაშმაგებით, განუ-
წყვეტელი ცრემლის ღვრით სატრფოს დაეძებს.
ტარიელს ფიქრათაც არ მოუვა ნესტანი დაავიწყოს
და ვინმე სხვა შეიყვაროს — და ასეთია თვით ნესტა-
ნიც: მტკიცე, შეურყეველი გრძნობისა და აზრისა.
ნესტან-ღარეჯანი ბევრჯერ ჩავარდა განსაცოცხლში:

ხან ზულანშაროს მეფის ზვილისათვის სწადიათ იგი საცოლოთ—და იქიდან იპარება, რომ ტარიელისადმი თვისი უბიწო სიყვარული წმინდათ შეინახოს; ხან ქაჯთ უვარდება ხელში—და ქაჯთა მეფის ზვილის სადედოფლოთ ყავთ იგი ციხეში დამწყვდეული;—მაგრამ ნესტანი უმალ თავს მოიკლავს, ვიდრე ტარიელს უღალატებს. აი რასა სწერს იგი თავის მიჯნურს ძაჯეთის ციხიდან:

„მე გული შენი ქალაღდაღ გულსავე ჰემსა ვაწები;—
ზულო, ზავგულო, დაბმულხარ,—ნუ აეხსნები, აწ ები...
„შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი,—
შენმან მზემან, ვერვის მიხვდეს, მოცავიდენ სამნი მზენი...
აქა თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლავნ ღიდი კლდენი“...

ასეთია ავთანდილ-თინათინის მიჯნურობაც. მართალია, ავთანდილისა და თინათინის ტრფობას ისეთი თავდაფიწყებული, შმაგური გრძნობა არ ახლავს, როგორიც ტარიელ-ნესტანის მიჯნურობას, — მაგრამ ურთფრთის სიყვარულში ესენიც ისე პირმტკიცე და სალკლდოვანი არიან, როგორც ტარიელ-ნესტანი. ავთანდილი თინათინს გონებრიდან არ იშორებს—და, ჳრიდონისას რო მიდის, გზაში „კვლავ თინათინის გონება ავსებს უფრორე ჳირითა“ და ცის მნათობთ ასე შესტირის და შევედრის:

მზეს—„მე ნუ გამყრი საყვარელსა,
ნუ შემიცვლი ღამედ ღღესა“.

ზუალს — „მას უთხარ, თუ: «ნუ გასწირავ,
შენია და შენთვის ტირსა!»“

მთვარეს — „მიდრ, უთხარ: «ნუ გასწირავ!»
მისი ვარ და მისთვის ეკვდები“...

თინათინიც არ გასწირავს პეტანდილს და საუ-
კუნოთ ეყვარება იგი. ამის თავდება მისი გულ-
წრფელი აღსარება, როცა პეტანდილს უცხო მო-
ყმის (ტარიელის) მოძებნას ემუდარება:

„შიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაჟა
ქმარი,

მზეცა მომხედეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,—
სრულად მოვწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი,—
შენი მკლავდეს სიყვარული,—გულსა დანა ასაქმარი“!

„მისრამიანის“ გმირი-ქალი მისი, ჩამინთან შე-
დარებით, მიჯნურობაში მტკიცე ხასიათისაა, მაგ-
რამ, შოთას ნესტან-ღარეჯანთან შედარებით, მისი
გრძნობა მერყევია: მან პირველი საყვარელი საქმრო
(მირო) დაივიწყა და ჩამინი გაიმიჯნურა. ხოლო,
გარეშე მიჯნურობისა, იგი ცდიდრიც არის: ჩამინი-
სადმი სიყვარული აშკარათ ვერ გამოუცხადებია—
და შობადს ატყუებს, სიცრუეს ეფიცება. ამ მხრით
მისი მწრთენელი და ხელმძღვანელი მისი ძიძაა, რო-
მელიც განსახიერებაა ცდიერობისა და ჯადოქრობისა.

რუსთველმა სინამდვილეშიც იმგვარივე მიჯ-
ნური დაგვიხატა, როგორიც არის მისი თეორეტი-
ული მოძღვრება. მიჯნურობის შესახებ. „მიჯნურობა
სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი... მძულს უგუ-

ლოდ სიყვარული—ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუ-
ში“-ო, ამბობს იგი—და მისი გმირებიც ასე-
თი ტრფობით არიან გამსჭვალულნი. აქ პლატო-
ნური სიყვარულია გამოხატული, სიყვარულის
სულიერობაა გაღმერთებული: „შორით ბნედა,
შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით აღვა“.
„მისრამიანის“ მიჯნური კი სიყვარულის ხორცი-
ელობით არიან აღფრთოვანებულნი, მათი ტრფი-
ალება თავადაწვე სწორეთ იმით იწყება, რაც შო-
თას „სიქლს“: ხვევნით, კოცნით, მტლაშა-მტლუ-
შით. —რუსთველიც გვიხატავს ამ ქვენა-გრძნობის
სიყვარულს, მაგრამ ისე გვიხატავს, რომ მისი ქვე-
ნაგრძნობობა თავისთავათ გამოსცვივის. მს არის
შატბანის სიყვარული პეტანდილისადმი, —სიყვარუ-
ლი, რომელსაც რუსთველი განგებ მისისა და რა-
მინის სიყვარულს უფარდებს—და ამით გვეუბნება,
რომ შატბანის მიჯნურობა შორს არის ტარიელ-
ნესტანისა და პეტანდილ-მინათინის მიჯნურობისგანო,
იგი მხოლოდ რამინ-მისის მიჯნურობას ემზგავსებაო.

პრცერთი გმირი „მეტხვისტყასნისა“ ცუფერი
არ არის (ტარიელი და ნესტანი ერთხელ კი გადა-
ცუნ პირდაპირობის გზას: ნესტანის რჩევით ტარიელმა
შარსადანის წინაშე ნესტან-შარეჯანისადმი თვისი
სიყვარული უარყო; მაგრამ ამ უარყოფას ისეთივე
ხასიათი ქონდა, როგორიც—პეტრესაგან საყვარელი
მოდღვრის ძრისტეს უარყოფას გაბოროტებულ მის

მღევნელთა წინაშე. — იხ. ამ თავის ბოლოში). თავით
შატრაში, მართალია, როგორც მიჯნური, შოთას
მოძღვრების წინააღმდეგია, მაგრამ მიჯნურობაშიც
კი იგი პირდაპირია და გულწრფელი; ხალხ, რო-
გორც ადამიანი, ფრიად სიმპატიურია, უსამართლოთ
დაჩაგრულის დამცველი და მისდანი წრფელი დე-
დობრავი სიყვარულით გამსჭვალული (მოიგონეთ
ნესტან-დარეჯანის მიმართ მისი მხრენე ლობა).

ამ საბოლოო, „მისრამიანის“ გმირები ჩვეულებ-
ბრივი მიწიერი ადამიანები არიან, ჩვეულებრივის
ადამიანური გრძნობისა, შოთას თქმით — „ურჩნი
ხედვისა“ (ე. ი. ურჩნი გონებასა), ადვალათ ამჟოლ-
ნი გულისა, ვნებათა ღელვისა. „მეუხისტყაოსნის“
გმირები კი არაჩვეულებრივი ადამიანები არიან, ზე-
კაცები, ციური სპეტიკოსიყვარულით აღტაცებულნი
და ბოროტების წინააღმდეგ ზებრძოლნი. — „მისრა-
მიანის“ ავტორი რეალისტია — და იგი რეალურს,
ნამდვალ ცხოვრებას გვიჩვენებს, იმისთანა გმირებს,
რომელნიც ჩვეულებრივის მიწიერი გრძნობა-სურ-
ვილებით არიან შებოჭილნი, ადამიანური სისხლ-
ხორციით შედგენილნი; ისინი საზოგადოთ ცხოვრე-
ბასთან ახლოს დგანან, ნამდვილი ცხოვრების ღვიძ-
ლი შეილნი არიან. — „მეუხისტყაოსნის“ ავტორი
რომანტიკოსია — და იგი საოცნებო გმირებს გვიჩე-
ბავს, არაჩვეულებრივს, ღვთაებრივ ზეციური გრძნო-
ბა-სურვილებით აღჭურვილთ.

შოთა იცნობს ღასავლეთის (საბერძნეთის) ფილოსოფოსებს — და, თანახმად პლატონის მოძღვრებისა, ქადაგებს, რომ „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“-ო,—და, მართლაც, მისი გმირები—ნესტანი და თარელი არიან ისინი თუ შატმანი და უკანასკნელი „მონა-ზანგი“—სიცრუეს თითქმის არაოდეს არ იკადრებენ. ისინი თითქო ძრისტეს მოძღვრებას მისდევენ--და ამიტომ არის, რომ პეტანდილი წმინდა სიყვარულის შესახებ როსტევანსა სწერს: „სიყვარული აგვამაღლებს,—ვით ეფევანნი, ამას ჟღერენ“-ო,—ე. ი. ძრისტეს მოციქულნი ასე გვასწავლიანო; და, მართლაც, წრფელი სიყვარული დიდი გრძნობაა, აღმაფრთოვანებელი აღამიანის ბუნებისა—და შოთას გმირებიც გონებრივათაც, ზნეობრ-ვ-მორალურათაც და ფიზიკურათაც (ვაჟკაციური სიქველით) ცამდრ ამალლებული არიან, ზეკაცებათ ქცეულნი.

შოთას გმირების ზეკაცობას, მე-12 საუკუნეში ამგვარი ტიპების გამოსახვას, ქაღისადმი ის ღრმა პატივისცემა უწყობდა ხელს, რომელიც ღასავლეთის რაინდულმა ზნეჩვეულებამ გამოიწვია*).

*) რაინდობა ღასავლეთში საშვალო საუკუნეებში მუშავდებოდა—და მე-12 საუკუნეში მას უკვე მთელი წესდება ქონდა შემუშავებული, დიდი ხნის ჩვეულებით განმტკიცებული (საშვალო საუკუნეებათ ითვლება ხანა 476 წლიდან მოკიდებული ვიდრე 1453 წლამდე, ე. ი. ღასავლეთის რომის იმპერიის დაცემიდან ვიდრე თურქთაგან აღმოსავლეთის რომის იმპერიის—ან ბიზანტიის—დანგრევამდე).

რაინდული წესჩვეულება, სხვათა შორის, ქალისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას მოითხოვდა — და ქალის კულტი ქართველ ხალხში მე-12 საუკუნეში იმდენათ მომწიფებული. ყოფილა, რომ ქალის გამეფება, ქვეყნის მართველათ დასახვა არავის წინააღმდეგობას არ იწვევს — და „მეფხისტყაოსანში“ ამ საგნის შესახებ მოხსენებული აზრი ვეზირებისა სრულიად საფუძვლიანათ და დროის შესაფერისათ უნდა ჩაითვალოს:

„თუმცა ქალია ხელმწიფედ, — მართ ლეთისა დანა-
ბაღია; —
არ გათნევთ, იცის მეფობა, — უთქვენოდ გვითქვამს
კვლა ღია...
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია!..
ლეკვი ღომიხა სწორია — ძუ იყოს, თუნდა ხვა-
ლია!“-ო.

რაინდული სიქველე და ქალის თაყვანისცემა „მეფხისტყაოსანშიც“ ისეა გამეფებული, როგორც საზოგადოთ საშვალო საუკუნეებში ღასავლეთ შეროპაში და მე-12 საუკუნეში ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში ყოფილან ისინი განმტკიცებული. შინათინს, როგორც მეფეს, დიდებულნი და მთელი ხალხი ღრმა პატივისცემით ეპყრობიან, და ავთანდილის მხრითაც მისი თხოვნის თავდადებით შესრულება მარტო ქვეშევრდომული მორჩილებითა და მიჯნურის ტრფიალებით არ არის გამოწვეული, არამედ იმ რაინდუ-

ლი კულტის მიხედვითაც, როშელსაც იმ დროში
კეთილშობილი ქალისადმი პატივისცემა მოითხოვდა.

აღსანიშნავია ის ზნეჩვეულება, რომელიც რაინ-
დულ ცხოვრებაში თითქო აუცილებელ პირობათ
გადაქცეულა: ნაზდილი მიჯნურობის დასამტკიცებ-
ლათ და განსამტკიცებლათ მოტრფიალე მოყმე-
რაინდს რაიმე საგმირო სასახელო საქმე უნდა შე-
ესრულებია—და ამ გზით სახელის ნოხვექას და მით
სრული თანაგრძნობის მოპოებას ყოველთვის ქალი
მოითხოვდა ვაჟისაგან. ამგვარია თინათინის დავა-
ლება ავთანდილისადმი:

„წადი, იგი მოყმე სძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად...

შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე:

რომე დამხსნა შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე,—

ბუღსა აგრე საიმელო ია მორგე, ვარდი ჰყარე,—

მერმე მოდი, ლომო, მხესა შეგეყრები, შემეყარე“.

ასე სამძიმო საქმეს ავალებს ნესტან-დარეჯა-
ნიც თავის მიჯნურს ტარიელს:

„ბედითი ბნელა, სიკვდილი რა მიჯნურობა გვონია?

ხჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია.

ხატაეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია,—

აწ მათი ჯავრი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია...

წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე;—

მიჯობს, ცუდად ნულარა სტირ, ვარდი კვლამცა რად
დასტენე!..

მზემან მეტი რაღა გიყოს? აჰა, ბნელი გაგითენე!“

(მოიგონეთ რაფ. მრისთავის ლექსები: „მოხუცის ნა-
ამბობი“ და „ჭალი-აყვანა“, სადაც აგრეთვე ქველებური რაინ-

დული ზნეჩვეულება დასურათებული ქალის მხრით ვაჟისა-
გან გმირობისა და ვაჟკაცური სახელის მოხვეჭის მოთხოვნისა).
— ამგვარ დავალებასში, გარდა რაინდული წესისა,
რომელიც სატრფოს პატივისცემისა და სიამოვნებისა-
თვის მიჯნურს თავდადებას ავალებდა, აგრეთვე მსოფ-
ლიო ის იღეაც იხატება, რომ დიადი საქმის შესრულე-
ბა აღამიანთაგან შესაფუძრ სხვერპლს მოითხოვს. ამი-
ტომაც შოთა, თავისი გმირი-ფილოსოფოსის ავთან-
დილის პირით, ხშირათ იმეორებს ამ აზრს. „მარგა
ლიტი არვის მიხვდეს უსასყიდლო უვაკრელად“—ო,
ეუბნება ავთანდილი შერმადინს ო ნათინის შესახებ;
ან კიდევ: „პრ იცი, ვარდი უფკლოდ არავის მოუკრე-
ბიან“—ო, — ეუბნება იგივე ავთანდილი ტარიელს,
როცა ეს უკანასკნელი, ლომ-ვეფხვთან ნაბრძოლი,
უდაბნოში ცოცხალ-მკვდარი გდია და სასოწარკვე-
თილებას მიცემია.

რაინდული ზნეჩვეულება, სხვათა შორის, მოი-
თხოვდა, რომ მახვილი მხოლოდ მახვილის წინააღ-
მდეგ ეხმარათ, უიარალოსთან იარაღის ხმარება კი
თავის დამცირებათ მიაჩნდათ. ეს ჩვეულება იხატე-
ბა „მეფხისტყაოსანში“ იმ ადგილას, როცა ავთან-
დილი, ვეფხისტყაოსანი მოყმის ძებნის დროს, ტყე-
ში მონადირე სამ ძმას გადაეყარა, რომელნიც ავთან-
დილს მოუთხრობენ, რომ უცხო მოყმის შეპყრობა
მოვინდომეთ, მაგრამ მიზანს ვერ მივაწიეთ: „მან
ბრძალსა ხელი არ მიჰყო, ჩვენ ამად დავერიდე-

ნით“-ო (მაიხსენეთ აკაკის „მოთა მესხი და აღაშ ბებურიშვილი“, - მოთიას მსჯელობა რაინდულ წეს-ჩვეულებათა შესახებ).

მე-12 საუკუნეში საქართველოში არა მარტო კეთილშობილურის რაინდული მიმართულებისათვის, არამედ ფილოსოფიურ მოძღვრებათათვისაც ნიადაგი საკმაოდ მომზადებული იყო. — ძართული მეცნიერების ისტორიაში საკმაოდ ცნობილია სახელები იოანე პეტრიწისა და მფრემ მცირისა, რომელნიც თამარის ეპოქაში ცხოვრობდნენ. მაშინდელი ფილოსოფოსები ნეოპლატონიზმის მიმდევარი იყვნენ — და „მეფხისტყაოსანში“ მოხსენებულია ერთი მათგანი, სახელდობ — „ლიანოსი ბრძენი“, ცნობილი ნეოპლატონიკი ლიონოს არეოპაგეტი.

ნეოპლატონიზმის ფილოსოფია ძრ. შემდეგ მესამე საუკუნეში გავრცელდა (დამაარსებელი პლექსანდრიელი ფილოსოფოსი ამონი საკი იყო) და პლატონისა და ადმოსავლეთის ფილოსოფიურ სისტემათა შეზავებულ მოძღვრებას შეიცავდა. იგი პლატონის ფილოსოფიური სისტემის განსაკუთრებით ერთი განყოფილების — „მთიკის“ — განსხვავებული გამოხატულება იყო, ადმოსავლეთის გემოზე შეესებული და ვანვითარებული მოძღვრება პლატონისა შესახებ სულიერისა და გონებრივი ემოციების ჰარმონიული შეზავებისა, მოძღვრება შესახებ სიმართლისა, სიყვარულისა და მშვენიერებისა.

მკით შოთა ჩუბატელოც ხომ ფილოსოფოსია, პოეტ-ფილოსოფოსი — და მთელი მისი პოემა ნეოპლატონური მოძღვრების ერთგვარი განმარტება და გამოხატულებაა; ხოლო სენტენციების სახით ეს მოძღვრება განსაკუთრებით ავთანდილის „ანდერძ“-შია გამოთქმული, სადაც ავთანდილი მეფის როსტე-ვანს უმარტავს, თუ რას ავალებს ადამიანს სამართლიანი და პატიოსანი განწყობილება მოყვასის მიმართ (მოიგონეთ, რა არის აქ ნათქვამი სიყვარულსა, ძმობასა და სიმათლენეს).

ნეოპლატონიზმთან მახლობელი კავშირი აქვს ძრისტეს მოძღვრებას მოყვასთა შორის ურთიერთობის შესახებ — და „მეფხისტყაოსანში“ მოიპოება მაგალითები ქრისტიანული მოძღვრებისა და შეხედულებისა. მართი მათგანი უკვე არის ზევით მოყვანილი (მოციქულთა აზრი სიყვარულის შესახებ). მეორე მაგალითს წარმოადგენს ავთანდილის სიტყვები ასმათის მიმართ, როცა მან ასმათი გაარისხა და ბოლოს შენდობასა სთხოვს, თანახმათ ძრისტეს მოძღვრებისა:

„აჲ ეგრეცა თავი ჩემი ღამის შენთვის დასანდობლად, ამად რომე შეცოდება შვიდგზის თქმულა შესანდობლად“-ო.

(იხ. სახარება ლუკასი, 17, 4: „ღალათუ შვიდ გზის დღესა შინა შეგცოდოს და შვიდგზის მოიკციოს და გრქვას შენ: «შევიანანე», — მიუტევე მას“).

„მეფხისტყაოსნის“ გმირები არა მარტო სი-

ტყვით, არამედ საქმითაც ძრისტეს მოძღვრების მიმდევარნი არიან:— „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (სახარ. მარკოზისა);— „შუროსი ამისა სიყვარულისა არავის აქვს, რათა სული თვისი დასდევს მეგობართა თვისთათვის“ (სახარ.-მოანესი).— აი უმთავრესი საფუძველი ძრისტეს მოძღვრებისა, და „მეტესტყაოსნის“ გმირებსაც სწორეთ ეს გრძნობა ამოძრავებს—გრძნობა ერთმანეთისათვის თავდადებული სიყვარულისა. ტარიელი და ნესტან-დარეჯანი სამიჯნურო ცეცხლით არიან ერთმანეთისადმი აღგზნებულნი, აგრეთვე ავთანდილი და შინათინი; მაგრამ მიჯნურობას, რაც უნდა წმინდა და პლატონური, რაც უნდა ღვთაებრივი გრძნობა იყოს იგი, მაინც კიდევ პირადი ინტერესი ახლავს, გრძნობა პირადი სიამოვნებისა, მაშასადამე—ერთგვარი ანგარებისა. სულ სხვაა მეგობრული წიყვარული, რომლითაც გამსჭვალული არიან „მეტესტყაოსნის“ გმირები. ეს გრძნობა ბევრათ უფრო ჟანგაროა, ვიდრე მიჯნურობა, და ამ მხრით განსაკუთრებით ავთანდილია საყურადღებო.

ძნელია თქმა იმისა, თუ ვინ უფრო უყვარს ავთანდილს, შინათინი თუ ტარიელი. ავთანდილი ნამდვილი მიჯნურია ტარიელისა, და თუ მეტათ არა, ნაკლებათ არ უყვარს იგი, ვიდრე შინათინი. ტარიელის გულისათვის ავთანდილი როსტევანის რისხვას არ ერიდება, და როცა ნებაყოფლობით წასვლა ვერ

მოახერხა, როსტევანის ნებადაურთველათ იპარტა
ტარიელის მიჯნურის საძებრათ. „ხამს მოყვარე
მოყვრისათვის თავი ქირსა არ დაჰრიდად, გული მი-
სცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხილად“-ო,
ამბობს იგი—და კიდევ ამართლებს ამ სიტყვებს: იგი
დიდი ხნით სტოვებს გონებიდან განუშორებელ სა-
ყვარელს და მიდის ნეტანის საძებრათ. თინათინის
მოშორება პეტანდილს გულზე ცეცხლს უკიდებს,
ამ მგზავრობაშიც ის მრავალ ხიფათს მოელის, მაგ-
რამ თავი გაწირული აქვს, რადგან გულითადი შეგობ-
რის ინტერესი ამას მოითხოვს.

პი როგორ დრტვინავს პეტანდილი, როცა,
პირობისამებრ ქვაბში მისული, ასმათისგან ტყობი-
ლობს, რომ ტარიელი დიდი ხანია წასულია და არ
დაბრუნებულა:

„იტყვის: «ღმერთო, რა შეგცოდნე შენ, უშალსა, არსთა
მხედსა?

რად გამყარე მოყვარეოა, რად შემასწარ ამა ბედსა?

ერთი, ორთა მგონებელი, ვარ საქმესა წასაწყემდსა;—

მოვკვდე—თავი არ მეწყალვის, სისხლი ჩემი ჩემსა ქედსა“.

აშკარაა, რომ სიტყვები „ორთა მგონებელი“
თინათინსა და ტარიელს გულისხმობს.—

პეტანდილისათვის ტარიელიც ისეთივე მზეა,
როგორც თინათინი—და ამ ორი მზის მოშორება
მას გულს ორკეცათ უყინავს:

„თვე ერთისა მოშორება მზისა ზამთრის გაგვაკი-
ნებს,—

მე გლახ ორნი დამიყრიან, გული ამად რად არ იგ-
ნებს?“-ო,

მოთქვამს ავთანდილი, როცა, მინათინს მოშორე-
ბული, ტარიელსაც შიორდება.

მეგობრული გრძნობა „მეფხისტყაოსნის“ და-
ნარჩენ გმირებშიც საკმაოდ არის განვითარებული.
ქალებს შორის ამ მხრით საგულისხმო ტიპს განსა-
კუთრებით ასმათი წარმოადგენს. ასმათი არა მარტო
მაშინ, როცა, შარსადანის სასახლეში ყოფნის დროს,
ნესტან-ლარეჯანისა და ტარიელის ჯერ კიდევ შეე-
ბასა და ღიბენას იზიარებდა, არამედ კიდევ უფრო
მაშინ, როცა მათი ტარიელისა და ვაების დრო და-
დგა, მათ კარს იზიარებს, თავის სიცოცხლეს, თავის
უკანასკნელ ამოოხვრას მხოლოდ მათ სანუგეშებლათ
ინახავს. ტარიელის ერთადერთი მანუგეშებელი, მისი
ცრემლების მომხოცველი—ავთანდილის გამოჩენა-
მდი—მხოლოდ ასმათია. ღლიდან ნესტან-ლარეჯანის
დაკარგვისა, ასმათი ტარიელს არ შიორდება, გამო-
ქვამულში ცხოვრობს და ხშირათ აქ ნესტან-ლარე-
ჯანის საძებრათ გადახვეწილ ტარიელს მთელი თვეო-
ბით უცდის, ხოლო შინ ჰყავს, ცხარე ცრემლებით
მტირალსა და მკვნესარს, თავდადებული მოვლითა
და ტკბილი სიტყვით ანუგეშებს და სევდას უფო-
ნებს. ასმათი ისევე მტკიცე და ურყევია მეგობრო-
ბაში, როგორც ნესტანი—სიყვარულში.

ტარიელის გული და სული ასმათისათვის წმი-
დათა-წმიდაა და იგი მათში, თუ ეს თვით ტარიელს

არ სწადია, არავის ჩაახედება. ავთანდილმა მოიწა-
დინა-ძალდატანებით ეთქმევინება ნისთვის ვეფხის-
ტყაოსანი მოყმ ს გულის საიდუმლო, და იგი ასმათს,
წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკვდილს ემუქრება; მავ-
რამ ასმათი მას უშიშრათ უბასტების:

— ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატივად ნურად გგონია,
მით რომე დამსნნი ტირილსა, შემწრების ცრემლთა
ფონია...

ჩალად მჩანს ყოვლი სოფელი, მისთვისე შემოწონია!..
შერ გიცნობ, ვინ ხარ:—ვის გითხრა სიტყვანი მისა-
ნდონია?!

„ვეფხისტყაოსნის“ ქალები გამწრებათ გონების
არიან და, როცა საჭიროა, სათანადო ხერხს გამო-
სცეზნიან ხოლმე. ასმათმა გონიერი პლანა მოისაზრა
ავთანდილისა და ტარიელის პირველი შეხვედრის
მოწყობისა—და ეს პლანი უნაკლულათაე შესრუ-
ლა;—შატმანი ნესტან-დარეჯანს თავის სახელში მო-
ხერხებულათ ინახავს და შემდეგ ქაჯეთისაკენ აპა-
რებს; —ნესტანმა მოხერხებული სიტყვა-პასუხითა და-
არწმუნა ზულანშაროს მეფის მონა-ხადუმნი, უაზრო
და უსარგებლოა ჩემი აქ დარჩენაო, და წინდაწინ მო-
მზადებული თვალ-მარგალიტით მათგან თავი გამოი-
სყიდა. როცა გზაში ქაჯეთის სამეფოს რაზმი შეხვდა
და დაჭერა მოუნდომა, ნესტანმა, განსაცთელისაგან
თავის დასახსნელათ, ხერხს მიმართა და ქაჯთა რაზმს
გაბედულათ შესძახა:

„შინ ხართ, ცხენოსანო? თქვენ სახელი თქვენი სთქვენიო!
ბულნაშართ მაიკიქული ძაჯეთს მივალ,—მერი-
დენიო!“—ო.

ამ სახით, „მეტხისტყაოსნის“ ქალები გონებრი-
ვი გამჭრიახობითა და საკუთარი ინიციტივით ვაჟებს
შორის ავთანდილს თუ ჩამოუვარდებიან, ხოლო
ხასიათის სიმტკიცითა და უდრეკელობით—არც ერთს
მათგანს.

ავთანდილი, „მეტხისტყაოსნის“ გმირებს შო-
რის, დამტკიცებითი მხარეების განსაკუთრებული
უპირატესობით არის დაჯილდოებული. იგი ტარიელს
თითქმის გმირობითაც არ ჩამოარჩება, ხოლო დანა-
რჩენი თვისებებით მასზედ უფრო მაღლა ცა დგას. შუი-
ნარეს ყოვლისა—იგი საღი აზროვნების ადამიანია,
გამჭრიახი გონებისა, რომელიც სწრაფათ აზროვ-
ნობს, მაგრამ აუჩქარებლათ, მოფიქრებით მსჯელობს
და მოქმედობს. „მსჯერ გაზომე და ერთხელ გადა-
სქერო“—აი. ავთანდილის დამახასიათებელი ქართუ-
ლი ანდაზა. პოემაში ბევრია მაგალითი ავთანდილის
წინდახედულობისა, განზრახულის ასრულებისათვის
ყოველი ნაბიჯის აწონ-დაწონისა. ავთანდილი „უცხო
მოყმის“ კვალს პირველათ ხატელო მთავრების—
სამი მონადირე ძმის წყალობით წაატყდა: მათი ჩვენე-
ბით ავთანდილმა კიდევაც დაინახა, რომ „ოდენ
ჩნდა შავი ტაიჭი მისი მის მზისა მარებლად“. ავთან-
დილს დიდი ხნის წადილი აუხსრულდა: სამი წელი

სრულდებოდა, რაც ამ მოცემეს ეძებდა, ახლა იგი ასე ახლოს იყო—და პეტანდილი უნდა ჩქარებულყო, რომ მოცმე კვლავ თვალთაგან არ გადაკარგულიყო... მაგრამ უცებ ამუშავდა პეტანდილის გონება და მოაგონა სურათი და გარემოება მისი გადაკარგვისა, როცა წყლის პირათ მტირალი ნახეს და ახლოს არავინ მიიკარა—არც როსტევეანის პონები და არც თვით მეფე როსტევეანი;—პეტანდილის თვალწინ ახალი მაგალითია იმ უცხო მოცმის უკარებლობისა: ამ სამ ხატაელს ძვირათ დაჯდომია იმ მოცმის შეჩერების თუ შეპყრობის განზრახვა—მოცმეს ერთის მათგანისათვის მათრახით თითქმის სასიკვდილოთ თავი გადაუფხრეწია. პეტანდილი ყველა ამას ითვალწინებს, და ამიტომ—

„მიეწურა, იგონებდა, ახლოს შეყრა ვითა აგოს:
—ხაუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს,
ხამს თუ კაცმა გონიერმან ძნელი საქმე გამოავოს,
პრსიწყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძავოს...
რადგან ისი არის სადმე უცნობო და ისრე რეტად,
რომე კაცსა არ მიუშვებს საუბრად და მისად ჰვრეტად,—
მივეწვი, შევიყრებით ერთმანერთის ცემა-ჟლეტად:—
ანუ მომკლავს, ანუ მოვჰკლავ, —დაიმაღვის მეტის-
მეტად...“

...მზომნი ჭირნიცა რად ვაცუდენი?..

რაცაღა არის, არა არს, თუცა არ ედგნეს ბუდენი;
სადაცა მივა—მივიდეს, რამცა მოვლიდეს ზღუდენი:—
მუნითგან ვსძებნე ღონენი ჩემნი, არდასამრუდენი“...

ასე მოისაზრა ავთანდილმა მოყმის შეხვედრის
 საშვალეობა -- და ეს მოსაზრება მართლაც მიზანშეწო-
 ნილი აღმოჩნდა. -- ავთანდილი პირველათ გამოქეა-
 ბულში ასმათთან მივიდა და მისგან უცხო მოყმის
 ამბის გაგება მოიწადინა, და როცა ასმათმა გადა-
 ქრილი უარი უთხრა, ავთანდილი ერთი წამით თი-
 თქო გულის ვნებას აჰყვა --- ძალადობით, სიკვდილის
 დამუქრებით მოიწადინა მისგან მოყმის ვინაობის შე-
 ტყობა, მაგრამ მაშინვე სცნა, რომ შეცდა -- და თა-
 ვისი შეცთობა წამსვე ავითრან გაასწორა, -- ძალადო-
 ბას ლმობიერობა და გულწრფელობა არჩია, დაჯდა
 და ტირილი დაიწყო, -- უამბო, თუ ვინა დავალე-
 ბით იყო ამ მოყმის საძებრათ წამოსული, და საშიჯ-
 ნიურო ცეცხლით თვისი გულის წვა გაუთვალწინა.
 ჩვენ ვიცით, თუ რა მშვენიერათ გასქრა ამ საშვა-
 ლეობამ. -- ასეთივე წინასწარ გამოანგარიშებული ხერ-
 ხით იქცევა ავთანდილი, როცა ტარიელს, ლომ-
 ვეფხვთან ნაბრძოლს, ტყეში ცოცხალ-მკვდარს პოუ-
 ლობს. ტარიელს თავი მოძულეებული აქვს, სიკვდილს
 ნატრობს და უარზეა გაჰყვეს მას (მოიგონეთ აქ ტარი-
 ელთან ავთანდილის საუბარი და ხერხი, რომლითაც ტარიელი
 აიძულა ცხენზე შემჯდარიყო და გამოქვაბულში წაჰყოლოდა).
 ავთანდილისაგან ვაქრულათ გამოწყობა და „მოქა-
 რავენებთან“, „მობალდადე ვაქრებთან“ ერთად ზღვიით
 მოგზაურობა, აგრეთვე შატმანთან გამიჯნურობა --
 ყველა ეს ხერხია, ავთანდილისაგან წინასწარ გან-

ზრახული და გაზომილ-აწონილი საშვალეებია იმისათვის, რომ მიზანს მიაწიოს. — პეტანდილი ცხოვრების ცოცხალი, ნამღვილი ტიპია — და მის თვალში კეთილი საქმე და საგულისხმო მიზანი ყოველგვარ საშვალეებას ამართლებს. შატმანის მიჯნურობა პეტანდილს არაფრათ ეპიტნავენა: „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერიაო“, ამბობს იგი შატმანის სამიჯნურო წერილზე; მაგრამ, როცა დაფიქრდება, დასტურის პასუხსა სწერს, რადგან შატმანი მას თავისი მიზნისათვის გამოსადეგარ პიროვნებათ ეჩვენება — და არა სურს აწყენიოს:

„ისი დიაცი აქა ზის, კაცთა მნახავი მრავალთა,
მოასდგურე და მოყვარე მგზავრთა, ყოველგნით მავალთა;
მივბჟყვე, მიაბზობს ყველასა, რაზომთა ცეცხლი მწვავს
ალთა; —

ნუთუ რა მარგოს, მე მისი გარდახდა ჩემგან ვსცნა
ვალთა.“

თქვა: „ღიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს
გულსა, —

ბუგი და მოყივნება არად შესწონს ყოლა კრულსა:

რაცა იცის, გაუცხადებს, ზეშინდსა უთხრობს სრულსა.

მიჯობს-მივბჟყვე, განლა სადმე ვსცნობ საქმესა დამა-
ლულსა“.

ასე წინასწარ ზომავს და მსჯელობს პეტანდილი — და მისი მსჯელობა მართალი გამოდგა: შატმანი მოწმეთ აღმოჩნდა ნესტანის უკანასკნელი ცხოვრებისა და თავგადასავალისა. პეტანდილი, ფაქტების

აწონ-დაწონითა და გარემოებათა წინასწარი გაზომ-
ვით, მიზანს თანდათან უახლოვდება. როგორც ნა-
თქვამია, მიზანი საშვალეებს ამართლებს—და პეტან-
დილი ჩაჩნაგირსა ჰკლავს, რომ შატმანს, რომელ-
შიც იგი თავისი მიზნის შესრულების საშვალეებს
ხედავს, მოსალოდნელი ხიფათი ააშოროს.

პეტანდილი განხორციელებაა რუსთველის მო-
ძღვრებისა—გულისა და გონების ჰარმონიული შეთან-
ხმების შესახებ. იგი, როგორც მიჯნური, ტარიელი-
ვით ძლიერისა და ნაზი გრძნობის მექონია, მაგრამ
ტარიელივით ვნებათა ღელვას არ ემონება და მოთმი-
ნებაც იცის, „ქირსა შიგან გამაგრება“. მისი გული,
თანახმად რუსთველის აზრისა, არ არის „ბრმა, ურჩი
ხედვისა“,—პირიქით, აკაკის თქმის არ იყოს, „თუ-
მცა გული ამასაც გაუმეფებია, მაგრამ ვეზირათ თავი
მიუჩინა“.

ასეთია პეტანდილი, ეს უსაყვარლესი გმირი
შოთასი: ცოცხალი, მოძრავი, ხალხში მოტრიალე
და ცხოვრების მცოდნე, გაქცევრებაში მოხერხებული,
მეგობრისათვის ქირში—თავდადებული, ლხინში—
მომღერალი და მომლხენი, მტერთან გმირულად
მებრძოლი. შველა ამასთან იგი ბრძენია, ფილოსო-
ფურათ განსწავლულ-გაწრთენილი.

პეტანდილსა და ტარიელს საერთო მხარეებიც
აქვთ, საერთო თვისებები ხასიათისა; მაგრამ ტარიე-
ლის პიროვნება თვალსაჩინოდ განსხვავებულ ტიპს

წარმოადგენს. მორივე გმირია, მკლავმაგარი და უძლე-
ველი ვაჟკაცი, მაგრამ ტარიელი, როგორც ყველა-
ფერში, ვაჟკაცობაშიც პირდაპირია, მტერზე პირდა-
პირ მიმავალი, პირდაპირ მცბრძოლი და უძლეველის
ფიზიკური ძალისა; ავთანდილიც უძლეველია, ტარიე-
ლივით იგიც ყველა მტერსა და მოწინააღმდეგეს ამარც-
ხებს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი თავდაპირველათ
ემზადება ხოლმე, ნაბიჯებს ზომავს, პლანებს აწყობს—
და მხოლოდ მერე მიდის მტერზე პირდაპირ და უშიშ-
რათ. როცა „მოხალდადე ვაჟარნი“ ზღვის პირას
შეშინებულნი ნახა და მათგან ზღვის მეკობართა
ომის ამბავი გაიგო, რომელნიც იბრძოდნენ „ძელის
სანისისა წვერითა“, — ავთანდილი ამ ძელის საწინა-
აღმდეგოთ რკინის კეტით მოემზადა და მეკობრეთ
უშიშრათ შეება და კიდევაც გაჟლიტა ისინი. ძაჯე-
თის ციხის აღების ხანს ავთანდილი და შრიდონი
ქაჯებთან ბრძოლას ხერხით, ცუფიერი საშვალეებით
არჩევდნენ, მაგრამ ტარიელმა არ დაიჯერა, მან პირ-
დაპირი ბრძოლა არჩია — და ადვილათაც დაითანხმა
ისინი, რადგან მისი სწორუპოვარი გმირობა მშიშა-
რებსაც კი გაამამაცებდა, და ავთანდილისა და შრი-
დონისთანა გმირებს ხომ ფრთებს შეასხამდა და უძლე-
ველ დევებათ აქცევდა!..

ტარიელი უპირველეს ყოვლისა მიჯნურია,
შოთას იგი თითქმის მხოლოდ მიჯნურობის განმა-
სახიერებელ ტიპათ დაუხატავს — და მიჯნური ხომ,

შოთასე თქმით, შმაგსა გვიქვიან არაბულთა ენითა. ტარიელი სამიჯნურო ცეცხლით დადაგულა და ამას გაუშმაგებია იგი,—აპიტომაც მისი გონება თითქო აღარ მუშაობს, ხალხში ცხოვრების უნარი დაკარგვია და ტყეთ გაქრილა, ცხოვრებას მოშორებია, განმარტოებულა, თანახმათ რუსთველისაგან ნათქვამის მიჯნურის თვისებებისა. მის გონებაში შემდეგი დილემა წამომდგარა: მოსძებნოს თვისი სატრფო, თუ იგი ცოცხალია, თუ არა—მოკვდეს, რათა მასვე საიქიოს შეეყაროს:

„ამას მოკვდავი ვილოცავ, აროდეს ვითხოვ, არ, ენით: აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით,—

მუნ ერთმანერთი კვლავ ვნახნეთ, კვლავ რამე გავიხარენით...“

მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომაყარენით!..“

ასე ძლიერია ტარიელის წადილი ნესტანის მოძებნისა, მაგრამ, როგორც შმაგს, საღი მოსაზრება დაუკარგავს, მისი გონება სათანადოთ ვერ მუშაობს იმისათვის, რომ ნამდვილი გზა განოსძებნოს. ტარიელი თვით უმარტავს ავთანდილს იმის მიზეზს, თუ რატომ აღარ მუშაობს მისი გონება, რათ დაუკარგავს მას სიბრძნე გონებისა:

„შინ დამბადა, განკურნება ჩემი უჩანს მასცა ძნელად;—მისცა გესმის, გაიგონეთ,—მით გაქრილვარ ხელი ველად; ჯაცა ჰმართებს გონიერთა, ერთხელ ვიყავ მეცა მქმნელად,—

აწ ნობათი ხელობისა მომხდომია, მით ვარ ხელად.“—

„ბრძენი—ვინ ბრძენი, რა ბრძენი?! ხელი ვითა იქმს
ბრძნობასა?!

მე საუბარი მაშინ ხამს, თუცაღა ვიყო ცნობაზეა“-ო,—
ეუბნება იგი პეტანდილს.

ამ სახით, ტარიელის გონება აღარ სკრის —და
იგი ზორდიის კვანძს ვერ გახსნის, ხოლო გაკვეთით
კი სხვებზედ უკეთ გაჰყვეთს, რადგან მისი მკლავი
სხვებისაზედ უფრო მაგარია, და ამიტომ მისი ხმა-
ლიც სხვებისაზედ უფრო მკრელია. შგზო-უკვლოთ
გადაკარგული ნესტანის მოსაძებნათ. მხოლოდ პე-
ტანდილი გამოდგა, მისმა გამჰკრიახმა გონებამ ნეს-
ტანის აბნეული კვალი თანდათან გააშუქა და მისი
ბინაც მოსძებნა, სადაც უკვე მის გამოსახსნელათ
მკლავი და ხმალი იყო საკირო; აჟ კი სამივე ძმო-
ბილის თვალსაჩინო გმირობამ იჩინა თავი, მაგრამ
პირველობა მაინც კიდევ ტარიელსა ხვდა:

„მუნ-ნახეს რიყე აბჯრისა, ნალეწი ხრმალთა წვერისა,
პთი ათასი ნობათი, უსულო, მსგავსი მტვერისა:
ციხისა მცველი ყველაი იღვა, მართ ვითა სნეული,
თავით ფერხამდი დაჰრილი, აბჯარი მუნ დახეული,
ციხისა კარნი განხმულნი, კართა ნალეწი სრეული:—
სცნეს ნაქმრად ტარიელისად, თქვეს: „საქმე არს მი-
სეული!“

ჭაჯეთის-ციხის, ამ თვალუწვდენელისა და შეუვა-
ლი ციხის აღებით დასრულდა ტარიელისა და საზო-
გადოთ „შეთხისტყაოსნის“ გმირების თავგადასავალი,
—დასრულდა მათი სახელოვანი გამარჯვებით. შეუ-

ქლებელიც არის გამარჯვება არა ხვდეს წილათ ისეთ
გმირებს, როგორნაც ტარიელი, ავთანდილი და
შრიდონი არიან და, მათთან ერთად, მათი მეგობარ
ქალები, — მით უფრო, როცა ისინი ღვთაებრივი
ამიჯნურო ცეცხლით არიან აღგზნებულნი და ურთ-
ერთ შორის თავდადებულის მეგობრული გრძნობით
დაკავშირებულნი. „სიყვარული აფუძვალდება“ —ო და
„მათ სამაჲ გმირთა მნათობთა სკირთ ერთმანერთის
ქონება“ —ო, — ამბობს შოთა — და გამარჯვების სტიმუ-
ლიც სწორეთ ამ გრძნობებით არის განმტკიცებული.

მიჯნურობა, ეს წმინდა ღვთაებრივი სიყვარუ-
ლი, და თავდადებული მეგობრობა — აი ორი დია-
დი საგანი, რომელთაც „მეფხისტყაოსნის“ შინაარსი
თვალწინებს და აშუქებს. მკრივე-საგანი ერთს საკა-
კობრიო მისწრაფებაში თავსდება, სახელდობ — კეთი-
ლის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში. მს
ბრძოლა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთ-
შიც ერთნაირათ არის აღნიშნული: აღმოსავლეთში —
ზოროასტრის მოძღვრებით, რომელიც მოგვითხრობს
ბრძოლას არიმანსა და მარმუზდს შორის, ე. ი.
სიბნელისა თუ ბოროტებისა და სინათლისა გინა
კეთილის წარმომადგენელ ძალთა შორის; დასავლეთ-
ში — საღვთო წერილის მოძღვრებით, სადაც მოთხრო-
ბილია ბრძოლა ცისა და ქვესკნელის ძალთა, ანგე-
ლოზთა და დემონთა შორის (მოიგონეთ, სხვათა შო-
რის, მილტონის „დაკარგული სამოთხე“ და „დაბრუნებული

სამოთხე“): ამ საკაცობრიო მისწრაფებას სარჩულათ უძევს რწმენა ბოროტზე კეთილის გამარჯვებისა, რაიც შოთას „მეფხისტყაოსანშიც“ აღნიშნულია სენტენციით: „კეთილმან სძლია ბოროტსა, — არსება მისი გრძელია“—ო.

მს არის დედაძარღვი, მთავარი იდეა შოთა რუსთველის უკვდავი პოემისა. •

„მეფხისტყაოსანი“ მარტო შინაარსით კი არ არის წარმტაცი, არამედ გარეგანი ფორმითაც. მს პოემა პოეტური ენა-გამოთქმით, მკითხველის სმენას რომ არ ატკობდეს, ცხადია—იგი ასე გავრცელებული არ იქნებოდა. როგორც მწყობრი, ჰარმონიული მუსიკა და გალობა ხიბლავს მსმენელს, ისე მომხიბლავია ჰარმონიული, მუსიკალური ლექსიც—და „მეფხისტყაოსნის“ დიდი ღირსება სწორეთ ის არის, რომ მისი შინაარსიც და გამოხატულებაც თანაბრათ წარმტაცი და მომხიბლავია.

ბევრს დღევანდელ მგოსან-მოშაირესაც არ აქვს შეგნება იმ ჰარმონიისა და მუსიკალობისა, რომელიც შოთას მე-12 საუკუნეში შეუგნია. მისი პოეტური სმენა ზედმიწევნით არჩევს ერთმანეთში „შაირის“ ორგვარ წყობას, დაბალსა და მაღალს (მოიგონეთ—რა განსხვავებაა მათ შორის)—და არაოდეს ერთმანეთში არ ურევს.—შოთას კარგათ ესმის, რომ შაირ-სიტყვაში. რითმები იმისთვისაა შემოღებული,

რომ გამოთქმაში საამუშაო მუსიკალობა, ჰარმონია, ტკბილხმოვანობა ისმოდეს--და ამიტომ მისი რითმები ყოველთვის მდიდარია: ჰარმონია რითმებში ხან ორი მარცვლით აქვს გამოხატული (მაღალ შაირში), ხან სამი მარცვლით (დაბალში). „ვეფხისტყაოსნის“ მუსიკალური რითმების ნიმუშათ საკმარისია ერთერთი ხანა მოვიყვანოთ, რომლის მზგავსიც პოემაში მრავალაა:

„ზაფრანის ფერად შესცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან,—

ზული უფრორე დამიქრა ათი-ათასმან დანამან;

საწოლს მეკარე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან;—

მთქვი თუ: «რა იცის ამბავი ნეტარან იმან, ან ამან»?!

რუსთველს აგრეთვე შეგნებული ჰქონია ლექსის მართლაც დამაშვენებელი ის თვისებანი, რასაც განსაკუთრებით დღევანდელი სიმბოლისტები ეტანებიან—შიგარითმები და მოქმედებისა თუ საგნის თვისების აღმნიშვნელ სიტყვათა ზედღიზედ გამეორება,—მაგალითად:

ა) შაჟ წახდა ვარდი. პობილი, ვაჟ, მარგალიტი წყობილი!“..

ბ) „მარდი კნებოდა, ღრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა“.

რუსთველის ენაში საყურადღებოა პოეტური შემოქმედებითი თავისუფლება, რომლითაც იგი ახალი სიტყვებისა და ფორმების შექმნაში ნიჭიერათ სარგებლობს,—მაგალ.: ა) „აწ მოყვარე გიპოვნეივარ, დისაგანცა უფრო დესი“. აქ პოეტს არსებ. სახე-

ლისაგან (და) ზედსერთავე სახელის მნიშვნელობის შედარებითი ხარისხი (უფრო დესი, უდესი) გაუკეთებია; ბ) „შატმანს უხსნია ჩემი მზე, დედებია და სდებია“, — ე. ი. დედობა და დობა გაუწევიაო. — რუსთველი თვით გვიმოდღერებს, რომ „ბრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი“ — და, მართლაც, სხვადასხვა ხერხით, საუცხოო შემოქმედებითი ფორმებით სიტყვას მეტათ მოხდენილათ ამოკლებს და ამკვეთრებს. ლაუკვირდით, მაგალითად, ერთი ფორმის რთული სიტყვით რა მშვენიერათ გვიხატავს რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობას: „შერასმეყვეს საუბარსა, სიტყვა ჰკადრა არ მალული“; — „შერასმეყვეს საუბარსა — ე. ი. ცოტა რამ საუბარს შეყვენო. — ამგვარი კონსტრუქცია საღვთო წერილის ენაშიც ხშირია (იხ. 96-ე ხანის განმარტება) — და ეს გარეგნობა მაჩვენებელია იმისა, რომ შოთას როგორც საერო მწერლობა, ისე საღვთო წერილიც შეგნებით შესწავლილი და შესისხლხორცებული ჰქონია.

ბუნების აღწერას „მეფხისტყაოსანში“ მცირე აღგილი აქვს დათმობილი, მაგრამ რუსთველის გენიოსობა აქაც ' თვალსაჩინოთ გამოსჰვივის, — პოეტი ორი-სამი სიტყვით გრანდიოზულ სურათებს გვიშლის თვალწინ:

ა) „მას მიხვდა წვერი სადგურად მალისა მთისა დიდისა;

ბ) მაშინდა მუნით მინდორი, სავალი დლისა შვიდისა;

მის მთისა ძირსა წყალი დის, არათ სანდომი ხიდისა; —
მარგნითვე ტყესა შეეკრა ნაპირი წყლისა კიდისა“.

ბ) „ღღისით ვლეს და სადამო-ქამს გამოუჩნდეს დიდნი
კლდენი;
აღდეთა შიგან ქვაბნი იყვნეს, ძირსა წყალი ჩანადენი;
წყლისა პირსა, არ ითქმოდა, შამბი იყო თუ რავდენი;
ხე დიდრონი, თვალუწოთმი, მალლა კლდემდის ანაყრ-
დენი“.

გ) „მოწურვილიყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა,
მარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,
მტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა საროს ტანისა;
სულთქმნა, რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა.
აგრგვინდა ცა, და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვა-
რითა;

მარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დარითა, —
უბრძანა: «ზიჰვრეტ თვალითა, გულტკბილად შემხედ-
ვარითა,

მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენთანა საუბარითა»“.

ამ უკანასკნელ ხანაში ბუნება გატოცხლებუ-
ლია, იგი მეტყველობს, — ავთანდილი მას ისე ტკბი-
ლათ ესაუბრება, როგორც თავის სატრფოს, და მის
მშვენიერებაში თავისი მიჯნურის მშვენიერებას ხე-
დავს: — მოთასაც ისე სწამს, როგორც ნ. ბარათა-
შვილს, რომ „პრს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც
და უსულთ შორის“.

ბუნების ლამაზ აღწერას პოეზიაში დიდი მნიშე-
ნელობა აქვს, მაგრამ უმთავრესი მნიშვნელობა
მაინც ადამიანის სულის-კვეთების გაიოხატვას უნდა

მიენიქოს—და ამ მხრით შოთას პოეზია შეუდარებელია: თვისი გმირების სულის მოძრაობას მგოსანი ისეთი სინამდვილითა და სისრულით გვიხატავს, რომ ვერცერთი მსოფლიო გენიოსი-პოეტი—ჰომეროსია იგი თუ შექსპირი—მას წინ ვერ გადაუდგება. შოთას პოეტურ სტრიქონებში მოჩუხჩუხე წყაროსავით ჩქეფს გრძნობა მხიარული გულისა და ჭექა-ქუხილივით მოისმის ცემა სევდიანის, დამწვარი გულისა.—
ბი რა სინამდვილით აქვს შოთას აწერილი ახლათ შეყვარებული გულის ძლიერი, გრძნობა, რომელიც მიჯნურთან სასაუბროთ გამბედაობას ართმევს და ენას უბამს (ნესტან-ღარეჯანმა ტარიელი რომ იხმო, მაგრამ, გულის მოწოლილის ძლიერი გრძნობისა (და ქალწულებრივი მორცხვობის გამო, ხმა ველარ გასცა):

„ღიღნა ვდგე—და არა მითხრა სიტყვა მისსა მონა-
სურსა,—

მდენ ტკბილად შემომხედის, ვითამცა რა შინაურსა...
ასმათ უხმო, —მოიუბნეს,—ქალი მოდგა, მითხრა ყურსა:
«ბწ წადიო, ვერას გითხრობს»... შე კვლავ მიმცა აღ-
მან მურსა»“.

ბი ნიმუში მწუხარე გულის მოთქმისა:

„მოსთქვამს: «ბჰი, საყვარელო ჩემო, ჩემთვის დაკარ-
გულო,

იმედო და სიცოცხლეო, გონებაო, სულო, გულო!

მინ მოგკვეთა, არა ვიცი, ხეო, ედემს დანერგულო...

ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დაგწვა, გულო, ასჯერ
დადაგულო?!»“..

მსეც ნიმუში გულის მოღებენისა და კმაყოფი-
ლების გამოხატულებისა:

„მხვეოდქს ერთმანერთსა, აკოცნეს და ცრემლნი ღვარ-
ნეს;—

ამას გვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს;
მზე რა ვარდსა შემოდგეს, დაშვენდენ და შუქნი არნეს:—
აქანამდის კირნახულთა—ამას იქით გაიხარნეს“.

— —

შეწიკვლო და უნაკლულო ქვეყანაზე არაფე-
რია—და „მეფხისტყაოსანსაც“ თვისი დეფექტები
აქვს. უპირველესათ ყოვლისა, შინაარსის მხრით, ის
გარემოებაა აღსანიშნავი, რომ პოემაში სრულიად
დავიწყებულია ცხოვრება და თავგადასავალი ნესტან-
ღარეჯანის მშობლებისა მას შემდეგ, რაც ნესტანი
გადაიკარგა. მხოლოდ ერთხელ ნესტან-ღარეჯანი
გაკვრით იგონებს მშობელს—წერილში, რომელსაც
ჭაჯეთის ციხიდან ტარიელს უგზავნის:

„წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწოებულსა, ყოვლგნით ხელალუპყრო-
ბელსა,—

მუღსა აღზინე ჩემისა მოშორებებისა მთმობელსა...

მომიგონებდი მტირალსა, შენთვის ცრემლშეუშრო-
ბელსა“.

შინაარსის მხრით დეფექტათ უნდა ჩაითვალოს
ისიც, რომ ავთანდილი. შრიდონს თავიდან ბოლო-
მდი დაწვრილებით მოუთხრობს იმ შემთხვევას, რო-
მელიც მკითხველმა უკვე იცის, სახელდობ—ნადი-

რობის ღროს ზოსტევანისა და მისი მონების ტარი-
ელთან შეხვედრას. აქ თერთმეტი ხანა სრულიად
ზედმეტია (იხ. აბულ. გამოც., გვ. 119—120).

ბმირების მოქმედებაში ზნეობრივი მხრით შეუ-
წყნარებლათ უნდა ჩაითვალოს მკვლელობა, რომე-
ლიც ტარიელმა ნესტანის გამოწვევით ჩაიდინა. ტარი-
ელმა მოჰკლა სრულიად უდანაშაულო სასიძო ნეს-
ტანისა — ხვარაზმშას შვილი, მოჰკლა მწოლიარე-
მძინარი — და თითქო იქადის კიდევ ამ უსამართლო
მკვლელობას:

„ძარავს შეველ, — სასიძო ყითა წვა, ზარმცა თქმად
ენით...

უსისხლოდ მოვკალ იგი ყმა, თუცა ხმდა სისხლისა
დენით.—

ძარვის კალთა ჩახლათული ჩავსქერ, ჩავაკარაბაკე,—

შმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევერტაკე;—

წინა-მწოლთა დაიზახეს, გლოვა მიჰხვდათ საარაკე...

ცხენსა შევეჯე, წამოცაველ, — ჯაჰვი მეცვა საკურტაკე“.

ამ მკვლელობას წინ უძღოდა თათფირი ნეს-
ტანის მშობლებისა — ნესტან-ღარეჯანისათვის სასი-
ძოს არჩევის გამო, და ამ თათფირზე თვით ტარიე-
ლიც იყო მიწვეული, მაგრამ ხმაც არ ამოუღია,
როცა ნესტანის მშობლები ხვარაზმშას შვილზე შე-
ჩერდნენ, და შემდეგ კი, როცა ნესტან-ღარეჯანმა
ეგ სიჩუმე უსაყვედურა და ღალატი შესწამა, ადვი-
ლად იღვა კისრათ სისხლი უდანაშაულო ადამიანისა.
ნესტან-ღარეჯანი ტარიელს სასიძოს მოკვლას (ისიც

კიდევ—„მიპარვით“ მოკვლას) ავალებს და თან დასძენს: „ძმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“-ო! შემდეგ განაგრძობს:

„იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა ჩემსა მამასნ,—
ჰკადრე თუ: «სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჰამასა,
ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა ღრამასა...
არ დამეხსნენი,—გაგიხდი ქალაქსა, ვითა ტრამასა.—
ჩემი ყოლა ნურა გინდა სიყვარული, ნურცა ნდომა,—
ამით უფრო მოგეცემის სამართლისა შენ მოხდომა“-ო.

თარიელი ამაზე ამბობს: „მსე მეტად მომეწონა თათბირი და გამოჩევა“-ო! ცხადია, რომ ამისთანა საქციელი — უდანაშაულო ადამიანის სისხლის დაღვრა და ცუფიერობა — მოსაწონი კი არა, დასაგმობია; მაგრამ შესაძლოა იგი მით გავამართლოთ, რომ ნესტანსა და თარიელს, როგორც მიჯნურობით გაშმაგებულთ („მიჯნური შმაგსა გვიქვიან“), საღი მოსაზრებისათვის ვერ მოუცლიათ, თვარა გზა ბევრი მოიძებნებოდა იმისა, რომ უდანაშაულო სისხლი არ დაღვრილიყო. თარიელის პირდაპირობას, მის გმირულ გულწრფელობას როგორღაც არ შეეფერება ის ცუფიერობა, ის უგულწრფელო სიტყვა, რომელსაც იგი, ნესტან-ღარეჯანის რჩევით, შარსადანს უთვლის: „შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე;—ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცემ ჩემგან კიდევ“-ო. ამიტომ სრულიად სამართლიანია

შარსადანის გულის-წყრომა და ტარიელისადმი მიმართული სიტყვები:

„...ღმერთმან იცის, გამეზარდე, ვითა შვილად;—
ჩემი ასრე რად შესცვალე სიხარული სიმძიმოდ?
ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე?
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?
მე, ბერსა შენსა გაგზრდელსა, სიცოცხლე მაარმებინე.
ღლედ სიკვდილამდი შენიცა თავი არ მაახლებინე“...

გ ა ა ს წ ო რ ე თ!

დაბეჭდილია: 1) მასაც (გვ. 20), 2) მოვეარესა (51), 3) მან ენა დაუშრომელსა (54), 4) დანაბნქდულევი (58), 5) დაამზობოეს (67), 6) იხედვითა (73), 7) გვხვდება (103), 8) ძარაქ. (110), 9) გარდასრულა ქირთა (135), 10) პირთველთა ქირთ (135), 11) ამს (137), 12) შეადარეთ ხალხურ ანდაზას; (139), 13) ცხოვრებისა (149), 14) „ღიანოსი ბრძენი“ (164), 15) მოწინააღმდეგეს (175).

უნდა იყოს: 1) მასაც, 2) მოყვარესა, 3) მას ენადაუშრომელსა, 4) დანაბეჭდულევი, 5) დაამზობდეს, 6) იხედვიდა, 7) გვხვდება, 8) ძარიქ., 9) გარდასრულთა ქირთა, 10) პირველთა ქირთ, 11) ხამს, 12) (შეადარეთ ხალხურ ანდაზას; 13) ცხოვრებისა, 14) „ღიონოსი ბრძენი“, 15) მოწინააღმდეგეს.

მკითხველის საუბრადღებოთ.

1) „შეთხისტყაოსნ“-იდან ამოღებულ ტექსტში, ძველებური ვ-ის მაგიერ (მაგ. ვამს, ველი, ველმწიფე და სხვ.), ზ-გვაქვს ნახმარი (ხამს, ხელი და სხვ.);

2) ძველათ შაირის ყოველი ხანის მე-4 ტაეპის წინ კავშირი და იხმარებოდა ხოლმე;—ჩვენ-მიერ მოყვანილ ტექსტში ეს კავშირი—სიმარტივისათვის--გამოტოვებულია;

3) ტექსტის შესწავლის დროს გაითვალწინეთ ორგვარი შაირის თვისება, მაღალისა და დაბალისა (იხ. ჩემი სრული გრამატი., 1920 წლის გამოც., გვ. 157—158).

სიტუაციების განმარტება.

აბრკვეობდეს: აბრკოლებდეს (ბრკმობა—ბრკოლება).

აბჯარი: ჯავშანი, ჯაჭვ-ჭური, რკინის საჭურველი.

ავლი: ფერფლი.

აზომ: ამდენათ.

ალაში: ნიშანი; ნაჭერი; დროშა.

ალაფი: ომში ნატაცები, ნაცარცი; დაულა.

ალაფობა: ტაცება, ცარცვა (ომში).

ალფა: ალის მოდება, ცეცხლის მოკიდება.

ალყა: წრე, სალტე; ალყის შემორტყმა—გარსშემორტყმა,
ირგვლივ შემოხვევა, გარემოცვა.

ამად: ამისთვის.

ამადარი: ამის მზგავსი, ამისთანა.

ამილახორი: სასახლის ცხენ-ეტლთა ზედამხედველი; მეჯიო
ნიბეთ-უხუცესი.

ამირსპასალარი: მთელი ლაშქრობის უფროსი, მთავარ-
სარდალი (ხარისხებათ დაყოფა: 1) სპას-
პეტი, 2) სპასალარი, 3) ამირსპასალარი).

არამი: არარაობა, ფუჭი, უსარგებლო.

არენით (თავნი არენით): არონი(ნ)ეთ.

არღვანი: წითელი ქვა, წითელი ფერი.

ასპარეზი: სავარჯიშო (სადოლო, საჯირითო და სხვ.)
მოედანი, სარბიელი.

ასპიროზი: ცთომილი ვარსკვლავი ვენერა (ან ვესპერი—
სალამოის ვარსკვლავი).

აღფხვრა (აღმოფხვრა): ამოგდება, აოხრება, განადგურება.

აჯა: ხვეწნა (გეაჯები, ვეაჯები).

* *

ბალახში (ბაღახში): ბაღახშანის ლალი—საუკეთესო ღირსებისა (ბაღახშანი სპარსეთის კუთხეთაგანია).

ბარბითი: სიმებიანი საკრავი, ქნარი.

ბეღითი: უბრალო, ცუდი, უკვანი, უხამსი.

ბევრ-ათასი: ბევრი—10.000, ბევრ-ათასი—ათასჯერ ათი ათასი.

ბნდებიან (ბნედვა, ბნდვა, ებნდები; მიბნედილი, დაბნედილი): გონებას კარგვენ, შმაგობენ.

ბრჭე, ბჭე: კარი, ქიშკარი; მსაჯული, მოსამართლე.

ბუკი: საყვირი, ნალარა.

ბურჯი: სვეტი, დედაბოძი, ციხე.

* *

ბაბეღითება (ბეღითი—ცუდი, უბედური): გაცუდება, გაფუჭება, გაუბედურება.

ბათნევთ (თნევა): პირში გეფერებით (აქიდან—პირმოთნე, პირმოთნეობა).

ბამყარება (მყარი—მაგარი, მტკიცე): გამაგრება, განმტკიცება.

ბამიჭიჭია: შემოცხვენია; ბა(ნ)ჭიჭება—შერცხვენა, გაწბილება.

ბანალამცა: დიახაც, რასაკვირველია.

ბანგებიანი: ღვთაებრივ-გონებიანი, შორსმჭვრეტელი (ბანგება—ღვთაება).

გა(ნ)ხვმა (გაუახვამ): გალება, გახსნა.

გარეტება (გარეტიანება): გამოშტერება, გონების დაკარგვა; გაცბუნება.

ბასალება: გამაგრება, განმტკიცება, გასაღკლდეება (ხალი—მტკიცე, მყარი, მაგარი).

ბაწბილება: უარის თქმა, უარყოფა, შერცხვენა.

ბაწლობილი: გაღეული, გამხდარი.

ზნოლი: კაკაბის მზგავსი ფრინველი.

ზრდემლი: რკინის კუნძი, რომელზედაც მკედელი რკინე-
ულობას სკედავს.

ზუშაგი: ციხის მცველი, საზოგადოთ—დარაჯი, ყარაული.

* *

დაბდაბი (დაფდაფი): სამხედრო საკრავი (ორი მხრით
ტყავ-გადაკრული რკალი, მოკლე
ჯოხებით სარაკუნებელი).

დაგვა: წვა.

დავალვა (დავალდებიან): დატვირთვა, დამძიმება, დაღალვა.

დარგი: ნაწილი, განყოფილება.

დარქმა (ვარქვამ): დახურვა.

დაურვება: გლოვა, ჭირისუფლობა (დამიურვე—მიგლოვე,
მიჭირისუფლე).

დაფანჩვა (ფანჩვა): დაშლა, დაფანტვა.

დაშვრომა: დაღალვა, დაქანცვა.

დაკმუნება: შეწუხება (კმუნვა—წუხილი).

დაჯრილი: დაჯარული, თავმოყრილი.

დია: დიახ.

დუხჭირი: ნასი, ცუდი, უშნო, უხამსი.

* *

ესვა: ჰყავდა (მივის—მყავს).

ეტლი: ცთომილი ვარსკვლავი (პლანეტა).

ეჯიბი: სასახლის ხელჯოხიანი მეკარე, მეფის ფარეში.

* *

ვაზირი (ფეზირი): მინისტრი.

ვალება (დავალება): მინდობა; მიძღვნა.

ვალი: სიმძიმე, შეწუხება.

ვამი: ვაი (ვაება), წყენა, მწუხარება.

შარგი: ვარგისი, გამოსადეგი, გვარიანი, რიგიანი.

შითამცა: როგორც.

*
* *

ზადი: მცირედი ნაკლი; წყენა.

ზანგი: შავი მონა, ნეგრი.

ზარი: დიდი ხმაურობა, კიჟინა; თავზარი, საშინელება, დიდი შიში.

ზეიში: დიდი ამბავი, საოცრება.

ზრობა (დაზრობა): (და) კენობა.

ზუალი (ზოალი): ცთომილი ვარსკვლავი კრონოსი (სატურნი).

*
* *

თათბირი: რჩევა.

თნება (თნევა): ამება, სიამოვნება (მეტნების — მესიამოვნება); — პირმოთნეობა.

თურე: თურმე.

თხმა (რთხმა): შეკურვა, ზაცმა, შემორტყმა.

*
* *

იდუშალი: საიდუმლო, ფარული.

იეფო (იეფი, იაფი): უხვი, მრავალი; ხშირი.

*
* *

ქადნიერი: გამბედავი, თამამი, თავხედი, ურცხვი.

ქაეშანი: დარდი, სევდა, ნალევლი, ბოღმა.

ქანჯარი: გარეული ვირი.

ქაპარჭი: საისრე ჩანთა, ისრის ბუდე, ისრის-ქარქაში.

ქენარი: წერწეტი, კისკასი, ნაზი, მოხთენილი.

ქვლა (კვლაგ): კვალად, კიდევ, ხელახლა.

ქიდგ: გარდა (მისგან კიდევ — მას გარდა).

ქისკახი: მარდი, სწრაფი, მკვირცხლი, მარჯვე.

ქრონოსი (იქ. ზუალი).

პოქალვა: მოიოდეთა.

კუშტი: გულპიწი, მწყრალი, მრისხანე.

* *

ლამის: კინელამ, თითქმის (ლამეა—სურვა; ლამობდა—აპირებდა).

ლაუვარდი: ტრედისფერი, ცისფერი, ლურჯი.

ლარგ: ოქრო-ვერცხლი (აქიდან—სალარო).

ლალი: თავისუფალი, ნებიერი; თავმომწონე, კადნიერი.

ლები: ცემისაგან დალურჯებული ხორცის კანი.

ლელი: ლერწამი.

ლიზლი (იხ. მოლიზლარი).

ლიზლობა: ლაქუცი, უშვერათ ხუმრობა, ლაზღანდარობა.

ლმობა (გულსა გლმობია): გულში ამოქრა, განზრახვა;—
გულის ტკენა, წყენა.

* *

მანგი: მთვარე; მარგალიტი.

მანდიკურად: ხურჯინივით (მანდიკა ან მანტიკა--ხურჯინი).

მარებელი: მხლებელი, მიმყოლი, მატარებელი.

მარეკი (დაეფანჩვა მარეკი-და): მრეკელი, გამომრეკი.

მართ: მართლა, სწორეთ.

მართ-ოდენ: მხოლოდ, მარტოოდენ,

მარიხი: ცთომილი ვარსკვლავი მარსი.

მაშგრალი: დაღალული (დაღლილი), მოქანცული.

მგამა (მე მგამა, შენ გაგვა, მას ჰგავა, ჩვენ გვაგვა და სხვ.): მენაღვლება.

მეკობრე ან მეკობარი: პირატი, ზღვის ყაჩაღი.

მეძავი: მსიძავი, მრუში.

მიმდომი: მიმდევარი, ამყოლი.

მისართვა: მიმატება (მიმისართა—მიმიმატა)†

მიღვწიან (ღვწობა, ღვაწლი): ჩემზე იზრუნებენ, მიკირის-
უფლებენ.

მიწყევ: მარადის, მარად.

მოარნა: მოარონი(ნ)ა, მოავლო.

მოახპარეზე: ნოვარჯიშე.

მოვანება (მთვარისა): მთვარის ბაკ(მ)ი, მთვარის გატრეშო
გაშუქებული არე, მთვარის სამყოფი ადგილი;
(ვანი, სავანე).

მოლაზხვა: გარდალაზხვა, მოვლა.

მოლიზლარი (ლიზლი): მოლაქუსე, უშვერათ მოხუმარი,
მოლაზლანდარე.

მორჩი (ნორჩი): ქორთა, ჩილი, ახალგაზდა.

მორკმული: ყველაფრით მდიდარი; დიდებული, სახელო-
ვანი.

მორკმა: შეძენა, გამდიდრება.

მულავნება (გაშულავნება): გამხელა, გახმაურება.

მულზარადი: ზარადი, ზუჩი, ჩაჩქანი, ჩაბალახი, რკინის ქუდი.

მუნ: იქ (მუნებური — იქაური).

მური: კვამლი, კვარტლი, დარდი.

მუფარახი: სევდის მომაქარეველი მაჯუნდ (მაღამო, წა-
მალი).

მუშაითი: ჯამბაზი, თოკზე მოთამაშე.

მუშთარი: ცთომილი ვარსკვლავი იუპიტერი.

მუხთალი: მოღალატე, ვერაგი, ცფიერი.

მქრქალი (მქრალი): ფერმკრთალი.

მღერა (ნარდისა): თამაში (ძველათ ნარდის კამათლებს
„ამღერებდიან“, ე. ი. ათაჰაშებდენ).

მღმეკელი: სახის დამღრეჯელი, შემქმნებელი.

მცხრალი: მკრთალი, დაკლებული: მცხრალი მთვარე — კლე-
ბაში გადასული მთვარე.

მკვერი: კობტა, წერწეტი, მოხთენილი, ლამაზი, შნოიანი.

* *

ნა (ნაი): ლერწმისაგან გაკეთებული საკრავი, „სალამური“. ნათურქალი: ალაფი (თურქებთან ომში ნაშოვარი).

ნაკი: ზედმეტი, გარდანამეტი.

ნასი: ცუდი, უშნო.

ნაუფლისწულევი: უფლის-წულის წილობილი, მემკვიდრეობა (უფლის-წული—მეფის შვილი, მემკვიდრე).

ნაპირები: ნაშრომი, ნალვაწი.

ნები: ნება, თავისუფლება, ძალა, ღონე; (ხელის გული).

ნობა (ნობი): საყვირი (სამხედრო საკრავი).

ნობათი: მორიგობით დარაჯობა; მორიგი დარაჯი, ყარაული.

ნუკვა: თხოვნა, ვედრება (გნუკავ, გენუკვი—გვეედრები; სანუკვარი—სასურველი).

* *

მბოლი: მარტოთ მყოფი; ერთადერთი, რჩეული.

მტარილი: ცთომილი ვარსკვლავი შერკურიუსი.

* *

პატიჟი: პატივის ახდა, დასჯა, შეწუხება.

* *

რაზომცა-(რაზომ): რამდენაფაც.

რემა: სახედარი, ვირი.

რეტი. (გარეტება): მიბნედილი, ბნელი: ცნობამიხდილი, გამოშტერებული, ხელი, გიჟი; ან: ცნობამიხდილობა, სიშტერე, სიგიჟე.

რვალი: საუკეთესო ხარისხის სპილენძი; ფოლადი.

რიბლი: მარცხი, ფათერაკი.

რიღე: პირბადე, პირზე ჩამოსათფარებელი.

რიყე: მრავალქვიანი ადვილი (ან დიდი მთლიანი ქვა);
ყორე. გროვა.

საგოგმანები: სათამაშო, საალერსო (გოგმანი — თამაში,
ხტომით სიარული, — მაგალ. ფრინველთა).

სადარნო: საზვერავე; დაზვერვა, დათვალიერება.

სადაფო (დაფიონი — ცისკარი, დაფი — დაირი): საცისკრო,
სალხინო.

საზეო: ზეციური, ღვთაებრივი.

საკამათებლათ (საკამათებელი): სათამაშოთ, შესაქცევათ.
საამებლათ.

სალაღობო: სახუმარო (ლალობა — თავისუფალი ქცევა, ხუმ-
რობა, შექცევა).

სალი: მალალი მზგარი კლდე, ტინი-კლდე.

სამზოდ: (მო)სამზადებლათ.

სამსალა: შხამი. საწამლაღვი.

სამყარო: ხილული ცა და ღედამიწა, ცა და ქვეყანა, ქვე-
ყნიერობა (აქიდან: მყარი — მკვიდრი, მტკიცე;
ვემყარები).

საპყარება (დასაპყარება): შეპყრობა, დატუსაღებან (საპყა-
რი — შეპყრობილი, დაკუთვლი, კუტი).

სარებლად (სარებელი): სავლელათ, სასიარულოთ.

სარო: კვიპაროზის ხე, ალვა. სარო.

სარკმელი: თავსახურავი, ქუდი (შეადარეთ სარკმელი — ქუ-
რის პირის საფარი).

საწუთრო: წუთისოფელი.

საკოგმანები (საყოყმანები; — კოკმანი, ყოყმანი): ძნელათ
გადასაწყვეტი; დიდებული, სახელოვანი,
სასახელო.

საქურფელი (საქური): აბჯარი, სიომარი იარაღი.

საქურკლე: სალარო, ს.ზინა (ოქრო-ვერცხლი); სამხედრო
საქურველად-საცავი.

სახმილი: დიდი ცეცხლი; მწუხარება.

სელი: სკამი.

სვიანი: ბედნიერი (სვე-ბედი).

სიკრახე: რბევა, აკლება, განადგურება.

სიმუხთლე: ვერაგობა, ლალატი (მუხთალი — ვერაგი, მოლა-
ლატი).

სიყმე: სიყმაწვილე, სიქველე, გმირობა, ვაჟკაცობა.

სიჩალხე: სიმაჯრე, სიცქვიტე, სივაჟკაცე (ჩალხი, ჩარხი —
სალესავი იარაღი; გაჩალხვა-მოწყობა, მოგვარება).

სიხაფე: ძლიერი ხმის ყოფა; გოლიათობა, გმირობა; ყიფი-
ნით თავდასხმა (ხაფი — ძლიერი ხმიანი).

სკიპტრა: სამეფო ჯოხი.

სოსანი: მშვენიერი ყვავილი (მინდურისა და ბალისაც) სხვა-
დასხვა ფერისა (ტრედისფერო, ლურჯი; წითელი).

სოქალი: სპეკალი, საზოგადოთ თვალი პატიოსანი (აგრეთვე
ფერმკრთალობა, სიყვრთლის ავთმყოფობა, ყა-
ნის კირი).

სპახპეტი: ჯარის უფროსი (სპა — ჯარი; იხ. ამირსპასალარი).

სრა: სასახლე, დარბაზი.

სრეული (სრევა): მიყრილ-მოყრილი, განატყორცი.

სრვა (სრვიდა): ჟღერა, ხოცვა.

თაიჭი: ზედაური ცხენი, რაში.

თანაჯორი: მომწვანო ხოქოიანი ბუზი (დამდგარი წყლის
ზედაპირზე ტრიალი იცის).

თერება (ვეტერები): პატრონობა, მფარველობა.

თინი: სალი, მაგარი (კლდეზე იტყვიან).

* *

შაუგო: უსირო (ხელო. (აუგი სირო (ხელო).

შებრო: სწოროპოვარი, შეუდარი (ხელო).

შკუნი: ბნელი. წყვილი (აქიდან საუკუნე, საუკუნო, უკუნითი უკუნისამდე და სხვ.).

შსტარი: წერილი, მოკითხვის წიგნი.

შტევანი: სიგძის ზომა (დაახლ. 125—143 ნაბიჯი).

შუში (სულთქმა-შუში): ოხერა.

შანჩვა: იხ. დაფანჩვა.

შარი: ძველებური სამხედრო იარაღი, გულ-მკერდის საყარი.

შოქალი: თლილი ქვა, პრიალა ლამაზი ქვა: ბროლ-ფიქალი — მარმარილოს მზგავსი ქვა.

შირმანი (ფარმანი): მეფის ბძანება, ნებართვის ქალაღი, ნებართვა.

შიფქი: ახალი მოსული თოვლი (მშრალი და ნაზი ახალი თოვლი).

შლასი: სამგლოვიარო თაღნი, ძაძა.

შაფი: სამხრე აბჯარი (სამხედრო საქურველი).

შვგლობა: სივაჟკაცე, სიმხნე, გმირობა.

შურციკი: ჯეირანი, გარეთხა.

შუში (პირქუში): მოწყენილი, წარბშეკრული, სახემოხუ-შული, დაღვრემილი.

ლაზო: სიყვარულისაგან მიბნედა, დაუძლურება, გულის ტკივილი, ტრფობის ალი.

ლარიბი: მარტოთ გამგზავრებული. მარტონელი, მარტოთ მყოფი, უამხანაგო, საწყალი: — გაღარიბება — ველათ გაქრა, მარტოხლათ გამგზავრება.

ლაწვი: ლოყა.

ლირობა: მოღერება, მოქნევა.

ლმეკა: კმუხვნა (სახისა) დაღრეჯა.

შანდი: შაქრიყიხული.

შარყუმი: კარგბეწქიანი ცხოველი (რუს. „გორნოსტაი“).

შივილი: ძახილი, ყიჟინი (კიჟინი).

შივნება (ვაყივნება): შერცხვინა, გაწბილება.

შოლა (ყოლე): ყოვლად, სრულიად.

შოლამცა: სრულიადაც.

შაბა, შაბაშ: ვაშა! ყოჩაღ!

შედრკომა: უკან დახევა, პირის ბრუნება, დაფრთხობა.

შემდრკალი: დამფრთხალი, უკან გამოქცეული.

შენაფლობი (შეთლობა): დაპყრობილი, დამორჩილებული;
დაფლობილი.

შერი: რჩეული, საუკეთესო, საუცხოო.

შეპირვება: მწუხარება, სევდა.

შვება (მწუხარებისაგან გაშვება): მხიარულობა, ლხენა.

შვედნება: ამება, სიამოვნება (ეშვედნების—ესიამოვნება).

შიმშერი: ხმალი;—ფარ-შიმშერი—ფარ-ხმალი.

* *

ჩანგი: სიმებიანი საკრავი (ქნარის მზგავსი).

ჩაუქი: ცქვიტი, მარდი.

ჩალანა: მეჩანგეთა სამღერელი (სათამაშო);—ცეკვის ღროს
საქღერელი (საქლარუნებელი) ეყვნები.

ჩოგანი: თავპრტყელი, ან თავსხვილი ჯოხი (ბურთის გასა-
კრავი—ჰატერში სათამაშოთ).

* *

ძალუც (ძალუძს): ძალმიძს, ძალგიძს, ძალუძს; ძალგვიძს.
ძალგიძსთ, ძალუძთ—შემიძლია (შეგიძლია და სხვ.).

ძი: ცა (დაბოლოების ნაწილაკი, მაგალ. ვისძი—ვისაც კი).

ძოწეული (ძოწი—წითელი მარჯანი): ძოწის ფერი, მეწა-
მული, წითელი; პორფირი (დიდებულთა სამო-
სელი).

* *

წარხდომა: გადაეარდნა, გადაკარგვა.

წახმა (წაუხხვამ): წართმევა, წაგლეჯა, ხელიდან გამოტაცება.

წბილი: გაწბილებული, უარყოფილი, შერცხვენილი.

წილ (მაგიერ): ჩემ-წილ — ჩემ-მაგიერ.

წინწილა, წინწილი: საძუსიკო საკოავი, ლითონის წილილი, თეფში საელარუნებელი.

წყლიანი: მკვერმეტყველი, ენაწყლიანი.

მვირი (მკვირი): შუქგამყვანი მინა; ნათელი, მზის შუქი.

ხალვა: მარტოობა, მარტოთ ყოფნა, თავისუფლება (აქიდან ხალვათი თავისუფალი, ფართო).

ხამხ (ჰხამხ, კამხ): უნდა, საკიროა.

ხანაგა: საობლო სახლი: დერეფნითა მონასტერი.

ხანიერი: ხანში შესული, მომწიფებული (ფიზიკურად და გონებრივად).

ხასი: დიდებული, წარჩინებული; სახასო — სახაზინო.

ხელობა: სიგიჟე, სიშმაგე (ხელი — შმაგი).

ხვაშიადი: საიდუმლო, გულის პასუხი.

ხმოზა: ყოღება (ეუხმობ — ეუწოდებ).

ხოში: კრებული, გუნდი (მნათობნი).

ხოტბა: ღიადი ქება, შესხმა.

ჯაბანი: მშიშარა, ძაბუნი, მხთალი.

ჯავარი: სპეკალი, თვალი პატიოსანი; — მშვენიერათ მოსავადებული, მოხატული გული რაიმე ხისა (ნიკვზისა, წაბლისა, ბეოლისა, კოპიტისა და სხვ.).

ჯავშანი: (იხ. აბჯარი).

ჯალაბი (ჯალაბობა): ოჯახობა, ოჯახის ყველა წევრი.
• დედა-წული.

ჰგია (ჰგიეს): არის, მყოფობს, იმყოფება (გება: ეგიებ, ჰგიებ, ჰგიებს, ჰგიეს, ჰგია).

შ ი ნ ბ ა რ ს ი.

1. ბიოგრაფიული ცნობები	33
2. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები	13
3. სხედასხვა მკვლევარის აზრი	17
4. „ვეფხ — ნი“ ორიგინალური პოემაა თუ ნათარგმნი	39
5. „ვეფხ — ნის“ ტექსტი:	
ა. წინასიტყვა	47 (96)*
ბ. ბოლოსიტყვა.	53 (110)
გ. ამჟამი პირველი როსტევან არაბთა მეფისა	54 (113)
დ. ნახეა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ქვეფხისტყაოსნისა	64 (120)
ე. თარიელის რბი ხატაველებთან	78 (125)
ვ. ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის მიმართ, ოდეს გაიპარა	79 (125)
ზ. წასვლა ავთანდილისა შრიდონისას, მულაზანზარს რომ შეეყარა	83 (128)
ც. წიგნი ნესტანდარეჯანისა საყვარელსა წინაშე მიწერილი	86 (131)
თ. შათბირი შრიდონისა, ავთანდილისა და თარიელისა, ჭაჯეთის კიხეს რომ მოადგეს	90 (133)
ი. ჭაჯეთის კიხის აღება	93 (134)
6. შენიშვნები და განმარტებანი	96
7. სენტენციები	135
8. მომონიმ-რიტმიანები	141
9. ზაზოგადო დასკვნა	149
10. ლექსიკონი	188

*) ფრაზილებში ჩასმული ცაფრი-განმარტების გვერდის მაჩვენებელია.